

652 /
1965/3



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

652 /
3

5

19465



ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ - პოლიტიკური
შურნალი
საქართველოს მშენებლის
კავშირის აჭარის
ბანუოფილების ორგანო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

9792

შ ი ნ ა კ რ ს ი

1. რურუა — ცის გახსნა (მოთხრობა) . . .	3
2. სალუქვაძე — გამარჯობა, დედუღეთო! (ლექსი)	5
3. მოღებაძე — გაორებული გული (მოთხრობა)	7
4. შუბლაძე — თეთრი გედი (ლექსი) . . .	13
5. ვარშანიძე — ზარბის გუგუნი (ლექსი)	14
6. გორგილაძე — ბზის ჯოხი (მოთხრობა) .	17
7. სალუქვაძე — ლექსები	24
8. ანთიძე — სურათი (ლექსი)	25
9. დე მოკახანი — წუთისოფელი (რომა- მანი, ფრანგულიდან თარგმნა ლ. მხეიძემ)	26
10. კოლეშაძე — ლექსები (თარგმნა მ. ომერიძემ)	51

4


1965

საზღვარგარეთ

11. დოლიძე — მოძმე ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკაში	53
კრიტიკა და კუბლიცინტიკა	
12. შურიძე — ლიტერატურის ახალგაზრდა გმირის შესახებ	59
13. ხმალაძე — თეოფილე ხუსკივაძე . . .	64

ივლისი
აგვისვო

აჭარის შურნალ-გაზეთების გამომცემლობა



პუბლიკაცია

ა. აბრამიშვილი — ნიკოლოზ დოლობე-
რიძის წერილები 70

ფოლკლორი

ჟ. ნოღაიძელი — შრომის სიმღერები . 77

წიგნის თარო

ბ. მებუჟე — საინტერესო პატარა
მოთხრობები 82

ლ. კალანდარიშვილი, ბ. სურგულაძე —
ქართული სოფლის ეთნოგრაფიული
შესწავლისათვის 84

საბჭო და იუზორი

ბ. მებრეველი — დედოფლის ცრემლი
(მოთხრობა) 88



რედაქტორი შოთა ქურიძე
სარედაქციო კოლეგია:

ბ. ახვლედიანი, ნ. გვარიშვილი, მ. ვარშანიძე (პ/მგ. მდივანი),
პ. ლორია, ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, გოგებაშვილის ქ. № 24.

ტელეფონები: რედაქტორის — 33-71, პ/მგ. მდივნის — 33-72.

ილია ჩუჩუა

ცის გაცხენა

მილიდინებს ქობულეთის გზაზე სულია.
გალაღებულა ნებაზე ქურანიც.
მიუხარიათ შინისაკენ.

სულიამ ბათუმელი ნათესავები და ძმაცაცები მოინახულა, საქმეებიც
ჰქონდა. ლაზ და ბერძენ ვაჭრებთან შეიარა, ხელოსნების უბანსაც ეწვია:
კარაკლისას ნახელავი კრაველის ქუდი დაიხურა, სერაპიონის შეკერილი
ჩაქურა მოირგო, ლევანის ხელით ჩამოსხმული „აზიაცკები“ შემოისალტა
ფეხებზე...

მიდის, მილიდინებს სულია.

ხანდახან შეშფოთება ვაჰკრავს გულში. სამი დღეა შინ არ ყოფილა.
„მარტო ქალის ოჯახი იქნება?... ისიც ერთი თვის მოყვანილი ქალი-
სა... ე, დარდი არა გაქვს, სულიავ!... ქალი, ძიავ, აბა რისია, უნდა ოჯახობ-
დეს... ქმარი საშუარში დადიოდეს...“

ცხენს მათრახი გაუტყლაშუნა და ისევ აღიღინდა.

მახინჯაურის გავაკებაზე მატარებელი წამოეწია. ძლივს დაიმორჩილა
დამფრთხალი ქურანი. როცა დაამშვიდა, ნებაზე მიუშვა. ქურანსაც ეს უნ-
დოდა — ჭენებით წავიდა.

ჩაქვის გადასასვლელთან მოპირდაპირე მხრიდან მომავალი ცხენოს-
ნები დაინახა. თოხარიკზე გადაიყვანა ცხენი.

— სულია ხარ, თუ?! — შემოესმა ვილაცის ძალიან ნაცნობი, მხიარუ-
ლი ხმა.

— მამედ-ეფენდი ბრძანდებით?! — მიუბრუნდა სულია ყველაზე
უფროსს, ახოვან და მოხდენილ ჭაღარა ვაჟკაცს და მკერდზე ხელის მიდე-

ბით მდაბალი სალამი უძღვნა. შემდეგ მის მხლებელ ორ ახალგაზრდას მი-
ესალმა.

ცხენებიდან ჩამოხტნენ.

დაიწყო ურთიერთმოკითხვა, ჩვეული აჭარული ღირსებითა და უფ-
როს-უმცროსობით.

— ვაჟკაცი ყოფილხარ, სულიავ, რომე ოჯახი მარტო შენით არ ყო-
ფილა, — წამოიწყო საუბარი მემედმა. — ქორწილში ვერ გეწვიე, იმხანად
თბილისში გახლდით საქმეებზე... დღეს მოგინახულეთ, სულიავ, მარა არ
დაგვიხდი. ბათუმში ბრძანებულხართ.

სულიას ფერმა აუარ-ჩაუარა სახეზე.

— ნუ გეფიქრება, — დაამშვიდა მემედმა. — კარგი პატივით მიგვიღო
ფიქრიემ.. თქვენს ოჯახს და ჩვენს ნათესაობას რომ ეკადრება, იმ-
ფრად.

— უჩემოდ თუ! — აღმოხდა სულიას.

— იშვიათი კარგი პატივი! — კვლავ დაუდასტურა მემედმა.

სულიას გული უცებ უჩვევი სიამაყის გრძნობით გავესო; ეგონა კი
ვაჟკაცის გული მუდამ დახშული უნდა იყოს ცოლისათვისო.

— ცუდი ქალი კარგ ვაჟკაცსაც გააფუჭებს, — თითქოს სულიას გუ-
ლში ზისო, განაგრძო მემედმა. — სტუმარს ცუდად შეხედავს და გააფუ-
ჭებს... მეტი აბა რაი!... დამილოცნიხარ, სულიავ!

არ გაჭრა პატიუმა. სტუმრებმა უკან მობრუნება აღარ ინებეს. დაემშ-
ვიდობნენ გულდაწყვეტილ მასპინძელს და გზა განაგრძეს.

სულიამ დაღმართზე დაუშვა ქურანი.


სადაცაა ქობულეთშიაც შევა. უცებ, რატომღაც, სადავე მთელი ძა-
ლით მოსწია, ცხენი ადგილზე დაასო. კარგახანს იყო ასე, ფიქრში გარინ-
დული. შემდეგ უკანვე, ბათუმისაკენ გააფრინა ქურანი.

...ეს ცის გახსნასა ჰგავდა.

ფიქრიემ აღარ იცოდა რომელი საჩუქარი აეღო, რომლის ცქერით
დამტკბარიყო.

მადლობის თქმა რომ დააპირა, სულია აღარ იყო.


თავისი სისუსტიით დარცხვენილი სულია ეზოში დაეხეტებოდა, ლო-
ბე-ყორეს ედებოდა. ყველაფერს მიზეზიანად ჩაკირკიტებდა. მაგრამ
გაჯავრების საბაზი ვერ ეპოვა და ახლა ეს აბრაზებდა.



გიორგი სალუქვაძე გამარჯობა, დედულეთო!

ჩამოვედი, ჩამოვედი,
გაუმარჯოს კოხნარს!
მესალმება მწვანე ქედი,
ხევსწყალი ოხრავს.
ეს ცალხელა ისიდორე
ცოცხალია კიდევ.
ორლობეში ბიჭი ხბორებს
კრიმანჭულით მისდევს.
ჩემს დედულეთს გაუმარჯოს,
მკლავზე გამიგოროს!
ჩქარა თოხი! ახლა რა სჯობს
ლურჯი ყანის მოროდს!
ჩქარა, დოქი! ცივი წყალი
გამილუმბავს პერანგს.
ქარო, სულზე მომისწარი,
მიცანი, თუ ვერა?
აღმართ-აღმართ ბილიკია,
მერე ჩემი შარა.
ჭიშკრისათვის მიმიგნია,
მივადექი მარანს.
ჩემი ეზო, ჩემი ოდა,
ჩემი სახლის კარი..
გული უცებ აბრიალდა,
როგორც ხმელი კვარი.
არც სიზმარი, არც ზღაპარი —
ჩრდილი ნაცნობ ხეთა...

ოღონდ შავი თავსაფარი,
არ ჩანს, ველარ ვხედავ.
აღარ მორბის ხელგაშლილი
კაფანდარა ქალი,
რომ ჩაიკრას შვილიშვილი
ცრემლიანი თვალით.
შორს სურების მთა ლურჯდება,
ახლოვდება ბინდი...
არაფერი არ ბრუნდება,
ყველაფერი მიდის.
გაუმარჯოს დაბადებას
და სიახლის ელდას!
ცეცხლის პირას ზღაპარს ყვება
ბედნიერი დედა.
მისი ბიჭი თვალებს ლულავს,
მისი ერთა ბიჭი.
ცა ვარსკვლავით მოჭიქულა,
ცაა წვდება ფიჭვი.
დედის ნანა სხვაგვარია.
სხვაგვარი აქვს ლხენა —
განა ახლა ზღაპარია
ვარსკვლავებში ფრენა?
იქნებ გახდეს ქების ღირსი,
გაუტოლდეს გრიგალს!...
და ჩემსავით ბოლოს ისიც
მოადგება ჭიშკარს.
გამარჯობა, დედულეთო!
გამარჯობა, შენი!
გულში შენი ცეცხლი მენტო,
ლურჯი კვამლი გშვენის.
ჩემს დედულეთს გაუმარჯოს,
მკლავზე გამიგოროს...
ჩქარა თოხი! ახლა რა სჯობს
ლურჯი ყანის მოროდს!



ნოღარ მოღახუაქი გაორეგული გული

მერის გული კინაღამ შეუღონდა — ხელი ბაზრის გასასვლელის მო-
აჯირზე მაგრად რომ არ ჩაევილო, უთუოდ წაიქცეოდა. სახემღრალ დედა-
ბერს, რომელიც მის უკან მოლასლასებდა, ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია
და შეწუხებულმა ჰკითხა, ცუდად ხომ არ ხართო. მერიმ ოფლით დაცვა-
რულ შუბლზე ხელი უღონოდ გადაისვა და გზა განაგრძო, მაგრამ წინ გა-
ხედვისა ეწინონდა, რომ ხელმეორედ თვალი არ მოეკრა იმ მაღალი, თმა-
შევერცხლილი მამაკაცისათვის.

მერი ოცდაათი წლის ქალი იქნებოდა. საშუალოზე ცოტა მაღალი იყო,
მაგრამ გამხდარი სხეული და მოქნილი, მსუბუქი მოძრაობა უფრო მაღალს
აჩენდა. შავგვრემანი სახე ოდნავ მოგრძო, ყალმით მოხატულივით პრო-
პორციული ჰქონდა. შუაზე გაყოფილ შავ თმას კეფაზე მკვრივად იხვევ-
და. გაღიმებისას ლოყებზე დამსხდარი ფოსოები თითქოს ამბობდა, ხომ
ლამაზი, ვარ, შემხედეთო.

ოცი წლის მერიმ, როგორც თვითონ ფიქრობდა, თავის ბედს მიაგნო;
ან ის, ან არავინო. ეს იყო მისი ბავშვური გატაცება, რომელიც სიცოცხლეს
უათკეცებდა, მაგრამ მაინც მარტოობა ტანჯავდა, იგი არსებობდა მხოლოდ
საკუთარი ილუზიებითა და ფიქრებით.

იმ საღამოს მისი ამხანაგი დღეობას იხდიდა. ვიდრე მერი წვეულებაზე
მივიდოდა, ნაცნობ ფანჯარასთან ჩაიარა. გულმა არ მოუთმინა და მაღალი
ბალმის ჩრდილიდან, რომლის ქვეშ არაერთხელ მდგარა, თვალი შეავლო
გალაყდაყებულ ოთახს. მან უკვე იცოდა „იმის“ ფარდებისა და ოთახის
კედლების ფერი, რომელ მხარეს ედგა გარდერობი. ისიც იცოდა, როდის
ბრუნდებოდა იგი შინ და რა დროს ქრებოდა ოთახში სინათლე. ეს შეგრძ-
ნება მეტად მტკივნეული იყო და ბევრჯერ უთქვამს, იქ აღარ ჩავივლიო,
მაგრამ სიტყვა სიტყვად რჩებოდა. იმ ღამით კი მოსვენება დაჰკარგა. ამხა-
ნაგების მხიარულ განწყობილებას არ იზიარებდა, მარტოობასა და სიცა-

რიელეს გრძნობდა. მაგრამ ბოლოს მაინც იძულებული გახდა ყურადღება მიექცრო ახალგაზრდა ინჟინრისათვის, რომელიც მის გვერდით იჯდა მაგიდასთან და თავაზიანად ექცეოდა. ვაჟმა იგი რამდენიმეჯერ საცეკვაოდაც გაიწვია. მას ნაცრისფერი კოსტიუმი ეცვა და წითელი ჰალსტუხი ეკეთა, ელნათურის მკვეთრ სინათლეზე სახე უელავდა, თვალები ალერსიანად უციმციმებდა. ყოველი ტრიალისა თუ სვლის დროს მერის გატაცებით ელაპარაკებოდა. მერე ფანჯარასთან გაჩერდნენ. გარეთ დამე იდგა და ფარდებს შემოდგომის ნიავი არხევდა. მათ აღარ ესმოდათ მუსიკა და ახალგაზრდების სიცილ-ხარხარი. მერი დაიპყრო ვაჟის წყლიანმა თვალებმა და ბავშვურმა თავდავიწყებამ. სამიოდე თვის შემდეგ მათ იქორწინეს.

— ბედნიერი ვარ! — უთხრა ქმარმა, როცა მარტონი დარჩნენ.

მერიმ თანაგრძნობით შეხედა, უნდოდა ეთქვა, მეც ბედნიერი ვარო, მაგრამ თვალები აუთამაშდა და თავი დახარა.

— რევაზ, მცივა, ფანჯრები დახურე.

ფანჯრები დახურული იყო.

ახალშეუღლებულთ სამოთახიანი ბინა ეჭირათ. როცა მერი შინ მარტო იყო, ფანჯარასთან იდგა. გასწევდა ვეებერთელა მოქარგულ ფარდებს და ფიცარზე ნიდაყვდაყრდნობით გარეთ იცქირებოდა. ამ იღუმალ მოლოდინში მოავონდებოდა ნაცნობი ფანჯრები. რა ბედნიერად ჩასთვლიდა თავს, სტოდნოდა, როგორი ხმა ჰქონდა იმას: ალბათ, ძლიერი და სასიამოვნო.

მერიმ სახლამდე ძლივს მიაღწია, თითქოს იგი ფეხდაფეხ მისდევდა და, უკან რომ მიეხედა, გული ნამდვილად შეუღონდებოდა. ხორაგინი კალათი კარის კუთხეში დაადგო. კარები რომ მაგრად ჩაკეტა, ისე ღრმად ამოიოხრა, თითქოს ყოველგვარი ტკივილი ჩამოიშორაო. მაგრამ თავის გრძნობებთან მარტო რომ დარჩა, შიშმა კიდევ უფრო შეიპყრო.

— დედა, რატომ დაგავიანდა?

მერიმ ფართოდ გააღო თვალები.

— ოჰ, ჩემო შვილო, მოდი ჩემთან.

ბიჭმა შენიშნა, როცა დედა აფორიაქებული ბრუნდება შინ, ჩვეულებრივზე მეტად ეალერსება, თითქოს ეშინია, არავინ წაართვას იგი. მერიმ ბავშვი მკერდზე მიიკრა, თვალი სადღაც ერთ წერტილს გაუშტერა.

წლების მანძილზე მერიმ ბევრი რამ ისწავლა. რაც უნდა უგუნებოდ ყოფილიყო, ქმარს წარბგახსნილი ხვდებოდა. იცოდა, მაგიდის რომელ მხარეს უყვარდა ჯდომა და იმ ადგილს განსაკუთრებული ყურადღება ეტყობოდა. როცა ქმარი შინ იყო, მეზობელთან სალაპარაკოდ არ გადავიდოდა, არც რაიმე საქმეს მოჰკიდებდა ხელს. მაგრამ ქმარს თვალს ვერ უსწორებდა, ეშინოდა, უნებლიეთ არ გაემყლავნებინა თავისი მშფოთვარე გულის საიდუმლოება. ქალს ვერ გაეგო, რატომ იყო, რომ რევაზი შინ

ყოველდღე ერთი და იგივე განწყობილებით ბრუნდება: მხიარული, ხალისიანად მოსაუბრე და, რაც უფრო ძნელი იყო მერისთვის, მოსიყვარულე.

ხუთ საათს რომ გადაშორდა, მერი მღელვარებამ შეიპყრო. ფანჯარას არ შორდებოდა, თუმცა ქუჩაში განსაკუთრებულს არაფერს მოელოდა. გონებაში გარკვევით ხედავდა, ვინც უნდა მოსულიყო. მერე მოეჩვენა, თითქოს ოთახიდან ყველაფერი გაეტანათ და ცის უსასრულობას შეერთებოდა ლამაზად მოხატული ბროლისჭალიანი ჭერი. უცბად ამ სიცარიელეში, მიწისა და ცის უსასრულობაში ყველაფერი განათდა. და მან დაინახა ორთა თამაშის დასასრული. მერი შეკრთა და სახეზე ხელი აიფარა.

ფეხის ხმაზე უკან მიიხედა.

— რატომ დაიგვიანე, ხომ იცი, რომ გელოდებით! — თავდაჭერილად უსაყვედურა ქმარს, მაგრამ მაშინვე გაუქრა მოლოდინის მძიმე შეგრძნება და... ისევ მარტოობა მოუნდა. გაუკვირდა—რატომაა, რომ როცა შინ მარტოა, ქმარს ელოდება, მაგრამ მოვა თუ არა რევანში, კვლავ მარტოობა სწყურია?..

რევანს მაკინტოში ჩამოართვა და გარდერობში დაკიდა. უკან მობრუნებული მაგიდასთან გაჩერდა, სადაც რევანში ჯდება ხოლმე... მერიმ იგრძნო მკლავზე ხელის შეხება, მისივე შებრუნდა და ქმარს ცივად ჰკითხა:

— ხომ ვისადილოთ?! ახლავე მაგიდას გავაწყობ! — და სამზარეულოში გავიდა.

რევანმა ქალს თვალი გააყოლა და ბაგეზე იკბინა. ერთხელ კიდევ დაინახა, რომ ქალის გული არ იქნა და ვერ დაიპყრო. იქნებ სჯობდა, ყველაფერი ეთქვა და ბოლო მოეღობოდა ამ თვალთმაქცობას?..

— რა გააკეთე დღეს? — ჰკითხა მან ჩვეულებრივი ღიმილით ცოლს, როცა იგი თეფშებით ოთახში დაბრუნდა.

— შენი საყვარელი კერძი.

— ძალიან კარგი.

მერიმ მაგიდა გააწყო. ბავშვი მათ შორის იჯდა და სამივე უსიტყვოდ ჭამდა. რევანმა რამდენჯერმე სცადა საუბრის დაწყება, რომ უხერხულობა დაეძლია, მაგრამ ხედავდა: ყოველი მისი ცდა უშედეგო იყო. არ იქნა, წლების მანძილზე ფარდა ვერ ჩამოხსნა თბილი ღიმილის მიღმა გაშლილ სიცარიელეს. ისადილეს. ბავშვი სამეცადინოდ თავის ოთახში გავიდა. როცა მერი მაგიდას ალაგებდა, რევანში ფიქრობდა წელანდელ უპასუხოდ დატოვებულ ალერსზე. ვერ გაეგო, რისი შედეგი იყო იგი. როგორც კი შესაფერი დრო გამოჩნდა, მისი ხელები ისევ შეეხო ქალის მკლავს.

— გია! — დაიძახა მერიმ.

— რა გინდა, დედა? — მოისმა მეორე ოთახიდან.

— მოდი აქ.

ბიჭმა კარებში თავი გამოჰყო.

— იმეცადინე?

— კი.

— აბა მამაშენს მოუყევი გაკვეთილები.

ეს შესანიშნავი სცენა ისე გათამაშდა, თითქოს მერის ყველაფერი წინასწარ ჰქონოდა მოფიქრებული.

— მოიტანე წიგნები, — უთხრა ბიჭს რევაზმა.

მერი თავის ოთახში გავიდა და ცდილობდა თავი დაემშვიდებინა, თუმცა მარტოობისა ბავშვივით ეშინოდა. აი მან გარკვევით დაინახა ნაცნობი ფანჯრები... მოაგონდა, როცა ისინი ერთხელ ქუჩაში შეხვდნენ ერთმანეთს. მთვარიანი საღამო იყო. ნიავი არ იძვროდა, თითქოს სულგანაბული მათ გულის ხმას ყურს უგდებდა. მხრებგაშლილი მაგნოლებიც გატრუნულიყვნენ. მერის ახლა ყველაფერი დაწვრილებით მოაგონდა და გაწითლდა.

იგი ადგა, კარში გაიხედა და მამა-შვილს დააკვირდა. მაგრამ მაშინვე გამობრუნდა — საშინელი ტკივილი იგრძნო გულის სიდრმეში.

„მე აღარ შემიძლია ასე ცხოვრება, რაღაც უნდა ვიღონო...“ — ფიქრობდა ამ დროს რევაზი.

რევაზი დაელოდა სასკოლო არდადეგებს, შვებულება აიღო და ბავშვთან ერთად სოფელში ისე წავიდა, მერისათვის არაფერი უთქვამს. და როცა მამა-შვილმა კარები გაიხურა, მერი სკამზე უღონოდ დაეშვა. იგი განადგურებული იყო. არ იცოდა, რა ხდებოდა მის გარშემო, რას უპირებდნენ. კრინტი ვერ დაძრა, ბავშვი სად მიგყავსო. რევაზი და გია ხელიხელჩაკიდებული მიაბიჯებდნენ. ბავშვი სოფელზე ლაპარაკობდა, უხაროდა ბებიასა და ბაბუასთან შეხვედრა. რევაზს იღუმალი ხმა არ ასვენებდა, რაღაც ძალა უკან ეწეოდა, დაბრუნდიო. რაც უფრო შორდებოდასახლს, მით უფრო და უფრო გრძნობდა, რა ძლიერ ჰყვარებია ცოლი.

მათი ოდა-სახლის წინ მაღალი კაკლის ხე იდგა. ივნისის მცხუნვარე ღრეებს რევაზი მის ჩეროში ატარებდა. გია შორიასლო პეპლებს დასდევდა, ყვავილებს კრეფდა, ბაბუას ტყეში დაჰყვებოდა. საღამოობით ლოდზე ჩამომსხდარი მამა-შვილი თევზაობდა. თითქოს, ყველაფერი კარგად მიდიოდა. მაგრამ რევაზს საშინელი ფიქრები გულს უღრღნიდა, ეჭვი კენწლავდა; აგონდებოდა მიტოვებული ცოლი, რომლისგანაც არაფერი ისმოდა და, როგორც რევაზი ფიქრობდა, ქმარ-შვილი არც ახსოვდა. ნუთუ მის სასარგებლოდ მოიქცა?..

გიას ყვავილები დაეკრიფა და, კონებად რომ შეკრა, მამას უთხრა:

— შეხედე, მე ამას ქალაქში წავიღებ!

ქალაქის ხსენებამ რევაზს მოაგონა, რომ ბავშვი ისევ დედაზე ფიქრობდა.

— რა გინდა ქალაქში, აქ უკეთესი არ არის?!. — რევაზმა ახლა შენიშნა ბიჭს მოწყენილობა.

— ყვავილებს დედას წავუღებ. — ყვავილებიანი ხელი დასწია და ახლა კიდევ უფრო ნაღვლიანად უთხრა: — დედა რატომ ერთხელ არ ამოვიდა?!

რევაზმა საღდაც შორეთში, ნისლოვან ბურუსში დაინახა აკვანში მწოლიარე გია, რომელიც სველ, პაწია ტუჩებს აცმაცუნებს, რაღაცას ითხოვს, რაღაცა სურს და ეს რაღაც იცის მხოლოდ დედამ. მერე ამავე ბურუსში გამოჩნდა აკვანთან დახრილი ძერი. რევაზი შესტკეპროდა მის მგრძნობიარე სახესა და თვალებს. ეს მოლანდება მისთვის საამოც იყო და მტკივნეულიც.

— დედა ამოვა? — გამოარკვია ბავშვის ხმამ.

— ამოვა, ნუ ფიქრობ!

რა თბილად დაურჩა ნათქვამი! თითქოს დედა საღდაც აქვე იყო, კიდევ რამდენიმე წამი და ჭიშკარს მოადგება, და იგი ბავშვს ეტყვის, გახედე, მოვიდაო. დედაზე რომ არ ეფიქრა ბავშვს, სიტყვა თევზაობაზე ჩამოუგდო — შეღამებისას მდინარეზე წავიდეთო. მაგრამ იმ ღამეს ბიჭს წყალში დგომა მოუხდა და მეორე დღეს სიცხე მისცა. ექიმს გამოუძახეს. რამდენიმე დღეში ბიჭს მომჯობინება დაეტყო, მაგრამ უმადობა შერჩა. რევაზმა იგრძნო, რომ ბავშვის უხალისობა მარტო ავადმყოფობის ბრალი არ იყო. პირველსავე დღეს სიცხიანი ბავშვი დედას ითხოვდა. ხანდახან, შუალამისას, მიძინარე წამოიძახებდა, დედა მომიყვანეთო. დედისთვის დაკრეფილი ყვავილები სასთუმალთან ეწყო.

რევაზის გონებაში მოგონებები ირეოდა: ხუთი საათი შესრულდა, სამუშაოდან ბრუნდება. კარებს მერი აღებს. მაგნიტოფონი უკრავს მის საყვარელ სიმღერას. გრძნობს, მთელი დღის ნამუშევარს მყისვე ხალისი ეუფლება.

— მამა!

— მოვდივარ!

გია ლოგინზე წამომჯდარიყო. ხელში დამტკნარი ყვავილები ეჭირა. ჩათეთქილი ლოყები და უღიმღამო თვალები ჰქონდა.

— მამა, როდის წავალთ?

რევაზმა მოულოდნელად მკაცრად შეხედა:

— ჩემს თავს დედა გიჯობს?

ბიჭი ატირდა.

რევაზი მიხვდა, რომ ბავშვს უსამართლოდ მოექცა. მან ბევრჯერ გადაწყვიტა დაეტოვებინა სახლი, წაეყვანა ბავშვი და ცალკე ეცხოვრა. ბოლოდროს ამ აზრს საბოლოოდ დაადგა, მაგრამ ახლა გაიფიქრა, ბავშვი დედასთან დაეტოვებინა.

— კარგი, ნუ სტირი, წავიყვან.

— შენ?

მზეს თითქმის სამი დღე არ გამოუხედავს, ცას ორკეცი ღრუბელი ფარავდა: ერთი თეთრი, მღვრიე ფერისა იყო და ხევში ჩაწოლილი თოვლივით გაქვავებულიყო. მეორე — შავი, მატყლივით გაპენტილიყო და ქარი მთებისაკენ მიერეკებოდა.

მთელი ხუთი საათის განმავლობაში, ვიდრე ისინი ქალაქში ჩავიდოდნენ, ხმა არ გაჟლიათ. რაც უფრო უახლოვდებოდნენ სახლს, მით უფრო რევაზი გულს ვერ იმორჩილებდა. ასე ეგონა, კრუნჩხვა მომივლისო. ნაცნობი ქუჩები, ნაცნობი სახლები — არაფერი არ შეცვლილა მათი არყოფნის დროს. ნაცნობი სახეები ჩვეულებრივ ესალმებოდნენ მას. გიამ უკვე ნაბიჯს აუჩქარა. რევაზმა მას უნდობლად გააყოლა თვალი და სახლის შესასვლელთან შეაჩერა. მარტო გაუშვას თუ შეჰყვეს?... აივნიდან მეზობლის ქალმა გადმოსძახა: „გამარჯობა, რევაზ! როდის ჩამოდი?...“ მღელვარების დასაფარავად რევაზმა სცადა ჩვეულებრივ გამოლაპარაკებოდა მეზობელს, უფრო კი — განრიდებოდა, და გიას უნებურად უკან გაჰყვა.

მერი წინა ოთახში იჯდა, მაგიდაზე ნიდაყვიჩამოყრდნობილი. კარის ხმაურზე თავი მიძიმედ ასწია და ნაღვლიანი, ჩაცვენილი თვალები შვილს მიაჩერა. ბიჭი მისკენ გაქანდა. რევაზი კარის ზღურბლთან შეჩერდა. ოთახში შეხუთული, მიძიმე ჰაერი იდგა. ფანჯრებზე ჩამოშვებული ვეებერთელა მოქარგული ფარდები ბინას აბნელებდა. საწოლებისათვის ხელი არავის ეხლო, მხოლოდ ერთგან ზეწარს სხეულის მოყვანილობა ეტყობოდა — ალბათ, მერი ტანგაუხდელი წვებოდა. მაგიდაზე ეყარა დაურეცხავი თეფშები და ხმელი პურის ნამცეცები. მერიმ ბავშვს რომ მოხვია ხელი, რევაზმა მხოლოდ მაშინ დაინახა მის ტანზე ძველი, დაჭმუჭნული ხალათი. ქალს თმები დაუვარცხნელი და აწეწილი ჰქონდა.

— არა! — დაიყვირა რევაზმა.

— რევაზ! — ქვითინი აღმოხდა მერის.

— მამა! — გაისმა ბავშვის შიშნარევი ხმა.

რევაზის აშლილ გონებაში ბოროტი ხმები უცბად ჩაჩუმდნენ. მამაკაცს რაღაც უცნაური, შორეული სიმღერა მოესმა. ვიღაც მღეროდა, ვიღაც აი აჟ, ახლოს. მაგრამ ვინ?... რევაზს დაწითლებული თვალები ცრემლით აევსო. შუა ოთახისაკენ გაემართა და დააკვირდა ქალის აცახცახებულ მხრებს. მოეჩვენა, თითქოს სიმღერას ქალის მხრების ცახცახი აჰყოლოდა. მერე ეს უცნაური, შორეული სიმღერის ხმა ჩადგა და რევაზმა ჩაბნელებულ ოთახში გარკვევით დაინახა შვილის მუდარიანი თვალები.




შალვა შუბლაძე

თ ე თ რ ი გ ე დ ი

თეთრი,
თეთრი
ღრუბლის ქულა
მთაზე დაჯდა კაცურად,
თვალი დიდხანს აფახულა —
გამაოცა დანახულმა,
ლამაზმა და მაცდურმა.
გედი იყო,
თეთრი ყელით
ჩანდა ზეცის ასულად.
უცებ მზერა ვიგრძენ მწველი.
დამიქნია შორით ხელი
და ლაყვარდში გასცურა.

გედო!
ჩემო სიჭაბუკევე,
ნეტავ საით წახველი?!
გადიარე ცხრა მთა უკვე
და სიჩქარეს როდი უკლებ
არცა რაის მნახველი...
და მიილტვი წინ და წინა,
გულის სევდას მიმატებ,
შენ რა იცი
სად მიფრინავ,
ჩემო ბედო პაწაწინა,
ჩემო თვალის სინათლევ!



მამია პარპანიძე

ზარების გუგუნო

გულო-ადა კაიკაციშვილის ხსოვნას

ჩეკავს ზარებს მგლოვიარედ, ყური უგდეთ ტაძარს,
ყური უგდეთ წმიდა სიონს, ეს არაა ლოცვა...
რად უნდოდა სხალთის ტაძარს, ცისფერ ტაძარს ძაძა,
ცისფერ ხატებს ენატრება ალერსი და კოცნა.

რად უნდოდა ჩემს აჭარას გოდება და ცრემლი,
არ ეყოფა უბედობა და წამება, მითხარ?
არ ეყოფა უამთ სიავე ვაზის ფოთოლმცვენი,
არ ეყოფა ჭრილობები ასჯერ მოკლულ ხიხანს?

ხახულის და ბანას კედლებს მიასკდება ქარი,
მკვდრეთით აღდგა, რომ დარეკოს სამრეკლოთა ზარი,
და ლაზეთიც იცრემლება, ვით ლამაზი ქალი,
კარჩხალს გულში გასჩენია ნაღველი და ბზარი.

სასაფლაოს მდუმარება არ გვჩვევია არა,
არც გლოვა და ვიში გვიყვარს და არც წამებს არ ვთვლით.
ჩვენ ვქმნიდით და ჩვენ ვძერწავდით ღვთიურსა და მარადს...
შავად რისთვის შემოსილხარ, ჩემო დედავ ქართველის?!

ჩვენს სამკვიდროს, ჩვენს სავანეს ვინც ლოცავდა გზნებით,
ვინც სიმღერის, სიყვარულის ვერ იკლავდა წყურვილს,
ქართველის დედავ, მიიძინა?! ჯავრით მითეთრდები,
არ გვეოფნიდა სავალალოდ განა წიწამური?!

ჩეკავს ზარი სიონისა, არის ზართა ხლეჩა,
რა ათრთოლებს ანგელოზებს, რა აკვნესებს ქურუმს?!
ჰე, მამულო, დიდების და სიყვარულის ხვეჭავ,
ნაღველი რად შეჰპარვია შენს საამო ურმულს?!

მთაწმინდაო სალოცაო, კურცხალო და სევდავ,
 ეს კუბოა თუ ვარსკვლავი ჩამოცურდა ციდან?!
 დაიტირე, დაიტირე, ვინც გაკურთხა ღმერთად,
 ვინაც შენი სიყვარულის სავე თასებს ცლიდა.

შეგავედრა: — მკვდარს თუ ცოცხალს, ნუ გამწირავ, დედავ,
 დამაფარე შენი კალთა, ჩამიხუტე ტკბილად.
 მიწა თრთოლავს, მიწა გმინავს, ცა ჩამოქუხს ელდად,
 ფერფლად იქცა ძე რჩეული, დედავ, ძუძუ გტკივა!
 გახსნილია ჭრილობები, ცრემლი ლოდებს ალბობს,
 ზამბახებში, შროშანებში თეთრი წვერი ბრწყინავს.
 გულო-აღა იჩოქებს და მგოსანს უძღვნის ამბორს,
 მოიტანა აჭარლების გული, ფიცი წმინდა!

„— ეჰ, აჰაჰი! ერის ბედმა დაგწვა, დაგანელა...
 დაგტირიან, გავედრებენ, მე მოხუცმა რა ვთქვა.
 ვარ დაღლილი აჭარელი შოთას სავანედან,
 ნაწამები ხორშაკიან წუთისოფლის ქართა.

იციო, ძმებო, დიდებული ჩვენი სამესხეთო,
 სურდა მონად გაეხადა სულთანსა და ვაზირს.
 თაფლში შხამი შეგვავარეს, რაზომ გეტანჯეს, ღმერთო,
 დაგვილეწეს გუმბათები, აგვიტირეს ვაზი.

ჩვენ გვიბრძანეს: — დაუჩოქეთ მუჰამედს და მექას!
 ვის ხვდა წილად, რომელ ქართველს ასე მწარე ბედი?!
 მაგრამ ჩვენი მაჭახელაც, იციო, როგორ ჭეჭდა,
 ვეფხი იყო სელიმი თუ ჩვენი კახაბერი.

ღვთის წყალობით დაგიბრუნდით ნესტანი თუ ზეზვა,
 მშობლიური სიყვარულით გულში ჩავვიხუტეთ.
 აჰა, თითქოს ნატვრის მთაზე ამოგორდა მზე და
 სხალთაში თუ კახაბერში წკვარამ ღამეს უტევეს.

დამიჯერეთ, გვიჭირს ახლაც, ერთი ნახეთ თვალით,
 სიბნელეს და უმეცრებას ველარ გადავურჩით.
 ყურყუმეთში დავბარბაცებთ, ვით ზედაშით მთვრალი,
 გვენატრება ლექსთა თქმა და მიმორხვეა ფუნჯის.

არ დავგტოვონ ძმებმა ობლად, დაუბარე ყველას,
 ჩვენი დარდი, ჩვენი ურვა, როგორ მოგითვალო!
 ჯერ რთველი არ დასდგომია ჩვენს ბაღსა და ვენახს,
 ჯერ სიმები ღუმან ისევ და გედი არ გალობს.

გეთხოვები მგოსანს, ღვთის კაცს, ერის ზენა-მთავარს,
შენ გაცხონოს დიდმა ღმერთმა,
შენს კვალს მივეყვით ქინით.
საქართველოს გაუმრავლდეს შვილი შენისთანა
შენი ხელით ანთებული კელაპტრების ქინქლით!“.

მღუმარება, მღუმარება.. და მეღნის ტბა შავი...
ვის ქვეთინი შვენის ჩუმი, ვის გოდება-კვნესა.
ვინ მგოსნის შუბლს ეამბორა, ვინ დაკვესავს შაირს.
აგუგუნდა მთაც მაღალი, მთა ზვიადი კვესავს.

მთაწმინდაო, მიიბარე, გაუხსენი უბე,
შენზე ფიქრში, შენს ლოცვაში გაუთეთრდა წვერი!
დიდ მთაწმინდას ბულბულების გუნდი გადაუფრენს.
ვარსკვლავების სავანეო, სევდით გაღირწევი!

ბულბულების გუნდი იყო, თუ მგოსნების სული,
ვარსკვლავი სად გაიტაცეს?! თვალი ვერვინ ჰკიდა,
და თბილისი რეკდა ზარებს შავად ჩანისლული,
მზე-ვარსკვლავი გუმბათებზე შუქურქინქლებს ყრიდა..

3

გულო-აღავ, შენს მდინარეს ჩაუვლია მალე,
შენ წასულხარ, მე მოვედი, ოცნებების გედი.
ახლა ვხვეტავ მარგალიტებს, ვთვალე, ვერ დავთვალე.
მეზობელო, ღვთიურ ენით დავგილოცე ბედი.



მიხაილ გორგბილაძე

ბ ზ ი ს ჯ ო ხ ი

ზამთარი დიდხანს ჭირვეულობდა, ხან ბარდნიდა, ხან სეტყვა წამოუშენდა. თუ კი ოდნავ დათბებოდა, თოვლი წყლად მიდიოდა და სახურავებიდან ლანჩერივით ეშვებოდა.

სევდიანი ზამთრით თავმოებზრებულნი გამომწყვდეულს ვგავდით, ან ქარხანაში ვიყავით, ან სახლში ვიჯექით, ჭადრაკს ვთამაშობდით და ველოდით გამოდარებას.

როგორც იქნა, მარტის დამდეგს გამოჩნდა ლურჯად გადაჭიმული ცა და თეთრად მოქათქათე მთები. მზეს ხალისი მოჰყვა, ქუჩები ჯერ დაიწრიტა, შემდეგ ხალხით აივსო.

— ამღერებულ ბუხართან შამფურზე აშიშინებული მწვადი, კეცის ცხელი მჭადი, ჭყინტი ყველი და ერთი დოქი ადესის ღვინო რომ მოგართვან, რას იტყვი? — შესვენების წინ მკითხა შალვამ.

— სად მეპატიეები?

— სოფელში, ბაბუაჩემთან. მოდი, ვესტუმროთ, მოხუცს ძალიან გაუხარდება.

მაშინვე დავეთანხმე. შაბათს ჩემს „მოსკვიჩში“ ჩავჯექით და გურიისაკენ გავწიეთ.


ქალაქის განაპირა. გორაკები ჯერ კიდევ თოვლით იყო დაფარული, ზღვიდანაც ცივი ნიავი უბერავდა. მხოლოდ დაბლობში იგრძნობოდა კარს მომდგარი გაზაფხული. მდელოები მწვანით იმოსებოდა, სამზეურები იასა და კვარაყუნჩხას მოექარა.

გზადაგზა გავიგე, რომ ჩემს მეგობარს სოფელში ბაბუა, ბიცოლა და ბიძაშვილი ჰყავდა. ბიძია ფრონტზე დაღუბოდა.

— ოქრო ბაბუა მყავს, თავისი საკარმიდამოდან ნაკვეთი გამომიყო, თვითონ უვლის, შემოსავალს უკანასკნელ კაპიკამდე მაბარებს.

— დაელოცოს მარჯვენა. ხშირად ილოცე, ბიჭო, არაფერი მოუვიდეს.

9792
667



— არაფერი მოუვა. ისეთი ჯანი აქვს, ხეს მოთხრის.

ორი საათის შემდეგ შევალეთ ცისფრად შეღებილი ჭიშკარი. ორსართულიან სახლს დარაჯებივით ჩასდგომოდა ტანაყრილი ნაძვის ხეები. ვაღახრილი მზე ნაძვის ტოტებში გაბლანდულიყო და მორცხვად იჭყიტებოდა.

სამზარეულოდან მკლავდაკარწახებული, საშუალო ხნის ქალი გამოვიდა. მივხვდი, რომ შალვას ბიცოლა იყო. მას ფეხდაფეხ გამოჰყვა ოცდახუთ წელს მიღწეული ქალიშვილი.

— ამას ვის ვხედავ! — გაიბადრა დიასახლისი. ჯერ შალვას გადაეხვია, შემდეგ მე. ქალიშვილმა გაუბედავად შემომხედა და ხელი უსიტყვოდ გამომიწოდა.

— გიორგი ბაბუა სადაა? — იკითხა შალვამ.

— ვენახს ბარავს, აგერ მოდის.

ბაღის მხარეს გამოჩნდა სამოცდაათ წელს გადაცილებული, ჭალარა-მორეული მამაკაცი. მიუხედავად ხანდაზმულობისა, მსუბუქად ამოათავა პატარა აღმართი, ბარი ხეზე მიაყუდა და ჩვენკენ გამოემართა.

— შე მამაძაღლო, ასე უნდა დაიკარგო? სტუმარი რომ არ გახლდეს, ეზოში არ ჩამოვიშვებდი, — მოჩვენებითი წყრომით უსაყვედურა. ჯერ მე მომესალმა, შემდეგ შალვა ჩაიკრა მკერდში. ჩემი მეგობარი თითქოს ჩაიკარგა მოხუცის გოლიათურ მკლავებში.

— აბა, ქალებო, თქვენ საქმეს მიხედეთ. მანამ ჩვენ ბაღში ჩავალთ.

მოხუცი წინ გაგვიძღვა. ერთმანეთში გადაბარდნილ ტოტებს ისეთი ხმაურით მიარღვევდა, თითქოს ზღვის ტალღებს ებრძოდა.

— ზომ ხედავ, ბიჭო, შენი ნაკვეთიც გადავბარე, შენ კი, შე მამაძაღლო, ჩასაბარებლად ამოსვლა გეზარება, გატკიცინებული ათმანეთიანები კი ძალიან გიყვარს.

— მართალი ხარ, ბაბუ, ვღებულობ შენიშვნას.

— ჰოდა, ნუ გავიწყდება, გლეხის მოდგმა ხარ. ეს დალოცვილი მიწა უნდა გიყვარდეს, ერთი ძირი მსხალი რომ გქონდეს, იგიც საქმეა, შენს გემოზე მოიხმარ, არავინ დაგაყვედრის. ხელს თუ გაანძრევ, მიწა ასკეცად გადაგიხდის. ბაზრის იმედით რომ იცხოვრო, ჯიბე მუდამ სასვე უნდა გქონდეს. საკუთარი მკლავით მოწეულს მაინც სხვა გემო აქვს, შვილო!

მოხუცს ფეხდაფეხ მივყევით. მთელი ბაღი ისე გეგმაზომიერად იყო გაშენებული, თვალს იტაცებდა. ღობის გასწვრივ ხეხილი მოჩანდა, ვანაპირას ვენახი, სამზეურზე ჩაი, სახლის მხარეს ციტრუსი, ახალგადაბარულ ბაღში ჩაგუბებულიყო ნედლი მიწის თავისებური სურნელება.

საღამოს სუსხმა შემოჰკრა. ბაღში დიდხანს არ დავრჩენილვართ. ოთახში მოგუზგუზე ბუხარი დაგვხვდა. ნახევრად ჩანაკვერჩხლებული შეშა ხმაურით იწვოდა. ცეცხლის პირას, ერთ მხარეს, მჭადები აფეციცხებიანთ, მეორე მხარეს ნაკვერჩხლები გამოეჩხრიკათ და შამფურზე მწვადები შიშინებდა.

ოთახის სიბოძო, ბუხრის ხალისიანმა ხმაურმა, მადის აღმძვრელმა სურნელებამ ქეიფის განწყობილება შემიქმნა.

მრგვალი მაგიდა ბუხართან მოსწიეს, გიორგი ბაბუამ დოქით ღვინო მოიტანა, დიასახლისმა სუფრაზე მწნილი, მოხარული და შემწვარი ხორცი, ტყემლის წვენი, გაფიცებული მჭადი და კეცზე გამომცხვარი ხაჭაპური ჩამოაწყო.

— სული დაიპურეთ, ვახშამიც მალე იქნება, — გვითხრა დიასახლისმა.

— დაუძახეთ ვინმეს? — იკითხა გიორგი ბაბუამ.

— აბა, რაი, კაცო! — მოკლედ მოუჭრა რძალმა.

აშკარა იყო, ქეიფი გველოდა. სმას არ მივძალებივართ, თავი დავიზოგეთ. დავნაყრდით. ღვინოს ჭაშნიკი გავუსინჯეთ და ისევ მასლაათს მოვყევით.

თვალში მომხვდა იქვე, ბუხრის კუთხეში მიყუდებული თეთრი, ოდნავ მოყვითალო ჯოხი. უნებურად შევავლე ხელი. ისეთი მძიმე იყო, გამიკვირდა. სიმაღლით მეტრნახევარი თუ იქნებოდა. ნელღი არ ჩანდა. ხელში შევათამაშე. იმდენად მკვრივი იყო, ვერც გაღუნავდი, ვერც გადაამტვრევდი. არა მგონი რომელიმე მოხუცს ხელჯოხად გამოდგომოდა, დაჰქანცავდა. უმაღლე ვიფიქრე, ალბათ, მწყემსის კომბალია-მეთქი. მწყემსები ზოგჯერ მას იარაღადაც ხმარობენ, მაგრამ ფორმით კომბალს არ ჰგავდა, მინის მილივით გლუვი და სწორი იყო.

— ეს რა ხეა? — ვკითხე გიორგი ბაბუას.

— ბზაა, შვილო. უწინ ნატანებსა და ჩოლოქს შორის დიდი ტყე იყო. საღარიბოს ტყეს ვეძახდით. იქ ბევრი იყო ბზა. გურიელი ამზადებდა და საზღვარგარეთ ჰყიდდა. ეს, — ამოიხვნეშა მოხუცმა, — ისეთი ტყე გაანადგურეს, თვალი უკეთესს რას ნახავდა!

— ბაბუ, ამ ჯოხის ამბავიც მოჰყევი. მწერალი კაცია, იქნებ რაიმეში გამოადგეს. — სთხოვა შალვამ.

მოხუცმა ულვაშზე ხელი გადაისვა და ჩაიცინა. ეტყობოდა, ამ ჯოხთან ან საინტერესო შემთხვევა იყო დაკავშირებული, ან მოხუცს ორიოდეჭიქა ღვინომ ლაპარაკის საღერღელი აუშალა.

— ეს დიდი ხნის ამბავია, ძალიან დიდი ხნის. მე მაშინ ლევარსი ქარცივაძესთან ვიდექი მოჯამაგირედ. გროშებს ვაგროვებდით, რომ მიწა გვეყიდა. თხუთმეტი წლისამ დავუდექი მოჯამაგირედ და საცოლედ მოღერებული ბიჭი ვიყავი, იქიდან რომ წამოვედი. ათი წლის მოჯამაგირეობით ძლივს ორი ქცევა საყანე ვიყიდე. ქარცივაძეებს დიდი მამული ჰქონდათ. აზნაურები იყვნენ, მარა თავადობდნენ. მერიდიან ზღვამდე რაც კარგი საყანე და ტყე იყო, ყველა მათ ეკუთვნოდათ.

ლევარსის ერთი ბიჭი ჰყავდა, ლევანი. ჩემი ტოლი იყო. ისე შემეთვისა, ძმა ხარ ჩემიო, მეუბნებოდა. სანადიროდ წავიდოდა, საქეიფოდ თუ ქალაქში, მეც თან უნდა ვხლებოდი. მუნწი არ იყო მამასავეთ. ერთხელ დამბაჩა

მაჩუქა, მეორედ ქამარ-ხანჯალი. არც მე ვიყავი ვალში, ნამუსიანად ვმძინავრებოდი.

ასე გავიდა ათი წელიწადი.

გულხკაცი მთელი ცხოვრება ანგარიშობს და ანგარიშობს. ეშინია ხვალინდელი დღისა, რადგან შეიძლება ისე მოეცაროს ხელი, ცივ ქვაზე დარჩეს. მეც ასე კაპიკ-კაპიკ ვანგარიშობდი ჩემი ათი წლის ნაოფლარს და რა გასაკვირია, სახტად დავრჩი, ერთი მესამედი რომ დამაკლეს. ესაო, შენი შენახვაო, ესაო, შენი ჩაცმა-დახურვაო... მოკლედ, ლევარსიმ ფეხქვეშ გამიგდო და გამთელა, მაგრამ რა მექნა, ძალა აღმართს ხნავსო, ნათქვამია. ისეთი ცოფიანი იყო, ვინ რას გაუბედავდა!

რაკი გულმოკლული მნახა და დამსწრებთან უხერხულად იგრძნო თავი, მანუგეშა, აი იმ ბედაურს ხომ ხედავ, მაკეთაა, კვიცი როგორც კი მუხლს გაიმაგრებს, მოდი და წაიყვანეო.

რა მეთქმოდა, ჩათრევას ჩაყოლა ჯობიაო, ნათქვამია. თქვენი ნება იყოს-მეთქი, წავილულლულე, გამოვეთხოვე და შინისკენ გავწიე. მაშინ ცხენი მთელ სიმდიდრედ ითვლებოდა.

ორ წელიწადზე მეტი გავიდა. რამდენჯერ ჩავსულვარ მერეში საბალახოზე მიშვებული კვიცის სანახავად. ისე შევყურებდი, როგორც ამომავალ მზეს.

ერთ დღეს ძღვენით ხურჯინი ავავსე და ლევარსის კარზე მივადექი. ბედაური ეზოში ება, ალისფერი კვიციც იქვე დატორღილებდა. ისეთი მუხლი უჩანდა, ეტყობოდა დედას წააჯობებდა. თვალს ვერ ვაშორებდი, მღელვარებისაგან ლამის გული ამომივარდა საბუდარიდან.

რაკი თვალი ჰკიდა სავსე ხურჯინს, ლევარსი კიბეზე ჩამომეგება, არხეინად აროხროხდა, ჩემს ქებას მოჰყვა. კვიცზე ერთი სიტყვაც არ დაცდენია, თავი ისე ეჭირა, თითქოს არაფერს შემპირებოდეს.

— ჩემო გიორგი, სამაგიერო რა დაგამახსოვრო ახლა შენ? — შუბლზე ხელი მიიღო, წამით დაფიქრდა, შემდეგ მოჯამაგირეს გადასძახა, — ეჭვი, ბიჭო, მაქ, ბუხართან ბზის ჯოხი რომ არის, გამოიტანე, გიორგის უნდა ვაჩუქო.

ის ჯოხი, თავში რომ მომხვედროდა, ალბათ, ისე არ დამარტყანებდა, როგორც ლევარსის შეხვედრამ. რას ველოდი, რა მიფეშქეშა!

— აჰა, ბიჭო, პაპაჩემის ნაქონია, — ისე დამაყვედრა, თითქოს დიდ განძს ელეოდა, — უბრალო არ გეგონოს, ბზისაა, მთელ შენს საგვარეულოს ეყოფა.

„ეყოფაო“, მაგრამ თავში რა ქვად ვიხლიდი, ეს კი არ უკითხავს.

კიბიდან ნასროლი ჯოხი ჰაერშივე დავიჭირე. უმაღვე გამიელვა თავში, იქნებ დანაპირები მართლა არ ახსოვს-მეთქი. სხვა რა გზა იყო, გადაწყვიტე შემეხსენებინა, მაგრამ პირდაპირ თქმა ვერ შევბედე, ბატონის

ნაწყალობევ ჯოხს ცხენივით გადავაჯექი, ცხენივით დავიჭიხვინე, გვერდლიდან მოვუარე, დავაფრთხე და ოდისკენ გამოვრეკე.

მორბოდა აკუნტრუშებული კვიცი და თოხარიკით მოვსდევდი უკან. ლევარსი შეგვეყურებდა და სიცილისაგან იგუდებოდა.

— ეს რა ყოფილა, კაცო! ოი, გიორგი, შენ შეგაჩვენა ღმერთმა, ახირებული ხუმრობა გცოდნია.

კარგად მიხვდა, საითაც ვუმიზნებდი, მაგრამ შენც არ მომიკვდე, არ შეიტება. სიცილით გული რომ იჯერა, მოჯამაგირეს გადასძახა:

— ბიჭო, ხურჯინი დაუტალეთ, კაცს ამდენს რას აცდევინებთ! ეს იყო და ეს, ზურგი შემაქცია და კიბეს აპყვა.

დავრჩი გაწბილებული, შერცხვენილი, მოტყუებული.

მაშინ ჩემთან ლევანი მოვიდა და მხარზე ხელი დამადო:

— გიორგი, ნუ დაღონდები, ეს კვიცი არაბულია. არ მოგცემს, მაგრამ თუ კაცი ვარ, ერთ კვირაში გასახედნ ან გახედნილს მე თვითონ მოგვევრიო, — მითხრა.

დაცლილი ხურჯინი მხარზე გადავიდე, ბზის ჯოხი ხელში დავიჭირე და სახლში დავბრუნდი.

ლევანი უფრო პირიანი დარჩა. დანაპირები შემისრულა.

ამის შემდეგ მალე რევოლუცია მოხდა. მენწვევიკებმა ზღვით მოკურცხლეს, ლევარსიმ ჩვენი ჭირი წაიღო. ლევანზე თქვეს, ტყეს შეეფარა და ყაჩაღობას მიჰყო ხელიო.

მახსოვს, აპრილი იყო. მთელი დღე საყანეს ვხნავდი, დაღლილი დავბრუნდი.

სახლში ცოლისდა დამხვდა, ჩემს მეუღლეს კარგი ვახშამი მოემზადებინა.

ის იყო, სუფრას უნდა შემოვსხდომოდით, რომ ოთახში დაუკითხავად ვილაც კაცი შემოვიდა. ხელში მაუზერი ეჭირა, მხარზე მოკლე კარაბინი გადაეკიდა. წვერი და თმა ისე ჰქონდა მოშვებული, ველურს დამსგავსებოდა.

შეშინებულმა ქალებმა აზრმიუცემლად წამოიკივლეს.

— ჩუმად იყავით. სამტროდ არ მოესულვარ.

ხმაზე ვიცანი, ლევანი იყო. სამარიდან დაბრუნებულს დამსგავსებოდა. გამხდარიყო, თვალები ჩაცვენოდა.

— გიორგი, ვაფრთხილებ, თავი არ წამასაკრო. შენ სახლიდან არ გახვიდე. ქალებმა ვიჩნა, ყველი, ფქვილი, რაც მოგექვათ, გამიმზადონ, ცოტა რამ მეც მაჭამეთ და განთიადზე გავეცლებით, ფულსაც დავიტოვებთ. მუქთად არაფერი მინდა.

ოთახები გასინჯა. ფილთა თოფი მქონდა, მაგრამ გაუტენავი იყო,

სხვა იარაღი არ გამაჩნდა. დამშვიდდა, ქალებიც დაამშვიდა. გაიცინა, გამოელაპარაკა, სუფრასთან დაჯდა.

ვახშამს შევეუდექით. არ იქნა, ენა ვერ ამოვიდგით, თითო-ორი სიტყვას თუ ამოვღერღავდით და ისევ დავმუნჯდებოდით.

ლევანი ღვინოს მიეძალა, ხარბადაც ჭამდა. ვინ იცის, რამდენი ხანია სუფრასთან არ მჯდარა!

ყაჩაღი და მძარცველი იყო, მაგრამ რა მექნა, უაზროდ თავს ხომ არ შევაკლავდი, მშვიდობიანად გაცლა ვამჯობინე.

ნავახშმევს სამართებელი მოითხოვა. გაპარსულს ადამიანის სახე დაუბრუნდა.

— შენ ვერ გენდობი, იმ გოგომ მაკრატლით თმა შემომისწოროსო, ჩემს ცოლისდაზე თქვა.

ოღონდ ჩქარა გაგვცლოდა და წინააღმდეგობას არ ვუწევდით.

გაკოხტავებულმა შინაურულად გავვიღიმა.

— ხომ ხედავთ, არც ისეთი საშინელი ვარ!

— ო, რას ბრძანებთ! — ჩვენც მაშინვე დავეთანხმეთ.

ნავახშმევს ქალმა ტომარაში ჩაუწყო საჭმელი და კართან დაუდო.

— თქვენ იქით ოთახში დაიძინეთ, მე აქ დავრჩები. ცოტათი რბილ ლოგინში წავთვლემ. იცოდეთ, გულში ცუდი რამ არ გაივლოთ, თორემ...

გაფრთხილება რაღად გვინდოდა, ისედაც ვიცოდით, არ დავგინდობდა.

მე და ჩემი ცოლი ბავშვებთან დავწექით, ცოლისდა გვერდით ოთახში ყველგან სინათლე დავტოვეთ.

ძილი არ გვეკარებოდა. გველი სახლში მყავდა, რა დამაძინებდა, მხოლოდ იმას ვნატრობდი, მალე გათენებულყო.

შუალამით იატაკის ჭრიალი და ჩუმი ნაბიჯის ხმა ჩამესმა. ვიფიქრე, ალბათ, წასასვლელად ემზადება-მეთქი. მივაყურადე. ლევანმა ოთახი გადასერა, კარს მიაწვა. ყრუ ჭრიალი მომესმა. მეხი დამეცა თავს: ჩემთვის ხომ ჩემი სახლის ყოველი ჩქამი ნაცნობია! იმ ოხერს, ნუთუ ისე მოერიადვინო, კარები აერია და ცოლისდის ოთახს მიადგა? მაგრამ თუნდაც ასე იყოს, ქალს რომ შენიშნავს, მაშინ ხომ გონს მოვა, მით უფრო, ყველა ოთახში ლამა ანთებული დავტოვეთ.

მაგრამ ტყის ნადირისაგან ავი უფრო იყო მოსალოდნელი.

საშინელი ექვი და შიში დამეუფლა. მეგონა, ძარღვებში სისხლი გამეყინებოდა. ცოლიც რომ არ შემეშფოთებინა, ჩუმიად გადმოვედი ლოგინიდან და შარვლის ჩაცმას შევეუდექი. იმავე წუთს გვერდით ოთახიდან ქალის კივილი შემომესმა. შემდეგ ყველაფერი მიწყდა, აშკარა იყო, ის მხეცი ყელში წვდა.

წამიც აღარ დამიკარგავს, ცოლისდის ოთახში გავჩნდი. იმ გადარეულს ადამიანის გონება აღარ შერჩენოდა, შეშლილს დამსგავსებოდა. როგორც კი ოთახში შევიჭერი, ქალს ხელი შეუშვა და უმაღვე მაუზერი მოიმარჯვა.

— არ მინდა ცოდვა ჩავიდინო, მაგრამ ახლავე თუ არ მომშორდები, ლევი
გეფიცები, გესერი!

— ლევან, გონს მოდი, გესმის რას სჩადიხარ?

— ეს ქალი ამელამ ჩემი იქნება. მე ასე მსურს. თუ არა და...

მის ამღვრეულ, ველურ თვალებში აშკარად ჩანდა, რომ უკან არ და-
იხევდა, რა მექნა. შიშველი ხელით იარაღმომარჯვებულთან რას გავხდე-
ბოდი, თორემ პირდაპირ რომ შევებოდი, რას დამიმაგრდებოდა!

აი, მაშინ მომხვდა თვალში ბუხრის კუთხეში მიყუდებული ბზის ჯოხი.
საკმარისი იყო თუნდ ერთი ნახტომი, რომ ჯოხს მივწვდომოდი, მაგრამ ამ-
დენს გაცლიდა?

თითქოს ცოლისდა მიმიხვდა ჩანაფიქრს, უბედურებისა და შერცხვე-
ნის შიშით შეძრწუნებულმა უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა და ორი-
ვე ხელით მაუზერში წვდა მოძალადეს.

თვალის ერთი დახამხამება საკმარისი აღმოჩნდა ჩვენს გადასარჩენად.
ლევარს ქარცივაძე რას იფიქრებდა, რომ პაპამისის ბზის ჯოხი, რომელიც
მე მაჩუქა, მისი შვილისათვის საბედისწერო აღმოჩნდებოდა.

მოხუცმა ჩანავლებული ჩიბუხი ბუხარში გამოფერთხა და ახალი გა-
აწყო.

— შემდეგ? შემდეგ რა მოხდა? — ჩიბუხის ანთება აღარ ვაცალე მო-
ხუცს.

— შემდეგ? იმას დღე რომ დაადგა, ნულარ იკითხავ, შვილო! ჯერ იყო
და ქალებმა სული ძლივს ჩაუდგეს. დილით სახალხო მილიცია მოვიდა
და მოგვეცეს ლხენა, ყველაფერი „დაამღერებინეს“. მისი ამფსონები ეკალ-
დიდის ტყეში ყოფილიყვნენ დამალული. იმ ღმერთადლებმა ბევრი კარგი
ვაჟკაცი გააფუჭეს და ბევრი ოჯახი გაძარცვეს.


— სხვებიც დაიჭირეს?

— იმავე დღესვე.

ეზოში ძალღი ვილაცას ჯიქურ შეება. ძაღლის ყეფას მამაკაცის ხმა
მოჰყვა:

— ეჭვი, გიორგი, მოგვაშორე ეს სამგლე!

მოხუცმა ჯერ ჩიბუხი გააჩალა, შემდეგ მძიმედ წამოდგა და სტუმრებ-
თან შესახვედრად აივანზე გავიდა.



გული სალუქავაჲ
ეს მე ვკითხულობ...

ეს მე ვკითხულობ შენს თვალთა ინდექსს,
ვიცი, გულის ცეცხლს შენ რითი იქრობ.
გახსოვს, კიდევ რომ გითხარი იმ დღეს,
მე გეტყვი-მეთქი შენ რაზე ფიქრობ!
ეს მე ვკითხულობ შენს თვალთა ინდექსს
და ვიცი სევდა რად გეუფლება.
მე შენს თვალებში დავეძებ იმდენს,
რამდენის, ალბათ, არც მაქვს უფლება.
ეს მე ვპოულობ შენს თვალთა ინდექსს,
ვიცი, გრძნობები საით მიჰქრიან...
მე შენს თვალებში ვკითხულობ იმ ლექსს,
რომელზეც ჯერაც არ მიფიქრია.

* * *

მიწამ, ტყემ, დღემ ასწიეს პეშვი
და სადღეგრძელო ცისა დალიეს,
მერმე ცისარტყლად ჩვეული ეშხით
ამოაშუქეს ცის დასალიერს.



ხისანა ანთიქა

ს უ რ ა თ ი

უსაშველო წვიმაა დღეს,
გზები ატლახდა სულ მთლად,
იმ კვირის წინა სამ დღეს
კინალამ შემეკრა სუნთქვა,
ისე წვიმდა და წვიმდა...
...მერე გადაიღო, როგორც იქნა,
რის ვაგლახითა და წვითა...
ახლა ისევ წვიმს მაღიანად,
ცას სურს დაგვაბერტყოს კალთა.
ღელეები ადიდდა და გადიარა,
შეეშინდა მეზობლის ქალს და
სკოლაში არ გაუშვა ბავშვი.
შემოდგომის უხილავი ხელი
უცნაურ ჩანახატებს კეცავს,
ხატავს, კეცავს და თან შლის.
გარეთ იცრემლევა ზეცა,
სახლში იცრემლევა ბავშვი,
ლობეზე მეზობელი გადმოდის
ჯოხით, კალოშითა და თავშლით.

⚡

გი დე მოპასანი

წ უ თ ი ს ო ზ ე ლ ი

უბრალო სინამდვილე.

I

ქანამ ბარგი ჩაალაგა და ფანჯარას მიუახლოვდა — წვიმა გადაღებდას არ აპირებდა.

კოკისპირული წვიმა მთელ დამეს შხაპუნებდა ფანჯრებსა და სახურავებზე. დაბალი, წყლით გაყვანილი ცა თითქოს სკდებოდა და მიწაზე იღვრებოდა, შაქარით ადნობდა მას და ტალახის ფაფად აქცევდა. დამძიმებული გრიგალი სულის შემხუთველ პაპანაქებას აფრქვევდა. დატბორილ ორმოებში წყლის ჩხრიალი ავსებდა უკაცრიელ ქუჩებს, სახლები კი ღრუბელივით ისრუტადნენ სინესტეს, შიგ რომ იჭრებოდა, და სარდაფიდან სხვენამდე ასველებდა კედლებს.

ქანა მონასტრიდან წინაღობით გამოვიდა, როგორც იქნა, თავისუფალი გახდა და მზად იყო შთაენთქა დიდი ხნის ნანატრი სიამენი ცხოვრებისა, ახლა კი ეწინააღმდეგებოდა, მამა არ მოისურვებს გამოდარებამდე გამგზავრებასო, და უკვე მეასედ გაჰყურებდა ჰორიზონტს.

უცბად ქანამ შეამჩნია, რომ სამგზავრო ჩემოდანში კალენდრის ჩადება დაიწყებოდა. მოგლიჯა კედელზე თვეებად დაყოფილი და შუაში ნახატით დამშვენებული მუყაოს პატარა ნაჭერი, რომელზეც ოქროს ციფრით აღნიშნული იყო მიმდინარე ათას რვაას ცხრამეტი წელი. შემდეგ ფანქრით გადახაზა პირველი ოთხი სვეტი და ყველა წმიდანის სახელი ამოშალა ორ მისამდე, მონასტრიდან წასვლის დღემდე.

კარებს უკან გაისმა:
— ქანეტა!
— შემოდი, მამა, — უპასუხა ქანამ და მამაც გამოჩნდა.

ბარონი სიმონ-ჟაკ კლე პერტუი დე ვო გასული საუკუნის აზნაური იყო, ახირებული და კეთილი ადამიანი. ქან-ჟაკ რუსოს გატაცებულ მიმდევარს ნახად უყვარდა ბუნება, ველები, ტყეები, ცხოველები.
წარმოშობით არისტოკრატს, ინსტინ-

* „წუთისოფელი“ დიდი ფრანგი მწერლის გი დე მოპასანის ერთ-ერთი საუკეთესო რომანია. იგი ბოლომდე ამხილებს კაპიტალისტური საზოგადოების მორალურ საფუძვლებს, გვიჩვენებს ამ საზოგადოების ცალკეულ ტიპიურ წარმომადგენელთა ზნეობრივ სახეს.
მოპასანის „წუთისოფელი“ ქართულად თარგმნა ლამარა მხეიქემ.

ქტურად სძულდა ოთხმოცდაცამეტი წელი, მაგრამ ხასიათით ფილოსოფოსსა და აღზრდით ლიბერალს ტირანიაც ეზიზღებოდა უწყინარი და მაღალფარდოვანი მძულვარებით.

მისი უდიდესი ძალა და უდიდესი სისუსტე სიკეთე იყო, ისეთი სიკეთე, რომელსაც მკლავები არ ყოფნიდა ალერსიხათვის, გაცემისათვის, მოხვეწვისათვის; ეს იყო სიკეთე შემოქმედისა, უსაზღვრო, დაუოკებელი, რომელიც ნება-სურვილის ნერვის გაშეშებას ჰგავდა, ენერგიის ხარვეზს, თითქმის წუნსაც კი.

როგორც თეორეტიკოსმა, მან მოიფიქრა თავისი ქალიშვილის აღზრდის მთელი გეგმა. სურდა იგი ბედნიერი, კეთილი, გულშარბილი და მოყვასი გამოეყვანა.

თორმეტ წლამდე, ყანა შინ ცხოვრობდა, შემდეგ კი, დედის ცრემლის მიუხედავად, საკრე-კერის მონასტერში მისცეს.

მამას იქ ქალიშვილი ჩაკეტილი, ჩამწვედელი ჰყავდა. მკაცრ პირობებში. არაფერი ატყობინებდა და ყანასაც ცხოვრებისა არაფერი გაეგებოდა. მამას სურდა, რომ მისთვის იგი უმანკო გოგონად დაებრუნებინათ ჩვიდმეტი წლისა, რათა შემდეგ თვითონ ეზიარებინა ბუნების პოეზიისათვის, გაეღვიძებინა მისი სული, ნაყოფიერი ველების წიაღში გაეფანტა მისი უმეტრება; სურდა, რომ მას, ცხოველთა ბუნებრივ სიყვარულს და გულუბრყვილო ალერსს რომ იხილავდა, შეეცნო ამქვეყნიური ცხოვრების კანონზომიერებანი.

და აი ყანა გამოვიდა მონასტრიდან, სახეგაბრწყინებელი, ძალ-ღონითა და ბედნიერების წყურვილით აღსავსე, მზადყოფი ეგემნა ყოველგვარი სიხარული, ცხოვრების ყოველგვარი მშვენიერი შემთხვევა, რომლებიც თავის იმედებთან ერთად მარტოდმარტო დარჩენილმა ოცნებით უკვე განიცადა მონასტერში უქმად გატარებულ დღეებსა და გრძელ ღამეებში.

ყანა ვერონეზს პორტრეტს ჰგავდა თავისი ოქროსფრად მოელვარე თმებით, რომელიც თითქოს ათინათინებდა მის კანს, არისტოკრატი ქალის ოღნავ მოვარ-

დისფერო კანს, დაჩრდილულს მსუბუქედ; ღია ხავერდისებური ქინქლით, რომელსაც მხოლოდ მაშინ შეამჩნევდით, როცა მზის სხივები ეალერსებოდა. თვალები ცისფერი ჰქონდა, ისეთი მუქი ცისფერი, როგორც ჰოლანდიური ქაშანურის კაცუნებს აქვთ ხოლმე.

ცხვირის მარცხენა მხარეს პაწაწინა ხალი უმშვენებდა, მეორე კი მარჯვნივ; ჰქონდა ნიკაბზე, სადაც მისივე კანისფერი რამდენიმე ხუტუჭი თმა ამოსვლოდა და ამის გამო ვერც კი ამჩნევდნენ. იგი მაღალი იყო, სავსე მკერდი ჰქონდა და მოქნილი ტანი. მისი წვრილა ხმა ზოგჯერ მკვეთრად გაისმოდა, მაგრამ თავისი გულწრფელი სიცილით სიხარულს ჰფენდა ყველას. ხშირად ჩვეული ყესტით ორივე ხელი საფეთქლებთან მიჰქონდა ხოლმე, თითქმის თმებს ისწორებდა.

ყანამ მიიბრინა მამასთან, აყოცა, გულში ჩაიკრა და ჰკითხა:

— მივემგზავრებით?

მამას გაეღიმა, გააქნია უკვე შეჭალარევებული კულულებიანი თავი და ფანჯრისაკენ გაიშვირა ხელი.

— როგორ გავემგზავროთ ასეთ ამინდში?

მაგრამ ქალი ნაზი და შემპარავი ალერსით ევედრებოდა:

— ო, მამიკო, გავემგზავროთ, გემუდარები. ნაშუადღევს გამოიდარებს.

— კი, მაგრამ დედაშენი არაფრით არ დაგვეთანხმება.

— მე დაიყოლიებ, მენდა.

— თუ დაიყოლიებ, მე თანახმა ვარ.

მაშინ ყანა სწრაფად გაექანა ბარონის მეუღლის ოთახისაკენ. იგი ხომ მზარდი მოუთმენლობით ეღოდა ამ დღეს, გამგზავრების დღეს.

საკრე-კერში შესვლის დღიდან ყანას არ დაუტოვებია რუანი, რადგან მამამისი დანიშნულ დრომდე არავითარი გართობის უფლებას არ აძლევდა. მხოლოდ ორჯერ ჰყავდათ იგი ორი კვირით პარიზში, მაგრამ ეს ხომ ისევე ქალაქი იყო, ყანა კი სოფელზე ოცნებობდა!

ახლა მას ეს ზაფხული თავის მამულში — ჩინარში უნდა გაეტარებინა, ძველ სა-

გვარეულო სასახლეში, რომელიც იპო-
რის ახლოს წყლისპირა მთაგრეხილზე
იღვა. ჟანა წინასწარ ტკბებოდა უსაზღ-
ვრო სიხარულით, რომელსაც ზღვის ნაპი-
რას ღლი ცხოვრებით განიცდიდა. გარდა
ამისა, გადაწყვეტილი იყო ვაზოვნების
შემდეგ მისთვის ეჩუქებინათ ეს სასახლე,
რათა გამუდმებით აქ ეცხოვრა.

წვიმა, რომელიც გუშინ საღამოდან არ
შეწყვეტილა, პირველი დიდი დარდი იყო
მის ცხოვრებაში.

მაგრამ სამი წუთიც არ ვასულა, რომ
იგი სირბილით გამოვარდა დედის ოთახი-
დან და მთელი ხმით ყვიროდა:

— მამა, მამა! დედა თანახმაა, უბრძანე
ცხენები შეაბან.

მერეხი არ ცხრებოდა; როცა ეტლი პა-
რმლთან გაჩერდა, წვიმამ კიდევაც მოუ-
მატა.

ჟანა უკვე იცდიდა კარტასთან, რო-
დესაც ბარონის მეუღლე კიბეზე დაეშვა.
ერთი მხრიდან ქმარი შველოდა, ხოლო
მეორე მხრიდან მოახლე, ტანადი გოგონა,
რომელიც არც სიმაღლით და არც ღონით
არ ჩამოუვარდებოდა მამაკაცს. ეს იყო
კოელი ნორმანდიელი ქალი, შესახედ-
ვად სულ მცირე ოცი წლისა ჩანდა, მაგ-
რამ ნამდვილად თვრამეტისა თუ იქნე-
ბოდა. ოჯახში იგი მეორე ქალიშვილად
შიაჩნდათ, რადგან ჟანას ძუძუმტე იყო.
მას როზალია ერქვა.

როზალიას მთავარი მოვალეობა იყო
მუდამ თან ხლებოდა ქალბატონს, რომე-
ლიც რამდენიმე წელია ძლიერ გასუქდა
გულის სიგანიერის გამო, რასაც განუწყ-
ვეტილვ უჩიოდა.

ბარონის მეუღლემ ქოშინით მოაღწია
ძველი სახლის პარმადს, შეათვალიერა
უზო, სადაც წყალი ნიაღვარივით მოედ-
ნებოდა, და ჩაიბუზღუნა:

— მართლაცდა ეს სისულელეა.

მისმა მუდამ მოღიპარმა მეუღლემ უბა-
სუნა:

— ეს თქვენ თვითონ ისურვეთ, მაღამ
აღვლიადა.

რადგანაც ცოლს მედიდური სახელი—
აღვლიადა ჰქვიადა, ბარონი მას დამ-

კინავი პატივისცემით ყოველთვის წინ
წარუმიღვარებდა ხოლმე „მადამს“

ბარონის მეუღლემ კვლავ განაგრძო
გზა, გაპირვებით ჩაჯდა ეტლში და ყველა
რესორი ჩაკეცა ტანის სიმძიმით. ბარონა
გვერდით მიუჯდა. ჟანამ და როზალიამ
აღვილები დაიკავეს მოპირდაპირე სკამზე.

მზარეულმა ლუდივინამ მოიტანა თბი-
ლი წამოსასხამების მთელი გროვა, რო-
მლითაც მუხლები დაიფარეს, შემდეგ —
ორი კალათი, რომლებიც ფეხებთან და-
მალეს; ბოლოს თვითონაც აცოცდა კო-
ფოზე ბიძია სიმონის გვერდით და თავი-
დან ფეხამდე გაეხვია დიდ ყაჯარში. მე-
კარე და მისი ცოლი გამოეთხოვნენ, მი-
ხურეს ეტლის კარი, მოისმინეს უკანასკ-
ნელი განკარგულება, რომ ბარგი უკან
გაეყოლებინათ ურძით, და ეკიპაჟიც და-
იძრა.

მეეტლე ბიძია სიმონმა, წვიმას რომ
განრიდებოდა, თავი ჩაქინდრა, მხრები ას-
წია და თავის სამმაგსაყელიან ლივრე-
ში ჩაიმალა. კენესოდა მძაფრი ქარი,
ღვართქაფი ეხეთქებოდა ფანჯრის მინებს
და წალკევით ემუქრებოდა გზატკეცილს.

ორტყენიანი ეტლი სწრაფად დაეშვა
სანაპიროზე და გზა დიდი საზღვაო გე-
მების გასწვრივ დაიჭირა, რომელთა ან-
ძები, ქანდარები და მოწყობილობანი,
თითქოს გატიტვლებული ხეებივით, ნაღ-
ლიანად აღმართულიყვნენ წყაროდ ქცე-
ულ ცაში. შემდეგ ეტლი გავიდა ფართო
ხეივანში, რომელიც რიბუდეს ბორცვს
მიჰყვებოდა.

მერე სწრაფად გადაჭრეს მდელოები.
დრო და დრო წვიმის ნისლში ბუნდოვ-
ნად თუ გამოჩნდებოდა სველი ტერიფი,
რომელსაც მიცვალბულოვით ჩამოეშვა
ტოტები. ცხენების ნალები ჭყაპუნობდა
და ოთხივე ბორბალი გამალებით ისრო-
და ტალახის შხეფებს.

ხმას არავინ იღებდა; თითქოს გონებაც
ისევე დასველდა, როგორც მიწა. დედი-
კომ თავი გადაკიდა ბალიშზე და თვალები
დახუჭა. ბარონი პირქუშად გასცქეროდა
ერთფეროვან პეიზაჟს და წვიმით დატ-
ბორილ მინდვრებს. როზალია, რომელ-
საც ბოლჩა ეჭირა მუხლებზე, გაშტერე-

1917 წლის
11 თვის 11

ბული იქდა და ყვირთავდა, როგორც ეს მდამბო ხალხს სჩვევია. მხოლოდ უანა გრძნობდა გამოცოცხლებას ზაფხულის ამ თავსხმაში, როგორც ჰაერზე გამოტანილი სათბურის ყვავილი. სიხარული, ვით მცენარეს სველი ფოთლები, ისე იფარავდა მის გულს დაღონებისაგან. იგი დუმდა, მაგრამ ძლიერ სურდა ემღერა, სურდა გაეშვირა პეშვი, წყლით აეგოს იგი და დასწაფებოდა. უანა ტკებოდა ცხენების სწრაფი ჩორთით, იმით, რომ ირგვლივ ხედავდა მოწყენილ, წვიმაში ჩაქინდრულ პეიზაჟს, თვითონ მას კი თავშესაფარი ჰქონდა და ეს წარღვნა ვერაფერს დააკლებდა.

კოკისპირულ წვიმაში ორივე ცხენის სველ მოღვარე ვავას ისეთი ოზშივარი ასლიოდა, თითქოს ეს-ეს არის მდღუღარე გადაასხესო.

ბარონის მეუღლემ ნელ-ნელა ჩასთვლილა. მისი სახე, რომელსაც ექვსი თანატოლი გრძელი თმის კულული არშისასავით შემოვლებოდა, თანდათან ეშვებოდა ნიკაპის სამ რბილ ნაეცხზე, რომლის უკანასკნელი ტალღები მის უსაზღვროდ სავესე მკერდს უერთდებოდა. ყოველი ამოსუნთქვის დროს ბარონის მეუღლის თავი მაღლა იწეოდა და იმწამსვე ქვემოთ ვარდებოდა. ლოყები ებერებოდა, ხოლო ნახევრად ღია ტუჩებიდან ძლიერი ხვრინვა მოისმოდა. ბარონი მისკენ დაიხარა და ფართო მუცელზე გადაკვარდინებულ ხელებში ფრთხილად ჩაუდო პატარა ტყავის ქისა.

ამ შეხებამ გააღვიძა ბარონის მეუღლე. მას ჯერ კიდევ მთლად ვერ დაედწია თავი ძილისათვის და დაბინდული თვალებით შეხედა ქისას, რომელიც გადავარდა და გაიხსნა. ოქრო და ბანკის ბილეთები ეტლში დაიფანტა. მაშინ იგი საბოლოოდ გამოფხიზლდა, ხოლო ქალიშვილმა წკრიპალა სიცხლით გამოხატა თავისი მხიარული განწყობილება.

ბარონმა მოაგროვა ფული, ცოლს მუხლებზე დაუდო და შეინიშნა:

— აი, ჩემო ძვირფასო მეგობარო, ყველაფერი, რაც დარჩა ჩემი ელტოს ფერმიდან. იგი გავყიდე, რომ ჩინარი ვან-

მეახლებინა. ჩვენ ხომ ამიერიდაც იქ ხშირად ვიცხოვრებთ.

ცოლმა დაითვალა ექვსი ათას ოთხასი ფრანკი და მშვიდად ჩაიღო ჯიბეში.

ეს იყო უკვე მეცხრე გაყიდული ფერმა იმ ოცდაათორმეტი ფერმიდან, რომლებიც მშობლებმა დაუტოვეს. მაგრამ ისინი დაახლოებით ოცი ათას ფრანკ შემოსავალს მაინც იღებდნენ მიწებიდან, თუმცა კარგი გამგებლის ხელში მათ თავისუფლად შეეძლოთ წლიურად მოეცათ ოცდაათი ათასიც კი.

ისინი უბრალოდ ცხოვრობდნენ და ეს შემოსავალი ეყოფოდათ, სახლში რომ არ ჰქონოდათ მუდამ ღია უძირო უფსკრული — გულკეთილობა. იგი ისე აშრობდა ფულს მათ ხელში, როგორც მზე სინეტეს ქაობში. ფულები მიდიოდა, მოდიოდა, ისევე ჟრებოდა. როგორ? არავინ იცოდა. ხან ერთი, ხან მეორე ამბობდა:

— არ ვიცი როგორ მოხდა ეს, დღეს ასი ფრანკი დაეხარჯე, თუმცა არაფერი ისეთი არ მიყიდა.

ასე იოლად რომ გასცემდნენ, ეს ერთი უმთავრესი ბედნიერება იყო მათს ცხოვრებაში და ამ საკითხში საგანგებო თანაგრძობასაც უწევდნენ ერთმანეთს.

უანამ ჰკითხა:

— ლამაზია ახლა ჩემი სახლი?

ბარონმა მხიარულად უპასუხა:

— თვითონ დაინახავ, ჩემო გოგონა.

ძლიერი თავსხმა თანდათან ცხრებოდა.

ბოლოს მისგან დარჩა რაღაც ნისლისმაგვარი უწვრილესი წვიმის მტვერი. ღრუბლების თალი თანდათან ამოღდა, განათდა და უეტრად უჩინარი ხვრელიდან მზის გრძელი და ირიბი სხივი ჩამოეშვა მდელოზე.

ღრუბელი გაიფანტა. გამოიწინა ცისკამარის ღურჯი ფსკერი. შემდეგ ჰუჭურტანა ისე გაფართოვდა, თითქოს დატრეცილი ფარდა იხევაო, და მშვენიერი კრიპალა ცა, სუფთა და სავსე ლაყვარდი გადაეფარა დედამიწას.

მსუბუქმა გრილმა ნიავმა გადაიქროლა, თითქოს მიწამ შვებით ამოისუნთქაო. ხოლო როცა ეკიპაჟი ბაღებისა და ტყეების გასწვრივ მიდიოდა, დროგამოშვე-

ზით ისმოდა მხიარული კიკიკი ჩიტისა, დასველებულ ფრთებს რომ იშრობდა.

ბინდებოდა. ეტლში, ყანას გარდა, უკვე ყველას ეძინა. ორჯერ შეჩერდნენ სასტუმრო ბაკებში, ცხენები რომ დაესვენებინათ, შვრიით დაენაყრბინათ და დაერწყულებინათ.

მზე ჩავიდა. შორს ზარების რეკა გაისმა. რომელიღაც პატარა სოფელში ფანჩები აანთეს. ცაშიც აკაიფდა უძრავი მილიარდობით ვარსკვლავი. ხან იქ, ხან აქ გამოკრთებოდა განათებული სახლები, რომელთა სინათლე ცეცხლის წერტილებივით აპობდა წყვიდადს. უეტრად ფერღობიდან, ნაძვის ტოტებში, გამოცურდა წითელი, თითქოს ძილისაგან დაბუყებული ვეებერთელა მთვარი.

ისე თბილოდა, რომ ფანჩრები არ დაუხურავთ. ოცნებით დაქანცული და სასიხარულო სანახებით გულმოჭვრებული ყანა ახლა თვლემდა. დრო და დრო უხერხული პოზის გამო ფეხები უბუყდებოდა. მაშინ გაიღვიძებდა, გარეთ იყურებოდა და ნათელ ღამეში ხეების ახლოს ზედავდა ფერმებს, ან მიწდორში აქა-იქ წამოწოლილ თვაწიულ ძროხებს. შემდეგ იღებდა ახალ პოზას და ცდილობდა ისევ აღედგინა მესხიერებაში შეწყვეტილი ოცნებანი, მაგრამ ეტლის ვანუწყვეტილი რახ-რახი ყურს უჭედავდა, გონებას უქანცავდა და იგი კვლავ ხუჭავდა თვალებს, გრძნობდა, რომ აზრიცა და გონებაც ისევე გადაექანცა, როგორც სხეული.

როგორც იქნა, კარეტა გაჩერდა. კარეტთან იდგნენ ფანჩიანი კაცები და ქალები. ჩამოვიდნენ. ყანამ მყისვე გაიღვიძა და სწრაფად გადმოხტა ეკიპაჟიდან. მამამ და როზალიამ, რომელთაც ერთერთი ფერმერი უნათებდა გზას, თითქმის გამოიტანეს საცხებით გაწამებული ბარონის მუღლე. იგი საშინლად ვიშვიშებდა და სულ იმეორებდა ძლივს გასაგონი, ჩამკვდარი ხმით: „ოჰ, ღმერთო ჩემო! ჩემი საბრალო ბავშვები!“ მას არც სმა უნდოდა, არც ჭამა, დაწვა და იმწამსვე დაიძინა.

ყანამ და ბარონმა მარტოდ ივანშემეს.

ისინი ერთმანეთს შეჰყურებდნენ და იღიმებოდნენ, ხელს უჭერდნენ ხელზე და, ერთნაირი ბავშვური სიხარულით შეპყრობილი, შეუდგნენ განახლებულ სახლს დათვლიერებას.

ეს იყო მაღალი და დიდი ნორმანდიული სახლი, რომელიც ერთსა და იმავე დროს ფერმასაც ჰკავდა და ციხე-კოშკსაც. აუშენებიათ იგი ოდესღაც თეთრი, მაგრამ ყამთა ვითარებაში გახუნებული ფილაქნისაგან. ისე გაშლილი და ფართო იყო ეს სახლი, რომ მთელ ტომს დაიტევდა.

ვრცელი ვესტიბიული თავიდან ბოლომდე ორად ჰყოფდა სახლს და ორივე მოპირდაპირე მხარეზე ფართო კარები ჰქონდა. ორმაგი კიბე ნახევარწიგდ უვლიდა შუაში ცარიელ ამ ვესტიბიულს და მეორე სართულზე მისი ორივე ნახევარი ხიდივით ერთდებოდა.

პირველ სართულზე, მარჯვნივ, იყო უზარმაზარი სასტუმრო დარბაზის შესასვლელი. სასტუმროში გაკრულ შტოფის შპალერზე ფოთლებში მოფართავებული იყვნენ ესხტა. ყველა ავეჯის გადასაკრავი კვრებით იყო მოჭარგული და ლაფონტენის იგავ-არაკების ილუსტრაციას წარმოადგენდა. ყანა სიხარულის თრთოლამ აიტანა, როცა დაინახა მისი ბავშვობის უსაყვარლესი სკამი, რომელზეც გამოხატული იყო მელიასა და წეროს ამბავი.

სასტუმრო ოთახის გვერდით ძველი წიგნებით გამოტენილი ბიბლიოთეკა იყო და კიდევ ორი ოთახი, რომელთაც წინასწარი დანიშნულება არ ჰქონდათ. მარჯვნივ — ახალი სისპანელიანი სასადილო, შემდეგ სათვთრეულე, ბუფეტი, სამზარეულო და საკუჭნაო, სადაც აბაზანა მოეწყობო.

დერეფანი სიგრძეზე ჰყოფდა მთელ მეორე სართულს. ათი ოთახის ათივე კარი ერთი მეორეს მისდევდა. მთლად სიღრმეში, მარჯვნივ, იყო ყანას ოთახი. მამა და შვილი იქ შევიდნენ. ბარონმა სულ ახლახან ხელახლა მოართვევინა იგი, რისთვისაც ისარგებლეს ავეჯითა და ფარდებით, გამოუყენებლად რომ ინახავდნენ სხვენზე.

ძველებური ფლამანდური შპალერი უცნაური ფიგურებით ავსებდა იქაურთა ბასს.

თავისი საწოლი რომ დინახა, ჟანამ სიხარულით შეპყვირა. ოთხივე მხარეს ცვილით გაბრილებული ოთხი შავი მუხის ჩიტი იკავებდა საწოლს და გვერდებოდა მას დარაჯობსო. გვერდებზე მისდევდა ყვავილებისა და ხილის ფართო მოჩუქურთმებული თაიგული. ოსტატურად გამოხატებული ოთხი სვეტი, კორინთული კაპიტელით რომ მთავრდებოდა, იკავებდა ვარდებითა და ამურებით მოკაზმულ ლავგარდანს.

ეს მონუმენტური საწოლი კოხტაც იყო, მიუხედავად დროთა ვითარებაში გამუქებული ხის პირქუში შესახედაობისა.

საწოლის საბანი და მიჩიდანის ფარდა ორ ცის კამარასავით ელავდა. ისინი იყო მძიმე ძველებური ცისფერი აბრეშუმისა, რომელზეც ადგილ-ადგილ ვარსკვლავებით იყო გაფანტული ოქროთი ამოქარგული დიდი შროშანის ყვავილები.

როცა ამ სანახაობით დატკბა, ჟანამ სანთელი ასწია და შპალერი დაათვალიერა, ნახატების შინაარსი რომ გაეგო.

მწვანედ, წითლად და ყვითლად უცნაურად გამოწყობილი ახალგაზრდა დიდებული და ყმაწვილი ქალი საუბრობდნენ ცისფერი ხის ძირში, რომელზეც თეთრი ნაყოფი მწიფდებოდა. ვეებერთელა, აგრეთვე თეთრი კურდღელი კორტინდა მწირ რუხ ბალახს.

მათი თავების ზემოთ, მოშორებით ჩანდა ხუთი პატარა მრგვალი სახლი წვეტიანი სახურავებით, უფრო მაღლა კი, თითქმის ცაში, — დია წითელი ქარის წისქვილი. ყველაფერი ეს მოკაზმული იყო მსხვილი ნახატი ყვავილებით.

დანარჩენი ორი პანო ძალიან ჰგავდა პირველს, ოღონდ სახლებიდან გამოდიოდა ფლამანდურად ჩაცმული ოთხი კაცუნა, რომლებსაც ხელები ცაში აღმეყროთ უკიდურესი აღშფოთებისა და განცვიფრების ნიშნად.

მაგრამ უკანასკნელი გობელენი გამო-

ხატავდა დრამას. კურდღლის ანლოს, რომელიც ისევ კორტინდა ბალახს, ვაშლილიყო ახალგაზრდა კაცი, ალბათ, მკვდარი. ყმაწვილი ქალი, რომელიც მას მიშტერებოდა, მკერდს ხმლით იბობდა: ხეზე კი ნაყოფი მთლად გაშვებულყო.

ჟანას ის იყო იმედი გაუწყდა, ვერაფერი გავიგეო, რომ უცბად კუთხეში დაინახა მიკროსკოპული ზომის პატარა მხეცი, რომელსაც, ცოცხალი რომ ყოფილიყო, ის კურდღელი ბალახის ღეროსავით გადაყლაპავდა. მაგრამ ეს პატარა მხეცი ღომი იყო.

ჟანა ახლა მიხვდა, რომ აქ გამოხატული იყო უბედური პირამისა და ტიზბეს ამბავი. თუმცა ნახატის მიამიტობამ ღიმილი მოჰგვარა, თავს მაინც ბედნიერად სთვლიდა, რომ ოთახში მარტოდმარტო ჩაიკეტებოდა ამ სატრფიალო ამბავთან ერთად, რომელიც ჩააძინებდა ტკბილი ძმელებით, და ყოველამე, ძილშიც კი, აღაფრთოვანებდა ანტიკური ლეგენდის გმირთა ალერსი.

სხვა ავეჯეული წარმოადგენდა სულ სხვადასხვა სტილის ნარკვეს. აქ იყო ყველა თაობის დატოვებული ნივთები, რომლებიც ძველ სახლებს რა გინდა რას მუზეუმებად აქცევენ. ლუდოვიკო XIV სტილის პრილა სპილენძით შეჯავშნული კომოდის ორივე მხარეს იდგა ლუდოვიკო XV სავარძლები, რომლებსაც ჯერ კიდევ შერჩენოდათ ძველი თაიგულებიანი აბრეშუმის გადასაკრავი. ვარდისფერი ხის ბიურო შეპყურებდა ბუხარს, სადაც მინის მრგვალ ხუფში იმპერიისდროინდელი საათი მოჩანდა.

ეს იყო მოოქროვილი ყვავილების ბაღში ოთხ მარმარილოს სვეტზე აღმართული ბრინჯაოს ბუცი. ბუცის მოგზაო ნაპრალიდან ეშვებოდა წვრილი ქანქარა და მინანქრის ფრთებიან ფუტკარს აიძულებდა განუწყვეტლევ ეფრინა ამ ყვავილნარზე.

ბუცის წინა კედელში ჩასმული იყო მოხატული ქაშანურის ციფერბლატი.

საათმა თერთმეტი დარეკა. ბარონმა აკოცა ქალიშვილს და წავიდა თავის ოთახში.

მაშინ ჟანა სინანულით ჩაწვა ლოგინში. უკანასკნელად მოავლო თვალი თავის ოთახს და ჩააქრო სანთელი. მაგრამ საწოლი მხოლოდ თავით ეყრდნობოდა ყრუ კედელს. მის მარცხნივ იყო ფანჯარა, საიდანაც ნაკადულივით იჭრებოდა მთვარის შუქი და გამჭვირვალე ტბად იღვრებოდა იატაკზე.

მთვარის სხივთა ანარეკლი, მკრთალი ათინათი ანათებდა კედლებს და ნაზად ეაღვრებოდა პირამისა და ტიზბეს უძრავ სივყარულს.

მეორე, მოპირდაპირე ფანჯრიდან ჟანა ხედავდა მკრთალ შუქში გახვეულ დიდ ხეს. იგი გვერდზე გადაბრუნდა და თვალები დახუჭა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ კვლავ გაახილა.

მას ეჩვენებოდა, რომ ისევ ანჭლრევდა ეტლის ბიძგები, ხოლო ბორბლების ხმაური თითქოს ყურს უჭებოდა. ჟანა გაუნძრევლად იწვა და იმედოვნებდა, რომ ასე უფრო მალე ჩაეძინებოდა, მაგრამ გონების მოუსვენრობა სხეულსაც გადასდებოდა.

ჟანას მუხლებში ყრუანტელი უვლიდა და ციებ-ციხლებიანივით აერყოლებდა. მაშინ იგი წამოხტა და ფეხშიშველმა ტიტველმკლავებიანმა და გრძელი პერანგის ამარამ, რომელშიც მოჩვენებას ჰკავდა, გადაიბრინა იატაკზე დაღვრილი მთვარის შუქი, გააღო ფანჯარა და გარეთ გაიხედა.

ლამე ისეთი ნათელი იყო, რომ ყველაფერი დღესავით ჩანდა. ჟანა სცნობდა მთელ მიდამოს, რომელიც ოდესღაც, ადრე ბავშვობაში, ძლიერ უყვარდა.

უპირველეს ყოვლისა, თვალწინ იშლებოდა ფართო ვახონი, რომელსაც ღამის სინათლეზე კარაქივით ყვითელი ფერი დასდებოდა. სახლის წინ, ორივე მხარეზე, აღმართულიყო ორი გიგანტური ხე, ჩრდილოეთით ქაღარი, სამხრეთით კი ცაცხვი.

ფართო მდელბობის ბოლოს პატარა წარაფი ამთავრებდა მამულს, რომელსაც ქარიშხლისაგან იცავდა ძველისძველი მოკაკული, გატყავებული და გამოხრული თელების ხუთი მწკრივი, ისე აღმა-

ცერად გასხლულნი, თითქოს ზღვის გამაგებელი ქარისაგან დამცველი სახურავი იყო.

ეს პარკის მსგავსი ადგილი მარჯვნიდან და მარცხნიდან შემოზღუდული იყო უზარმაზარი ჩინარების ორი გრძელი ხეივანი. ეს ხეივნები ჰყოფდა მასპინძლის სახლს ორი მოსაზღვრე ეფერმისაგან, რაოდენოვანად ერთი ექვრა კუთხარების, ხოლო მეორე მარტენების ოჯახს.

ამ ჩინარებმა მისცეს სახელი მამულს. მათი ღობის იქით გადაშლილიყო ვარეული კვირინჩხით დაფარული დაუმუშავებელი ფართო დაბლობი, სადაც დღე და ღამე სტვენით დანაწარმობდა გრილი ნიავი. შემდეგ ნაპირი ერთბაშად მთავრდებოდა ასმეტრიანი ფრიალო და თეთრი ციცაბო კლდით, რომლის ძირსაც ტალღები ლოკავდა.

შორს ჟანა ხედავდა ჰავლით მოფენილი ოჯანის გრძელ ზოლს, რომელიც თითქოს თვლემდა ვარსკვლავებით მოქედლო ცის ქვეშ.

ამ უმზეო ბუნების ტკობაშიც ივრძნობოდა ირგვლივ გავრცელებული მიწის სურნელება. ქვედა სართლის ფანჯარას შემოხვეული ჟანამინი აფრქვევდა თავის მძაფრ და ცხარე სურნელებას, რომელიც ერწყმოდა გამსკდარი კვირტების ნაზ არომატს. სუსტ ქარს მოჰქონდა ზღვის მლაშე ჰაერის მკვეთრი სუნი და წყალმცენარეთა მწკლარტე ანაორთქლი.

ახალგაზრდა ქალი მთლად დაემორჩილებინა სიხარულს და სოფლის ეს სიწყნარე გრილ აბაზანასავით აშვიდებდა მას.

საღამოს მოახლოებისას გამოღვიძებული მხეცები, ღამის სიწყნარეში რომ მალავენ თავის უჩინარ ცხოვრებას, უხმო გამოცოცხლებით ავსებდნენ ბინდ-ბუნდს. უზარმაზარი ფრინველები ხმის ამოუღებლად ლანდებივით დასრიალებდნენ ჰაერში, უჩინარი მწერების ბზუილი ძლივს სწვდებოდა ყურთასმენას. რაღაცა უნაოდ მოძრაობდა ნამიან ბალახზე თუ უდაბურ სილიან გზაზე.

მხოლოდ მოწყენილი გომბეშოები ნაწყვეტ-ნაწყვეტად და მონოტონურად შეკყიყინებდნენ მთვარეს.

ქანას მოეჩვენა, რომ გული უფართოვდებოდა, ისევე ეცხებოდა გაურკვეველი ბუტბუტით, როგორც ამ ნათელ ღამეს, და მოფრინილ სურვილთა გუნდი უცბად აცოცხლებდა მას, მსგავსად ამ ღამის ცხოველებისა, რომლებიც ირგვლივ ფუთფუთებდნენ. რაღაც მსგავსება ანათესავებდა მას ამ ცოცხალ პოეზიასთან და ღამის თბილ სითეთრეში გრძობდა არანოწიერ ყრუოლას, მოუხელებელი იმედების თრთოლვას, გრძობდა რაღაც იღუმალს, რაც ბედნიერებას მოასწავებდა.

და მან დაიწყო ოცნება სიყვარულზე. სიყვარული! უკვე ორი წელია, რაც ამაზე ფიქრი მომეტებული შიშით ავსებდა მის გულს. ახლა ქანა თავისუფალია და შეუძლია უყვარდეს. მას მხოლოდ უნდა ეპოვნა იგი. იგი!

როგორი იქნება ის? ეს ზუსტად არ იცოდა და არც უფიქრია ამაზე. იგი იქნებოდა იგი — მოჩჩა და გათავდა.

ქანამ მხოლოდ ერთი რამ იცოდა — მთელი არსებით ეყვარებოდა იგი და ისიც გაღმერთებდა მთელი სულითა და გულით. ასეთ საღამოს კი, როგორც ახლას, ერთად გაისიკინებდნენ ფერფლის ნათელზე, ვარსკვლავები რომ დვრიდნენ. ხელიხელჩაიკიდებულნი, ერთმანეთზე მიკრულნი ივლიდნენ ისე, რომ გაიგონებდნენ ერთიმეორის გულისცემას, იგრძნობდნენ ერთმანეთის მხრების სითბოს და მათი წმინდა სიყვარული შეუერთდებოდა ზაფხულის ნათელი ღამის საამო ნეტარებას. ისინი გახდებოდნენ ისე ახლობლები, რომ სულ ადვილად, მარტოოდენ გრძნობის ძალით ზასწვდებოდნენ ერთმანეთის ყველაზე სანუკუარ აზრებს.

და ამას საზღვარა არ ექნებოდა ურყევი სიყვარულის სიმშვიდეში.

უცბად ქანამ თითქოს იგრძნო, რომ იგი აქაა, მის გვერდით; და მღელვარე ვნებიანმა თრთოლვამ აიტანა თავიდან ფეხამდე. მან შეუხეხებლად მოიჭირა ხელები გულ-მკერდზე, თითქოს სურდა თავის ოცნებას შემოხევეოდა. უცნობისაგან გაწვილი ტუჩები კი შეეხო რაღაცას, რამაც კინაღამ გრძნობა დაუკარგა — თი-

ქოს გაზაფხულის სუნთქვამ სიყვარულის პირველი კოცნა გამოუგზავნა.

ამ დროს საღვთო სიბნელეში, სწრაფი უკან, გზაზე ფეხის ხმა გაისმა. ქანა ისე იყო დარწმუნებული ღვთაებრივ წინათგრძნობაში, რომ თავს ბედნიერად სთვლიდა — განგებამ საცდელად რომანტიკული ბედი მარგუნაო. აფორიაქებული სულის მხურვალეებით და შეუძლებლის რწმენით გამსკვალულმა ქანამ გაიფიქრა: „ვინ, თუ ის არის?“ იგი დაძაბვით უსმენდა გამველის რატმულ, მტკიცე ნაბიჯებს და ეპვი არ ეპარებოდა, რომ აი ახლა ის შეჩერდებოდა ჭეშქართან, დააკუნებდა და თავშესაფარს ითხოვდა.

როცა გამველმა ჩაიარა, ქანამ დიდი სინანული იგრძნო, თითქოს მართლაც გულგასატეხი რამ შემთხვევოდეს. მაგრამ იგი უმაღლე მიხვდა თავისი იმედების ფანტასტიკობას და გაეღიმა თავის სიყვარულზე.

როცა ცოტათი დაწყნარდა, იგი უფრო გონივრულ ოცნებებს მიეცა. ცდილობდა გადაეხედა მომავალში და აწყობდა შემდგომი ცხოვრების გეგმას.

იმასთან ერთად ქანა იცხოვრებდა აქ, ზღვაზე ამაღლებულ წყნარ სასახლეში. მას უშეკვლად ეყოლებოდა ორი ბავშვი, ბიჭი — იმისათვის, ვგონას — თავისთვის. იგი უკვე ხედავდა, თუ როგორ დარბოდნენ ისინი მინდორზე ჭადარსა და ცაცხვს შორის, დედა და მამა ალტაცებით შესციკინებდნენ მათ, ხოლო ერთმანეთს ენებიანი თვალებით უმზერდნენ.

და იგი დიდხანს, დიდხანს ოცნებობდა ასე. მთვარემ უკვე დაამთავრა თავისი მოგზაურობა ცაზე და საცა იყო ზღვაში ჩაეშვებოდა. ჰაერი აგრილდა. აღმოსავლეთით ჰორიზონტმა გაფერმკრთალეა დაიწყო. მარჯვენა ფერმიდან მამალმა დაიყოვლა, სხვებმა მარცხენა ფერმებიდან უპასუხეს. გეგონებოდათ, საქათმის კედლებით დასშული მათი ხრინწიანი ხმები საიდანღაც შორიდან მოისმოდა. მალეღი ცის კამარა თანდათან ნათლებოდა და ვარსკვლავებიც ქრებოდა.

საღვთო შორს ჩიტები აეიკვიდნენ.

ფოთლებში გაისმა კიკიკი — ჯერ გაუბედავად, შემდეგ კი თანდათან მოძლიერდა და წკრილა და ლელუნა გახდა, ტოტიდან ტოტზე, ხიდან ხეზე გადადიოდა.

უცბად ჟანამ ვაჟკაშა სინათლე იგრძნო, ხელებზე დაყრდნობილი თავი ასწია და მაშინვე დახუჭა გარიყრავის ბრწყინვალეობით დაბრმავებული თვალები.

წითლად შეღებილი ღრუბლების მწყრივი, სანახევროდ რომ იშალებოდა ჩინარების დიდი ხეივნის უკან, სისხლისფერ ათინათს სტყორცნიდა ვაღვიძებულ მიწას.

და ნელ-ნელა გაარღვია რა სხივთა ფარდა, ტყვიასავით დაცხრილა რა თავისი ნაპერწკლებით ხეები, ველები, ოკეანე, მთელი პირიზონტი, — აუჩქარებლად ამოცურდა ვეებერთელა აგიზგიზებული ბურთი.

ჟანას ეგონა ნეტარებისაგან გაგიჟდებოდა. დაუოკებელი სიხარული, გრძნობათა მოკპარბება, რასაც იგი განიცდიდა ბუნების მშვენიერებით, პირამდე ავსებდა მის დაუძლურებულ გულს. ეს იყო მისი მზე! მისი განთიადი! მისი ცხოვრების დასაწყისი! მისი იმედების დილა! მან ხელები გაუწოდა სხივდაფრქვეულ სივრცეს, თითქოს ისწრაფოდა გულში ჩაეკრა მზე. სურდა ეთქვა, დაეყვრა რალაც ისე მომხიბვლელი, დილის ამ ვარდევით გაფურჩქენას რომ დაემსგავსებოდა. მაგრამ იგი გააშეშა, დაამუნჯა უღონო აღფრთოვანებამ. როცა იგრძნო, თვალები ენამებოდა, თავი ხელებში ჩაუვარდა და ტკბილი ცრემლები წამოცვივდა.

თავი რომ ასწია, განთიადის ამოსვლის მშვენიერი და მედიდური სანახაობა უკვე გამჭრალიყო. ოდნავ დაღლილი და თითქოს გამოფხიზლებული ჟანა დამშვიდდა. ფანჯარა ღიად დატოვა, ლოგინში ჩაწვა, კიდევ რამდენიმე წუთი იოცნება და ისე ღრმად ჩაეძინა, რომ არ გაუგონია, როგორ ეპახნა მამა რვა საათზე. მხოლოდ მაშინ გაიღვიძა, როცა ბარონის მის ოთახში შევიდა.

მამას მოუთმენლად სურდა ქალიშვილი-

სათვის ეჩვენებინა სასახლის, მისი სასახლის ახალი მორთულობა.

უკანა ფასადს გზისგან ჰყოფდა ვაშლის ხეებით გაშენებული ფართო ეზო. ეს სასოფლო გზა ვალუხების შემოღობილ ეზოებს შორის ვადიოდა და ნახევარი ლივს იქით ჰაერ-ფეკამპის გზატკეცილს უერთდებოდა.

ხის ღობიდან პარმალამდე პირდაპირი ხეივანი მოდიოდა. ეზოს ორივე მხარეზე, ფერმის გამყოფი თხრილების გასწვრივ, იდგა ზღვის წვრილი ქვევით აშენებული და ჩალით დახურული პატარ-პატარა შენობები.

სახლის სახურავი განუახლებიათ, ხის ნაწილები შეუსწორებიათ, კედლები შეუქეთებიათ, ოთახებში ახალი შპალური გაუყრავთ და შიგ ყველაფერი გადაულეზბათ. ძველი პირქუში საბატონო სახლის მონაცრისფრო ფასადზე ლაქებივით მოჩანდა მოვერცხლისფრო-თეთრი ახალშენებილი დარაბები და ბათქაშის ბებკები.

მეორე მხრიდან, საითაც გამოდიოდა ჟანას ოთახის ერთ-ერთი ფანჯარა, სახლი გაჰყურებდა ზღვას, ქარისაგან მოხრილი თელების მთლიანი კედლისა და წარაფის ზემოთ რომ მოჩანდა.

ხელიხელჩაკიდებულმა ჟანამ და ბარონმა ყველაფერი დაათვალიერეს, ერთი კუნჭულიც კი არ დაუტოვებიათ. შემდეგ დიდხანს ისიერნეს ჩინარების გრძელ ხეივანში, რომელიც გარს ერტყა ევრეთ-წოდებულ პარკს. ხეებს შორის უკვე ამოსულიყო ბალახი და მწვანე ნოხივით მოფენოდა არე-მარეს. წარაფი კი, პარკის ბოლოს, მომხიბლავი იყო. ახალ ბალახე-ბში გაკვალული მისი დაკლავნილი ბილი-კები წარმტაცად იხლართებოდნენ ერთმანეთში. უეტრად საიდანაც კურდღელი გამოხტა, შეაშინა ახალგაზრდა ქალი, გადაახტა ფერდობს და ლერწმებით მოკურცხლა ზღვისპირა კლდისაკენ.

ნასაუზმევს, როცა მადამ ადელაიდამ განაცხადა, ჯერ კიდევ დაღლილობას ვგრძნობ და დასვენება მსურსო, ბარონმა ჟანას შესთავაზა, იპორამდე გავისიერნოთ.

ისინი წავიდნენ და ჯერ გაიარეს პატარა სოფელი ეტუვანი, რომელიც ჩინარს ესაზღვრებოდა. სამი გლეხი დიდხნის ნაცნობეზივით მისლაშა მათ.

შემდეგ ისინი შვეიდნენ ტყეში, რომელიც ბორცვიანი ხეობის ფერდობით ზღვამდე ეშვებოდა.

მალე სოფელი იპირი გამოჩნდა. ქალეგმა, თავისი სახლების კარისწინ რომ ისხდნენ და ძველმანები მოჰყავდათ წესრიგზე, თვალი გააყოლეს მამა-შვილს. ქუჩა, რომლის შუაგულში სადინარი არხი გადიოდა, ჰიშკრების წინ კი ნავის გროვა ეყარა, გაქდნთილი იყო მარლიანი წყლის მძაფრი სუნით. გამუქებული ბადეები, რომელთაც ალაგალაგ ვერცხლის ფულივით პრიალა თევზის ჰიცივი შერჩენოდათ, ჰიხები წინ შრებოდა, ხოლო კარებიდან ვიწრო საცხოვრებლის შმორის სუნი გამოდიოდა.

არხის პირად მტრედეზი სეირნობდნენ და საზრდოს ეძებდნენ.

ჟანა ათვლიერებდა გარემოს და ყველაფერი საინტერესოდ და ახლად ეჩვენებოდა, როგორც თეატრში.

მაგრამ რომელია ც მოსახვევთან ჟანამ შეცრად ზღვა დაინახა. მღვრიე, ლურჯი და გლუვი, იგი უკიდევანოდ გადაშლილიყო.

ისინი შეჩერდნენ პლაჟთან და გასცქეროდნენ სივრცეს. გაშლილ ზღვაზე, თითქოს ფრინველის ფრთებიან, თეთრად ჰათქათებდნენ იალქნები. მარჯვნივ და მარცხნივ აღმართულიყო ვეებერთელა ფრიალო კლდეები. ერთი მხრივ სივრცეს ჰრიადა კონცხი, ხოლო მეორე მხრივ ნა-

პირის ზოლი უსასრულოდ გრძელდებოდა, სანამ სადღაც შორს უჩინარ ხაზად არ იქცეოდა.

მის უახლოეს მოსახვევში ჩანდა ნავსადგური და სახლების გროვა; ხოლო პატარა ტალღები, ზღვის კიდეს ჰათვის არშისავით რომ უვლიდნენ, შრიალით მიგორავდნენ კენჭებზე.

ჰეიან ნაპირზე გაშლართული ადგილობრივ მცხოვრებთა ნავები ფერდზე იწვენენ და მზისთვის მიეშვირათ ფისით გაპრიალებული გამობერილი ლოყები. რამდენიმე მეთევზე საღამოს მოქცევისათვის ამზადებდა მათ.

ერთი მეზღვაური მიუახლოვდა მამა-შვილს და თევზი შესთავაზა. ჟანამ იყიდა ჩამბალი, თვითონ რომ მიეტანა ჩინარში.

ამის შემდეგ მეთევზემ შესთავაზა, ზღვაზე გასერნებისას მიმსახურეთო, თან გამუდმებით იმეორებდა თავის სახელსა და გვარს, რომ ბატონებს უკეთ დემანსოვრებიანთ იგი: „ლასტიკი, ჟიზეფინ ლასტიკი“.

ბარონმა აღუთქვა, რომ არ დაივიწყებდნენ მას. და ისინი უკანვე გამობრუნდნენ.

ვეებერთელა თევზი ამძიმებდა ჟანას და ლაყუჩებში გაუყარა მამისეული ჯიხი, რომლის ერთი ბლო თვითონ დიჭირა ხელში, მეორე კი ბარონმა. ისინი მხიარულად აყვნენ მთას და ბავშვებივით ტიტიკებდნენ. ჰარი შუბლს უგრილებდა მათ, თვალები უელავდათ, ხოლო თევზი, რომელმაც მკლავი ჩამოწყვიტა მამა-შვილს, თავისი მსუქანი კუდით ბალახს თელავდა.

II

მომხიბლავი და თავისუფალი ცხოვრება დაეწყო ჟანას. იგი კითხულობდა, ოცნებობდა და მარტომმარტო ხეტიალობდა შემოგარენში. ოცნებაში ჩაძირული, წელი ნაბიჯით დახეტიალობდა გზებზე, ან კიდევ ხტუნვა-ხტუნვით მოიბრუნდა დაქლაკნილ ღარტაფებს, რომელთა აყვავებული კვირინჩხის ნაყარით მოფენილი ნაპირები ოქროსფერ მოსასხამს მოგავო-

ნებდათ. პაპანაქებისაგან გამძაფრებულ მისი მკვეთრი და ტკბილი სურნელება არომატულ ღვინოსავით ათრობდა ჟანას, ხოლო შორეული ზვირთცემა მწყობრი ხმაურით ნანასავით სწვდებოდა მის სულს.

ხანდახან მოთენთილობა აიძულებდა გაწოლილიყო სქელი ბალახით დაფარულ ფერდობზე, ხან კიდევ იღუმალი ბედნიე-

რების წინათგანობით გაბრუნებული და-
უთქებელ სიხარულს გარნობდა, როცა
დაბლობის მოსახვევს იქით მდელის ჭრი-
ლში მზეზე მოელვარე ცისფერი ზღვის
სამკუთხედს დაინახავდა იალქანი ჰორი-
ზონტზე.

ამ კუთხის სიმშვიდე და სიგრძილე, მი-
სი დამამშვიდებელი ნაზი გარემო მარ-
ტობის სიყვარულს უღვიძებდა ენას.
იგი ისე დიდხანს და გაუნძრევლად იჯდა
ბორცვის წვერზე, რომ გარეული ბაჭები
ბტუნვას იწყებდნენ მის ფეხებთან.

სანაპიროს მსუბუქ ნიათთან ერთად ენა
ხშირად დარბოდა ქედზე და მთელი სხე-
ული უთრთოდა უდიდესი სიამოვნებისა-
გან — ისე ატკობდა მოძრაობა, რომ იგი
არ იღლებოდა, როგორც თევზი წყალში,
როგორც მერცხალი ჰაერში.

ენა ყველგან ისე ფანტავდა მოგონე-
ბებს, როგორც თესლს ჰყრიან ხოლმე მი-
წაში, იმ მოგონებებს, რომელთა ფესვებს
სიკვდილამდე ვერ ამოგლეჯ. მას ეჩვენე-
ბოდა, რომ ამ ხეობათა ხევულებში თავის
გულის ნამცეცებს ტოვებდა.

ენას გაშმაგებით იტაცებდა ბანაობა.
ძლიერი და გაბედული, არ უფრთხოდა
განსაცდელს და ისე შორს გასცურავდა,
რომ თვალი ვერ მისწვდებოდა. თავს ჩი-
ნებულად გრძობდა ამ ცივ, გამჟვირვალე
და ლურჯ ზღვაში, რომელიც ოდნავ არ-
წიფდა და იკავებდა თავის ზედაპირზე.
როცა ნაპირიდან შორს გასცურავდა,
ზურგზე გაწვებოდა, ხელებს მკერდზე
დაილაგებდა და მიაშტერდებოდა ცის
ღრმა ლაყვარდს, რომელსაც სწრა-
ფად გადასჭრიდა ხოლმე მერცხალი
ან ზღვის რომელიმე ფრინველის თე-
თრი სილუეტი. ირგვლივ ჩქამიც
კი არ ისმოდა, ძლივს გასაგონად, არამკა-
ფიოდ აღწევდა მხოლოდ შორეული ზვი-
რთციემის ხმა და ტალღების ტყლაშუნში
არეული მიწის ბუბუნნი. ბოლოს ენა იმა-
რთებოდა, სიხარულისაგან თავდავიწყე-
ბული წკრიალა ხმით ყვიროდა და ორივე
ხელი უტყავუნებდა წყალს.

ზოგჯერ, როცა ძალზე შორს გასცურავ-

და, ნავს გაგზავნიდნენ ხოლმე მსწრე-
ქებნად.

შინ იგი ბრუნდებოდა შიმშილისაგან
გაფითრებული, მაგრამ ლალი და ცქვი-
ტი, ტუჩებზე ღიმილი უკრთოდა, ხოლო
თვალებში — სიხარული.

ბარონი კი, თავის მხრივ, გრანდიოზულ
სასოფლო-სამეურნეო წამოწყებაზე ფიქ-
რობდა. მას უნდოდა ცდები ეწარმოებინა
და შეეტანა გაუმჯობესებანი, გამოეცადა-
ახალი იარაღები, ახალ ჰავასთან შეეგუ-
ებინა უცხო ჯიშები. იგი ყოველდღე
ესაუბრებოდა გლეხებს, რომლებიც უნ-
დობლად უქნევდნენ თავს, როცა თავის
წამოწყებაზე ეტყოდა რასმე.

გარდა ამისა, ბარონი ხშირად ზღვაში
მიჰყვებოდა იპორელ მეთევზეებს. მახ-
ლობელი მღვიმეები, წყალგარდნილები,
ციცაბო კლდეები რომ დაათვალიერა,
მან სურვილი გამოთქვა ხელი მოეკიდა
თევზჭერისათვის, როგორც უბრალო მე-
ზღვაურს.

ქარიან დღეებში, როცა გამობერილი
იალქანი ტალღების ქოჩორზე მიასრია-
ლებდა დიდმუცელა კარაპას, ხოლო მის
ორივე მხარეს მიერთებოდა ზღვის სიღრ-
მეში ჩაშვებული გრძელი ნემსკავის ძუ-
ები, დორადების გუნდი რომ მისდევდა,
ბარონს მღელვარებისაგან აკანკალებულ
ხელში ეჭირა პატარა თოკი, რომელიც
იმწამსვე ატოკებოდა, როგორც კი და-
ქერილი თევზი ანკესზე აფართხალდებო-
და.

მთვარიან ღამეებში ბარონი მიდიოდა
წინადლით ჩაშვებული ბადის ამოსაღე-
ბად. მას უყვარდა ანძის ტყაცანი, უყვა-
რდა ღამის სუფთა და მსტვინავი ქარით
სუნთქვა. დიდხანს ხეტილის შემდეგ,
როცა ნავი ტივტივას ძებნაში ძლივს გაი-
კვლევდა გზას კლდის თხემის, სამრეკლოს,
სახურავისა ან ფეკამპის შუქურას საშუა-
ლებით, ბარონი სიხარულისაგან უძრავად
იჯდა და ტკებოდა ამომავალი მზის პი-
რველი სხივებით, რომლებიც ნავის ფსკე-
რზე ცეცხლივით ანათებდა მარაოსებური
სკაროსის ლორწოვან ზურგს და პალ-
ტუსის ქონიან მუცელს.

სადილზე ბარონი აღტაცებით ყვებოდა სეირნობის ამბებს, ხოლო თავის მხრივ მეუღლე უყვებოდა, თუ რამდენჯერ გაიარა ჩინარების დიდ ხეივანში, ისიც მარჯვენა მხარეს, კუიარების ფერმის გასწვრივ, რადგანაც მარცხენა მხარეს ნაკლებად ათბობდა მზე.

რაკი ქალბატონ ადელიდას ურჩევდნენ „მოძრაობას“, ისიც გულდაგულ სეირნობდა. როგორც კი ღამის სიგრილე გაიფანტებოდა, იგი, როზალიას მკლავზე დაყრდნობილი, გარეთ გამოდიოდა. მას მოხვეული ჰქონდა პელერინი და ორი შალი, თავს უფარავდა შავი კაპორი, მის შემოთ კი წითელი ნაქსოვი თავსაფარი.

და აი, მიათრევდა რა მარცხენა ფეხს, რომელიც ნაკლებ მოძრავი გახდა და ხეივნის მთელ სიგანეზე უკვე გაავლო ორი მტვრიანი, ბალახმოთელილი კვალი, დედოკო იწყებდა სეირნობას პირდაპირი მიმართულებით, სასახლის კუთხიდან წარაფის პირველ ბუჩქებამდე. ამ გზის ორივე ბოლოში მან დაადგმევინა თითო სკამი და ყოველ ხუთ წუთში ჩერდებოდა საბრალო, სულგრძელ როზალიას მკლავებზე დაყრდნობილი და ეუბნებოდა:

— დავსნდეთ, ჩემო გოგონი, ცოტათი დავიღალე.

ყოველი შეჩერებისას ბარონის მეუღლე სკამზე ტოვებდა ჯერ თავსაფარს, მერე ერთ შალს, მერე მეორეს, შემდეგ კაპორს და, ბოლოს, წამოსასხამს. ყველაფერი ეს ხეივნის ორივე მხარეს ქმნიდა ტანსაცმლის ორ დიდ შეკვრას, რომლებსაც როზალია თავისუფალ მკლავზე გადაიკიდებდა ხოლომდ და უკანვე მიჰქონდა საუზმეზე დაბრუნებისას.

ნასაუზმევს იგი სეირნობას ანახლებდა უფრო შენელებული ნაბიჯებით, უფრო ხანგრძლივი შესვენებებით, ხოლო ზოგჯერ წაყვინთავდა კიდევ შეზღონგზე, რომელსაც გარეთ გამოუგორებდნენ ხოლმე... იგი ამბობდა, რომ ეს იყო „მისი მოციონი“ ისევე, როგორც ამბობდა: „ჩემი ჰიპერტროფია“.

ერთმა ექიმმა, რომელსაც ათი წლის

წინათ მიმართა, როცა სულის ხუთვე იგარბნო, ამ ავადმყოფობას გულის ჰიპერტროფია უწოდა. მას შემდეგ ეს სიტყვა, რომლის მნიშვნელობაც ხეირიანად არც კი გაეგებოდა, ჩაეჭვდა თავში. დედოკო დაჟინებით სთხოვდა ბარონს, ენას და როზალიას მოესმინათ მისი გულის ცემა, მაგრამ გული ისე ჰქონდა ჩაფლული მსუქან მკერდში, რომ არავის არაფერი ესმოდა. იგი მტკიცე უარს ამბობდა სხვა ექიმისათვის მიემართა, რადგან ეშინოდა ახალი დაავადებანი არ აღმოეჩინოსო. სამაგიეროდ პატარა საბაბიც კი საკმარისი იყო, რომ ლაპარაკი დაეწყო „თავის ჰიპერტროფიაზე“, თითქოს ეს სენი მარტო მის საკუთრებას წარმოადგენდა, როგორც იშვიათი რამ, რომელზეც სხვას ხელი არ მიუწვდებოდა.

ბარონი ამბობდა: „ჩემი ცოლის ჰიპერტროფია“, ხოლო ენა — „დედაჩემის ჰიპერტროფია“, როგორც იტყოდა, მაგალითად, „დედაჩემის კაბა, შლიაპა ან ქოლგა“.

ახალგაზრდობაში ბარონის მეუღლე მეტად ღამაში იყო და ლერწამივით წვრილი. მას უცეკვია იმპერიის ყველა მუნდირთან, წაუქითხავს რომანი „კორინა“, რომელმაც ცრემლები აღვრევინა და საჭულამო დალი დაასვა მის ცხოვრებას.

რამდენადაც ტანი უსქელდებოდა, იმდენად უფრო ივსებოდა მისი სული პოეტური მისწრაფებებით და, როცა სიმსუქნემ სავარძელს მიაჯაჭვა, მთელი თავისი ფანტაზიით შეიჭრა სენტიმენტალურ ავანტიურებში, რომელთა მთავარ გმირად მუდამ თავისი თავი ჰყავდა წარმოდგენილი. ზოგიერთი მათგანი განსაკუთრებით შიეყვარა და ხშირად უბრუნდებოდა თავის ოცნებაში, როგორც მუსიკალური ზარდახშა იმეორებს ერთსა და იმავე მელოდიას. ყოველი მიბნედილი რომანსი, ტყვე ქალებსა და მერცხლებს რომ ეხებოდა, უეჭველად ცრემლით დაუნამავდა ქუთუთოებს. მას უყვარდა ბერანტეს ზოგიერთი თამაში ლექსიც კი, რომელშიც ავტორი გამოიქვამდა სინანულს გარდასულის გამო.

ოცნებებით გატაცებული, იგი საათობით უძრავად იჯდა. ჩინარში ცხოვრება უსაზღვროდ მოსწონდა, რადგანაც წარმოსახული რომანების შესაბამის გარემოცვას უქმნიდა, ხოლო გარეშემო ტყეები, უდაბური ტრამალები, ახლოს გადაშლილი ზღვა აგონებდა ვალტერ სკოტის წიგნებს, რომლებსაც იგი ბოლო დროს კითხულობდა.

წვიმიან დღეებში ბარონის მეუღლე საძინებელ ოთახში ჩაიკეტებოდა და თავის ეგრეთწოდებულ „რელიკვიებს“ არჩევდა. ეს იყო ძველი ბარათები, მამისა და დედის წერილები, ბარონის ნიშნობის-დროინდელი წერილები და ბევრი სხვა. ყველაფერი ეს ჩაკეტილი ჰქონდა თითბარის სფინქსებიან წითელი ხის ბიუროში და განსაკუთრებული ინტონაციით იტყუოდა ხოლმე:

— როზალია, ჩემო გოგონი, მომიტანე მოგონებების ყუთი.

მოახლე გოგო გააღებდა ბიუროს უჯრას, გამოიღებდა ყუთს, დადებდა სკამზე ქალბატონის გვერდით და ის შეუდგებოდა ამ წერილების კითხვას ნელა, ერთი მეორეზე და დრო და დრო ცრემლებით ასველებდა მათ.

ხანდახან როზალიას ენა სცვლიდა და ასეირნებდა დედის, რომელიც მას უყვებოდა თავისი ბავშვობის ამბებს. ახალგაზრდა ქალი თავისთავს ზედადა ამ ძველ ისტორიებში და უკვირდა მათი აზრების ერთობა და სურვილების მსგავსება, რადგანაც ყველას წარმოუდგენია, რომ სხვაზე ადრე პირველმა მან განიცადა გრძნობათა მღელვარება, რომელიც გულს უბერებდა პირველ ადამიანს და რომელიც კიდევ აუთრთოლებს გულს უკანასკნელ მამაკაცებსა და უკანასკნელ ქალებს.

დედისა და შვილის აუჩქარებელი ნაბიჯები შეესაბამებოდა მათ აუჩქარებელ საუბარს, რომელსაც დრო და დრო რამდენიმე წუთით წყვეტდა დედის კომინი; და მაშინ ენას ფიქრები წინ უსწრებდა დაწყებულ თავდადასავალს და სიხარულით აღსავსე, იმედებით თავბრუ-

დახვეული მომავლისაკენ მიისწრაფოდა.

ერთხელ, ნაშუადღევს, როცა ჩინარში სკამზე ისვენებდნენ ხეივანის ბოლოში შეცრად შენიშნეს მათკენ მიმავალი მსუქანი მღვდელი.

იგი შორიდან მიესალმა მათ ღიმილით, ხოლო როცა სამ ნაბიჯზე მივიდა, კიდევ დაუქრა თავი და წამოიძახა:

— აბა, ქალბატონო ბარონის მეუღლე, როგორ გრძნობთ თავს?

ეს იყო ადგილობრივი მოძღვარი.

ფალოსოფოსების ეპოქაში დაბადებული და ნაკლებად მორწმუნე მამის მიერ რევოლუციის დღეებში აღზრდილი დედის იშვიათად დადიოდა ეკლესიაში, თუმცა მღვდლები კი უყვარდა წმინდა ქალური რელიგიური ინსტიტუტით. მან მთლად დაივიწყა მათი მრევლის მოძღვარი აბატი პიკო და მის დანახვაზე გაწითლდა. ბარონის მეუღლემ ბოდიში მოიხიდა, რომ პირველმა არ განახლა მასულა-მოსულა, მაგრამ გულკეთილი მოძღვარი სრულებით არ ჰგავდა ნაწყენს. მან შეხედა ენას, მოეწონა იგი და ქათინაურები უთხრა, შემდეგ დაჯდა, თავისი სამკუთხა ქუდი მუხლებზე დაიდო და შუბლი მოიწმინდა. იგი იყო ძლიერ მსუქანი, ძლიერ წითელი და ოფლი ღვარივით ჩამოსდიოდა. ყოველ წუთში ჯიბიდან იღებდა ოფლისაგან მთლად დასველებულ დაჭადრაკულ ვეებერთელა ცხვირსახოცს და სახესა და კისერს იწმენდა, მაგრამ როგორც კი სველი ჩვარი ჯიბის შავ სილრმეში ჩაიშალებოდა, შუბლიდან ჩამოდენილი ოფლის ახალი წვეთები ეცემოდა მუცელზე გამოუბერილ მტვრიან ანაფორას და მრგვალ ლაქებს აჩენდა მას.

იგი ნამდვილი სოფლის მღვდელი იყო, მხიარული, შემწყნარებელი, ყბედი და გულკეთილი ადამიანი. მღვდელი მოჰყვამებებს, ილაპარაკა ადგილობრივ მცხოვრებლებზე და არც კი შეამჩნევინა, თუ შენიშნა თავისი ამ ორი მრევლთაგანის წირვაზე გამოუცხადებლობა. ბარონის მეუღლე ადვილად ურიგდებოდა ამას სიზარამისა და მცირედმორწმუნეობის,

ხოლო ჟანა სიხარულის გამო, რომ თავი დააღწია მონასტერს, სადაც მოყირკებული ჰქონდა ღვთისმოსაობის წეს-ჩვეულებები.

გამოჩნდა ბარონი. როგორც პანთეისტი, იგი გულგრილად ეკიდებოდა ყოველგვარ დოგმებს, მაგრამ ზრდილობიანად მოეპყრა მოძღვარს, რადგანაც მისი ძველი ნაცნობი იყო, და სადილად დასტოვა.

მღვდელს შეეძლო თავი მოეწონებინა იმ შეუტყნობელი მოქნილობის წყალობით, სულთა ხელმძღვანელობა რომ ანიჭებს ხოლმე ყველაზე საშუალო პიროვნებასაც კი, როცა სხვადასხვა შემთხვევის გამო ძალაუფლებას მოიპოვებს თავისავე მსგავს ადამიანებზე.

ბარონის მეუღლე ელოლიავებოდა მღვდელს, ალბათ, მოხიბლა იმ მსგავსებაში, რომელიც ორ ერთნაირი ბუნების ადამიანს აახლოებს. მოსწონდა ამ მსუქანი კაცის სისხლჭარბი სახე, წყვეტილი სუნთქვა და ქოშინი.

დესერტზე აბატი უკვე ძალდაუტანებლად, ფაილარული ტონით ლაპარაკობდა, ყბედობდა, როგორც ეს სჩვევიათ ხოლმე შექეიფიანებულ მღვდლებს მხიარული პურის ჭამის დამთავრებისას.

უეცრად, თითქოს ბედნიერმა აზრმა გაუშეღავა, წამოიყვირა:

— მე ახალი მრევლთაგანი მყავს, ბატონი ვიკონტი დე ლამარი! საჭიროა იგი აუცილებლად წარმოვიდგინოთ.

ბატონის მეუღლე ხუთი თითივით იცნობდა მთელი პროვინციის საგერბოს და იკითხა:

— დე ლამარის ეს ოჯახი ერელი ხომ არ არის?

მღვდელმა თავი დაუქნია:

— დიახ, ქალბატონო, მამამისი ვიკონტი ჟან დე ლამარი შარშან გარდაიცვალა.

მაშინ ქალბატონმა ადელაიდამ, რომელიც ყველაფერზე მაღლა აზნაურობას აყენებდა, შეკითხვები დააყარა მღვდელს ღა გაიგო, რომ მამის ვალების გასტუმრებისა და საგვარეულო მამულის გაყიდვის

შემდეგ ახალგაზრდა კაცი დრტყბით ცემკვიდრდა სამიდან ერთ-ერთ იმ ფერმაში, რომელიც ეტუჯანის თემში ჰქონდა. ეს მამული აღლევდა სულ ხუთ თუ ექვს ათას ლივრ წლეთრ შემოსავალს, მაგრამ კეთილგონიერი და მომპირნე ვიკონტი ფიქრობდა ორი-სამი წელი უბრალოდ ეცხოვრა თავის სახლში, დაეგროვებინა ცოტაოდენი ფული, რათა ღირსეული ადგილი დაეკავებინა მაღალ წრეში ისე, რომ არ აეღო ვალები, არ დაეგირავებინა ფერმები და ეშოვა მზითვიანი საცოლე.

მოძღვარმა დაუმატა:

— იგი მეტად მომხიბვლელი ყმაწვილია: დინჯი, უწყინარი, მაგრამ მაინცა და მაინც ვერ ერთობა აქ.

ბარონმა უთხრა:

— ჩვენთან მოიყვანეთ იგი, ბატონო აბატო, ხანდახან მაინც გაერთობა.

საუბარი სხვა თემაზე გადაიტანეს. როდესაც ყვეის შემდეგ სასტუმრო ოთახში გავიდნენ, მღვდელმა პარკში გასვლის ნება ითხოვა, რადგანაც ნასადილევს ცოტაოდენი სეირნობა სჩვეოდა. ბარონი თან გაჰყვა მას. ისინი ნელა სეირნობდნენ წინ და უკან, სასახლის თეთრი ფასადის გასწვრივ. მათი ჩრდილები — ერთი გრძელი, მეორე მრგვალი და თითქოს სოკოთი თავდახურული, ხან მათ წინ მირობოდა, ხან კიდევ უკან მისდევდა იმის მიხედვით, მიდიოდნენ ისინი პირით მთვარისაკენ თუ ზურგით მისგან. მღვდელმა რაღაც პაპიროსის მსგავსი ამოიღო ჟიბიდან და ზღაზენით დაუწყაო დეჰვა. მან სოფლური გულწრფელობით განმარტა მისი დანიშნულება:

— ეს ბოყინს იწვევს. მე საქამოდ მიიმედ ვინელებ საჭმელს.

შემდეგ უტბად ცას ვაჰხედა, სადაც ღამის მნათობი სეირნობდა, და თქვა:

— აი ამ სანახაობას ვერასოდეს თვალს ვერ მოწყვეტ.

და ქალებთან დაბრუნდა გამოსათხოვებლად.

შემდგომ კვირას ნაზი გრძნობებით წახალისებული ბარონის მეუღლე და ყანა კიურეს პატივსაცემად წირვაზე წავიდნენ.

წირვის შემდეგ მათ მღვდელს დაუცადეს, რათა საუზმეზე დაებატიყებიანთ ხელშეშაობას. მღვდელი ეკლესიის სამოსაცაივიდან გამოვიდა ერთ კოპწია ტანად ახალგაზრდა კაცთან ერთად, რომელსაც შინაურულად მოეკიდა მისთვის ხელი. როგორც კი ეს ორი ქალი შეამჩნია, მოულოდნელობით გახარებულმა მღვდელმა წამოიყვირა:

— აი ბედი! ნება მიბოძეთ, ქალბატონო ბარონის მეუღლევ და მადმუაზელ ყანა, წარმოვიდგინოთ თქვენი მეზობელი ბატონი ვიკონტი დე ლამარი.

ვიკონტმა თავი დაუტყრა, მოახსენა, დიდი ხანია მსურდა თქვენი გაცნობაო და მალა წრეში გაწაფული ადამიანებით თავისუფლად აღაპარაკა. ვიკონტი ისეთი ბედნიერი გარეგნობა ჰქონდა, რომელზეც ქალები ოცნებობენ და რომელიც ყველა მამაკაცს ეჯავრება. ხუტუქი შავი თმები ჩრდილავდა მის გადატყეცილ მზემოკიდებულ შუბლს, ხოლო სწორი და ფართო, თითქოს ხელოვნური წარბები სინაზესა და საღამაზეს მატებდა მის თაფლისფერ თვალებს, რომელთა თეთრ გარსს ოდნავ გადაჰკრავდა ცისფერი.

ხშირი და გრძელი წამწამები მის გამოხედვას ისეთ მკვერმეტყველურ და ვენებიან იერს აძლევდა, რომელიც ალექსანდრე მედიდურ ლამაზმანს სასტუმრო ოთახში და კალათით ქუჩაში მიმავალ თავსაფრიან გოგონასაც აძლევდა უკან მოეხედა.

ეს მიბნედილი მომაჯადოებელი მზერა თითქოს დამაჯერებლობას მატებდა მის აზრებს და უმინიშნელო სიტყვებსაც კი დიდ შინაარსს აძლევდა.

სქელი, რბილი და მოვლილი წვერი მაღავდა მის რამდენადმე ფართო ქვედა ყბას.

ბევრი კომპლიმენტის შემდეგ ახალგაცნობილი განშორდნენ.

ორი დღე გავიდა და ბატონი დე ლამარი პირველად ესტუმრა მათ.

იგი იმ დროს მივიდა, როცა ათვალიერებდნენ ბაღის უბრალო სკამს, რომელიც იმავე დილით დადგეს დიდი ჯადონის ქვეშ, სასტუმრო ოთახის ფანჯრების პირდაპირ. ბარონს სურდა მისი წყვილის ცალი დაედგა ცაცხვის ძირში, მაგრამ ყოველგვარი სიმეტრიის სასტიკი მტერი დედოიკო არ ეთანხმებოდა. ვიკონტი, რომელსაც რჩევა ჰქონდა, ბარონის მეუღლეს მიემხრო.

შემდეგ ვიკონტმა საუბარი გააბა მათი ამ მხარის შესახებ და განაცხადა, იგი მეტად თვალწარმტაცაიო, მარტოდმარტო სეირნობის დროს ბევრ მომხიბლავ და ლამაზ ხელს გადაეყარეთ. დრო და დრო მისი თვალები, თითქოს უნებურად, ყანას თვალებს ხვდებოდნენ და ქალიშვილს უცნაურად აღლევდა ეს სწრაფი და გადაკრული მზერა, რომელშიც გამოჰქვიოდა ალერსიანი თაყვანისცემა და ახლახან გაღვიძებული სიმბათია.

ბატონი დე ლამარი-მამა, შარშან რომ გარდაიცვალა, კარგად იცნობდა ყანას დედოიკოს მამის ბატონ დე-კულტოს უახლოეს მეგობარს. ამ ნაცნობობამ გააჩაღა დაუსრულებელი საუბარი მოყვრობაზე, ნათესაობაზე, თარიღებზე. ბარონის მეუღლე საოცარ მეხსიერებას ავლენდა, აღადგენდა ნაცნობი ოჯახების ასავალ-დასავალს და დაუბრკოლებლად მიმოდინდა ამ გენეალოგიურ დახლართულ ლაბირინთში.

— მოთხარით, ვიკონტ, გაგიგონიათ ვარფლერელი სონუა? მისმა უფროსმა ვაჟმა გონტრანმა შეირთო მადმუაზელ დე კურსილი, კურვილელი კურსილების ოჯახიდან. უმცროსმა კი ჩემი ბიძაშვილი მადმუაზელ დე ლა რომ-ობერი, რომელიც კრიზანტეს ემოყვებოდა. ბატონი დე კრიზანტი მამაჩემის ახლო მეგობარი იყო და, ალბათ, იცნობდა მამათქვენსაც.

— დიახ, ქალბატონო. ეს ხომ ის ბატონი დე კრიზანტია, რომელიც უცხოეთ-

ნი გადაიხვეწა, ხოლო შვილი გაუყოტრდა?

— სწორედ ის არის. მან ხელი სთხოვა დეიდაჩემს ქმრის — გრაფ დ'ერეტრის ვარდაცვალების შემდეგ. მაგრამ დეიდაჩემი არ გაჰყვა მხოლოდ იმიტომ, რომ ის ბურნეთს სწევდა. მართლა, ხომ არ იცით რა მოუვიდათ ვილუაზებს? მათ დასტოვეს ტურენი დაახლოებით 1813 წელს ბედის გაუქუღმართების შემდეგ და ორენში დასახლდნენ. მის მერე მათზე არაფერი მსმენია.

— როგორც ვიცი, ქალბატონო, მოხუცი მარკიზი ცხენიდან ჩამოვარდა და სასიკვდილოდ დაშავდა. მას ორი ქალიშვილი დარჩა — ერთი იყო ინგლისელის, მეორე კი მდიდარი ვაჭრის — ვინმე ბასოლის მეუღლე. აზბობენ, რომ მან შეაქცინა იგი.

ისეე და ისეე იგონებდნენ მოხუცია ნათესაეებისაგან გაგონილ და ბავშვობიდან მეხსიერებაში შემორჩენილ გვარებს. ამ დიდგვაროვანთა ოჯახების ქორწინებანი მათ შეგნებაში უდიდეს მნიშვნელობას იძენდნენ, როგორც დიდი საზოგადოებრივი მოვლენები. ისინი ისე ლაპარაკობდნენ ადამიანებზე, რომლებიც არასოდეს უნახავო, თითქოს მეტად ახლოს იცნობდნენ მათ, ის ადამიანები კი, სხვაგან, ასევე ლაპარაკობდნენ მათზე და ორივე მხარე ასე შორიდან ერთმანეთის ახლობლებად, თითქმის მეგობრებად და ნათესაეებადაც კი სთვლიდა თავს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ერთსა და იმავე კლასს, ერთსა და იმავე კასტას ეკუთვნოდნენ და ერთნაირი სისხლი ჰქონდათ.

ბუნებით კუჭტი ბარონი ისე აღიზარდა, რომ თავისი წრის არავითარ მოსაოხბასა და კრტრწმენას არ იზიარებდა, ამიტომ არ იცნობდა მეზობლებს და მათ შესახებ გამოკითხა ვიკონტს.

ბატონმა დე ლამარმა უპასუხა:

— ჩვენს ოლქში ძალიან ცოტა დიდებულის ოჯახია. — ეს იმავე ტონით უთხრა, როგორც იტყოდა, მაგალითად, ამ სანაპიროზე ცოტა კურდღელიაო. მერე დაწვრილებით მოუთხრო, რომ ყველაზე

ახლოს სამად სამი ოჯახი ცხოვრობდა მარკიზი დე კუტელიე, ნორმანდიული არისტოკრატის მეთაური; ვიკონტი დე ბრიზვილი მეუღლით — საუკეთესო გვარის ადამიანები, მაგრამ საკმაოდ ჩაყეტლინი; და, ბოლოს, საფრთხობელას მსგავსი გრაფი დე ფურვილი, რომელიც თითქოს სასტიკად ტანჯავდა ცოლს მოწყენილობით, ცხოვრობდა ტბორის ნაპირზე აგებულ თავის ვრილეტის სასახლეში და მთელ დროს ნადირობაში ატარებდა.

იყო შემთხვევითი განდიდებულთა რამდენიმე ოჯახი, რომლებმაც აქ შეიძინეს მამულები და ერთმანეთში ჰქონდათ ნაცნობობა. ვიკონტი მათ არ იცნობდა.

ბოლოს იგი გამოეთხოვა მასპინძლებს. უკანასკნელად მან ენას შეხედა, თითქოს მას განსაკუთრებულად ეთხოვებოდა, უფრო გულითადად და უფრო ნაზად.

ბარონის მეუღლემ ძლიერ მომხიბლავდა, რაც მთავარია, მაღალი წრის კაცად მიიჩნია ვიკონტი. მამიკო დაეთანხმა:

— დიახ, ცხადია, კარგად აღზრდილი ახალგაზრდაა.

მეორე კვირას ვიკონტი სადილად დაპატიჟეს, მერე კი იგი ამ ოჯახის მუდმივი სტუმარი გახდა.

ჩვეულებრივ იგი დღისით, ოთხ სათზე მოდიოდა ხოლმე, პირდაპირ „დედიკოს ხეივანში“ გასწევდა და ბარონის მეუღლეს ხელს შესთავაზებდა, რათა გაჰყოლოდა „მისი მოციონის“ დროს. როცა ენა შინ იყო, მეორე მხრიდან შველოდა დედიკოს და ასე სამივენი ნელა მიდიოდნენ ამ გრძელი, სწორი ხეივნის ერთ ბოლოდან მეორეში, წინ და უკან. ვიკონტი თითქმის სრულებით არ ელაპარაკებოდა ქალიშვილს, მაგრამ მისი შავი ხვერდის თვალები ხშირად ხვდებოდა ენას ლურჯი აქატის თვალებს.

რამდენიმეჯერ ენა და ვიკონტი ბარონთან ერთად ჩავიდნენ იპორში.

ერთ საღამოს, როდესაც ისინი ზღვის პირას ისხდნენ, მათთან ბიძია ლასტიკი მივიდა ისე, რომ პირიდან არ გამოუღია ჩაბუხი, ურომლისოდაც იგი უფრო გან-

ცვიფრებდა ყველას, ვიდრე უცხვიროდ რომ ეხილათ, და განაცხადა:

— ასეთ ქარში, ბატონო ბარონო, ცუდი როლი იქნება, თუ ხვალ ეტრეტამდე გავისიერებთ და უკანვე დავბრუნდებით. უნამ სათხოვრად გადააჭდო ხელები:

— ოჰ, მამა, გობოე!

ბარონი ვიკონტს მიუბრუნდა:

— რას იტყვით, ვიკონტ? ჩვენ შეგვიძლია იქ ვისაუზმოთ.

გამგზავრება იმწუთშივე გადაწყდა.

განთიადისას უნა უკვე ფეხზე იდგა. მან დაუცადა მამას, რომელიც ნელა იცვამდა, და ისინი ერთად გაემართნენ დაცვარული გზით. ჯერ მინდვრები გაიარეს, შემდეგ კი ჩიტების ყიფივისაგან მთლად გადაყრუებული ტყე. ვიკონტი და ბიძია ლასტიკი კაბესტანზე ისხდნენ.

ორი სხვა მეზღვაური ესმარებოდა მათ გამგზავრებაში. მხრებით ნავის ფერდზე მიყრდნობილი მამაკაცები მთელი ღონით აწვებოდნენ მას. ნავი ძლივს მიჩოჩავდა კენჭთან მარჩხობზე. ლასტიკმა ხის გაქონილი სასრიალო შეაცურა ნავის ხერხემლის ქვეშ. შემდეგ თავისი ადგილი დაიკავა და შეცვლილი ხმით გაიძახოდა თავის განუწყვეტელ „ჰო-ჰო“, რათა ერთად გაეწიათ ნავი.

როდესაც აღმართს მიაღწიეს, ნავი უეტრად გაექანა წინ და დაფრეწილი ტილოს ტკაცნით გასრიალდა მრგვალ კენჭებზე. იგი უცბად შეჩერდა პატარა ტალღების ქვიშიან არწიასთან და ყველანი სკამებზე დასხდნენ. მერე ნაპირზე დარჩენილმა ორმა მეზღვაურმა ხელი ჰკრა ნავს და ზღვაში ჩაუშვა.

გაშლილი ზღვის მსუბუქი და მშვიდი სით ოდნავ ეხებოდა და აციმციმებდა წყლის ზედაპირს. აწეული იალქანი ცოტათი გაიბერა და ნავი დინჯად შეცურდა ზღვაში. იგი ოდნავ ირწოდა ტალღებზე.

ჯერ პირდაპირ გაშლილი ზღვაში მიდო-ოდნენ. ჰორიზონტთან ცა დაბლა ეშვებოდა და ოკეანეს უერთდებოდა. ნაპირზე მაღალი ციცაბო კლდე ვეებერთელა ჩრდილს ჰფენდა მოსაზღვრე წყლის ზე-

დაპირს, ხოლო მისი აქა-იქ მოღრმადობები მზის სხივებს მოეფინათ. იქ, უნა, ფეკამის თეთრი ჯებირიდან რუხი იალქნები მოცურავდნენ, ხოლო წინ აღმართული უცნაური ფორმის კლდე, მომრგვალებული და გამჭოლად გახვრეტლი, ზღვაში ხორთუმიჩაშვებულ უზარმაზარ სპილოს მოგავიწყებდათ. ეს იყო ეტრეტის პატარა ჭიშკარი.

უნას რწვეისაგან ოდნავ უბრუნდა თავი და ნავის გვერდს ხელჩაიღებულ შორეთს გაპყურებდა. მას ეჩვენებოდა, რომ მხოლოდ სამი რამ არის ამქვეყნად ქეშმარიტად ლამაზი: სინათლე, სივრცე და წყალი.

ყველანი დუმდნენ. ბიძია ლასტიკი ნავს მართავდა და ხანგამოშვებით მოსვამდა ხოლმე სკამის ქვეშ დამალულ ბოთლს, თან განუწყვეტლივ ეწეოდა თავისი მარად ჩაუქრობელი ჩიბუხის ნახარს. ჩიბუხიდან გამუდმებით გამოდიოდა წვრილი, ძაფის მსგავსი ცისფერი კვამლი და ზუსტად ასეთივე ბოლი პირის კუთხიდანაც ეპარებოდა. არავის არ უნახავს, რომ მეზღვაურს გაეჩაღებინოს ეკალმუხზე, შავი ეს თიხის ფილაქურა ან თუთუნით გაეტენოს იგი. ხანდახან იგი ჩიბუხს გამოიღებდა და პირის იმავე კუთხიდან, საიდანაც კვამლი გამოდიოდა, მუქი ნერწყვის გრძელ ნაკადს ზღვაში ტყორცნიდა.

ბარონი ქიმზე იჯდა და თვალყურს ადევნებდა იალქანს. ოდნავ დარცხვენილი უნა და ვიკონტი გვერდი-გვერდ ისხდნენ. უხილავი ძალა ახვედრებდა მათ მზერას, რადგან, თითქოს რაღაც ზეშთაგონებას ემორჩილებოდნენ, ერთდროულად ასწევდნენ ხოლმე თვალებს. მათ შორის უკვე ვითარდებოდა ის გაურკვეველი და ნაზი სიმპათია, რომელიც მეტად სწრაფად წარმოიშობა ორ ახალგაზრდას შორის, როცა ვაჟი არცთუ უშნოა და ქალი ლამაზი. ისინი ერთმანეთთან თავს ბენდიერად გრძნობდნენ, შესაძლებელია იმიტომ, რომ ერთმანეთზე ფიქრობდნენ უკვე.

მზე ზევით იწევდა, თითქოს იმისათ-

ვის, რათა რაც შეიძლება მაღლიდან და-
მტკბარიყო მის ქვემოთ გაშლილი ფართო
ზღვით. მაგრამ ზღვა, თითქოს კეკლუტო-
ბსო, უცბად მსუბუქ ნისლში გავხვია და
თავი დაიფარა მზის სხივებისაგან. ეს იყო
გამჭვირვალე, ძლიერ დაბალი, ოქროსფე-
რი ნისლი, რომელიც არაფერს არ ფა-
რავდა, მაგრამ ანაზღბდა. სივრცეს. მნა-
თობი თავისი ცეცხლით მსკვალავდა და
აღნობდა ამ გაბრწყინებულ საბურველს
და, როდესაც მთელი ძალა მოიკრბა, ნი-
სლი აორთქლდა, გაქრა და სარკესავით
გლუვზე ზღვა სინათლეზე აბრწყვილდა.

აღლევებულმა ყანამ წაიბუტბუტა:

— რა ლამაზია!

ვიკონტმა უპასუხა:

— დიახ, ძლიერ ლამაზია.

დილის წათელი სიმშვიდე თითქოს
ქვოს პოულობდა მათ გულში.

უეცრად გამოჩნდა ეტრეტის დიდი
ჭიშკარი. იგი ჰგავდა ფრიალო კლდის
ორ ფეხს, რომლებსაც ისე მაღლა მიაბი-
ჯებდა ზღვის ზედაპირზე, რომ შეეძლო
საზღვაო გემებისათვის თაღის მოვალეო-
ბა შეესრულებინა; პირველი მათგანის
წინ აღმართული იყო კლდის თეთრი და
წაწვეტილი შპილი.

ნავი ნაპირს მიადგა და სანამ ბარონი,
რომელიც პირველი ჩამოვიდა, თოკით
ეზიდებოდა მას ხმელეთზე, ვიკონტმა ხე-
ლში აიყვანა ყანა, ნაპირზე გადმოსვლი-
სას ფეხი რომ არ დასველებოდა. ასეთი
წუთიერი ჩახუტებით აღლევებულნი, შე-
მდეგ ერთმანეთის გვერდით დადგნენ კენ-
ჭებთან ციცაბო მეჩჩეზე. და უცბად გაი-
გონეს, ძია ლასტივი ბარონს რომ ეუბნე-
ბოდა:

— პირდაპირ გეტყვით, მეტად მშვენიე-
რი წყვილია.

შესანიშნავად ისაუბრეს პლაჟის ახ-
ლოს, პატარა ტრაქტორში. ნავში ყველა-
ნი დუმდნენ, ოკეანემ შთანთქა ხმები და
ფიქრები, ახლა კი სუფრასთან ისე აყ-
ბედდნენ და ალაქაქდნენ, როგორც მო-
სწავლეები არდადეგებზე.

სულ უმნიშვნელო რამ დაუოკებელ
სიხარულს იწვევდა მათში.

მიუჯდა თუ არა მაგიდას, ძია ლასტივი
ბერეტში ფრთხილად შეინახა თავისი ჩი-
ბუხი, რომელიც ისევ-ისე ბოლავდა, და
ყველას გაეცინა. ბუხი, რომელიც უთუ-
ოდ ლასტიკის წითელმა ცხვირმა მიიზი-
და, რამდენიმეჯერ დააჯდა ზედ. როდესაც
აუჩქარებელმა მეზღვაურმა მას ხელი მო-
უქნია, მაგრამ ვერ დაიჭირა, ბუხი მამი-
ნვე გაფრინდა და თანამომქმეთაგან უკვე
დალაქიანებულ მარამაშის ფარდაზე მოკა-
ლათდა. იქედან იგი თითქოს ხარბად და-
რავობდა მეზღვაურის აწითლებულ
ცხვირს და წარამარა ცდილობდა ხელა-
ხლა დასჯდომოდა ზედ.

ბუხის ყოველი აფრენა უჩვეულო ხარ-
ხარს იწვევდა, ხოლო როცა ამ დავიდარა-
ბით შეწუხებულმა მოხუცმა წაიბუტ-
ბუტა: „რა უტეხია ეს წყეული“, ყანასა
და ვიკონტს სიცილისაგან ცრემლები
ცვიოდათ. ისინი იწინებოდნენ, სული-
ეხუთებოდათ, წკმუტუნებდნენ და, რომ
არ ეყვირათ, პირზე ხელსახოცს იფარე-
ბდნენ.

ყავა დაამთავრეს.

— არ გავისვირონთ? — თქვა ყანამ.

ვიკონტი ადგა, მაგრამ ბარონმა არჩია
პლაჟზე დაესვენებინა და მზეზე გამთბა-
რიყო:

— წადით, ბავშვებო, ერთ საათში აქ
დაგხვდებით.

მათ პირდაპირ გადაჭრეს სოფელი, რო-
მელიც რამდენიმე ქოხისაგან შედგებო-
და. როდესაც დიდი ფერმის მსგავს პა-
ტარა საბატონო სახლს გასცდნენ, მათ
წინ ფართო ველი გადაიშალა.

ზღვის რწევამ მოქანცა ისინი და დაურ-
ღვია ჩვეული წონასწორობა. მძაფრმა მა-
რილიანმა ჰაერმა ორივენი მოაშვიდა, საუ-
ხმემ ოდნე გააბრუა, ხოლო სიცილმა
ნერვები აღუჯნო. ახლა რალაც ბურანში
იყვნენ და სირბილი მოუწინადათ ამ მინდვ-
რებზე, გაშმაგებული სირბილი.

ყანას ყურები უბზუოდა, იგი აღავზნო
ამ ახალმა და მოულოდნელმა შთაბეჭდი-
ლებებმა. მცხუნვარე მზე სხივებს ჰყენ-
და მათ. ვზის ორივე მხარეს მწიფე თავ-
თავები ღწირილიყვნენ და სიცილისაგან

თავი ჩაეჭინდრათ. ყველგან — ხორბლისა და შვრიის ყანებში, სანაპიროს ლერწმებში ბალახის ლეროსავით უთვისაღვი კუტკალის მძაფრი და გამაყრუებელი ჭრიჭინი ისმოდა.

სხვა არავითარი ჩქამი არ ისმოდა ამ მოლურჯო-მოყვითალო გახურებულ ცის ქვეშ და გვეგონებოდათ, ეს-ეს არის იგი ისევე ვაწითლდება, როგორც ლითონი ცეცხლთან.

მოშორებით, მარჯვნივ პატარა ტყე შეამჩნიეს და მაშინვე იქით გასწიეს.

ორ ფერდობში მომწყვდეული ვიწრო გზა მზისთვის შეუღწეველ უზარმაზარი ხეების ჩრდილში იკლავებოდა. როგორც კი ფეხი შედგეს ამ გზაზე, მაშინვე სახეში ეცათ ხავსმოცილებული მიდამოს სიგრილე, შმორიანი სინესტე, ფილტვებში რომ ატანს და ყრუოლას იწვევს. პაერისა და სინათლის უქმარობას ბალახი გაეჭრო, საშავიეროდ მიწას ხავსი მოსდებოდა.

გზა განავრთეს.

— შეხედეთ, აი, იქ შეგვიძლია ცოტა ხსნით დავსხედეთ, — თქვა ჟანაჰ.

ორი ბებერი, გამხმარი ხის ზოგან გამეჩხრებულ ფოთლებში სინათლე ნიაღვარივით იჭრებოდა და ათბობდა მიწას, სიციცხლის ძალას ანიჭებდა ახლად ჩასახულ ბალახს, ბაბუაწვერებსა და ლიანებს, შლიდა თეთრ, ნახ, პატარა ყვავილებს და თითისტარის მსგავს მცენარეებს. პებლები, ფუტკრები, მოუხეშავი კრაზანები, უზარმაზარი კოლოები, ბუზის ჩონჩხს რომ წაგავდნენ, ათასობით ფრთიანი მწერი, ვარდისფრად დაწინწყლული ჭიამაიები, მწვანედ მოციმციმე ხოჭოები და სხვები — ზოგი შავი, ზოგი რქიანი, ქოთქოთებდნენ ცხელ და ნათელ ჭაში.

ისინი დასხდნენ თავით ჩრდილში და ფეხებით მზეში. უყურებდნენ მთელი ამ წვრილფეხობის მოფუთფუთე ხანმოკლე ცხოვრებას, მზის სხივმა რომ გახადა შესამჩნევი, და გულაჩვილებული ჟანა იმეორებდა:

— რა კარგია აქ! რა შესანიშნავია სოფელი! არის ისეთი მომენტი, როცა

ნსურს მუშაოდ ან პეპლად ვიქცევი ვილებში ჩავიშალო.

ისინი ლაპარაკობდნენ თავის თავზე, ჩვეულებებზე, გემოვნებაზე, ლაპარაკობდნენ იმ დაბალი და ინტემური ტონით, რომლითაც სიყვარულს უხსნიან ხოლმე ერთმანეთს. ვიკონტი ამბობდა, რომ უკვე შესაბადა მალალი წრე და მობურღა მისი ერთი და იგივე ამბებით სავეს უზრო ცხოვრება. იქ ვერასოდეს შეხვდები სიმართლესა და გულწრფელობას.

მალალი წრე! ჟანას ძალიან სურდა მისი გაცნობა, მაგრამ წინდაწინვე სჯეროდა, რომ იგი ახლოსაც ვერ მივიდოდა სოფლის ცხოვრებასთან.

რაც უფრო ახლოვდებოდა მათი გულები, მით უფრო ცერემონიულად მიმართავდნენ ისინი ერთმანეთს „მუსიო“ და „მადემუაზელ“, საშავიეროდ სულ უფრო ხშირად ხვდებოდნენ და უღიმოდნენ ერთი მეორეს მათი თვალები. ეჩვენებოდათ, რომ რაღაც არნახული სიკეთის გრძობა იჭრებოდა მათში, რაღაც ყოვლისმომცველი თანავგრძობა და გაელვიძათ მრავალი ინტერესი, რომელთაც სხვა დროს არასოდეს შეუწყუხებია ისინი.

ისინი დაბრუნდნენ, მაგრამ ბარონი ფეხით წასულიყო ქალწულების ტლაერის დასათვალიერებლად. ასე ეძახდნენ მალალ გამოქვაბულს კლდის თხემში, და სასტუმროში დაუცადეს მას.

ზღვისპირზე ხანგრძლივი სეირნობის შემდეგ, ბარონი მხოლოდ საღამოს ხუთ საათზე გამოჩნდა.

ისევ ჩახსდნენ ნავში, რომელიც ნებივრად ვაჰყვა ქარს. იგი ოდნავადაც კი არ ირწყოდა, თითქოს სრულებით არ იძვროდა. დათარეშობდა წყნარი და თბილი ქარი. იალქანი წუთით გაიბერებოდა, ისევ ჩაიხუტებოდა და ანძის გასწვრივ ვარდებოდა. ზღვის ბნელი ზედაპირი მკვდარვით გამეშვებულიყო, სოლო მცხუნვარე სხივებისაგან დაცლილი მზე განავრთობდა მოგზაურობას თავის ორბიტაზე და ნელა უახლოვდებოდა წყლის ზედაპირს. გათოშილმა ზღვამ კვლავ ჩააჩუმა ყველანი.

ისევ ეანამ დაარღვია სიჩუმე:

— როგორ მინდა ვიმოგზაურო!

ვიკონტმა მხარი დაუჭირა.

— კი, მაგრამ მარტო მოგზაურობა მოსაწყენია. სულ ცოტა ორნი მინც უნდა იყონ შთაბეჭდილებათა გაზიარებისათვის. ქალი დაფიქრდა.

— ეს მართალია... თუმცა მინც მიყვარს მარტო სეირნობა..! რა კარგია მარტობა, როცა ოცნებობ...

ვიკონტი დაამტკრდა მას.

— შეიძლება ორმაც იოცნებოს.

ეანამ თვალები დახარა. ეს სიტყვის გადაკვრა იყო? შესაძლებელია. მან შეათვალა ჰორიზონტი, თითქოს მის იქით უნდოდა აღმოეჩინა რაიმე, და სვენებსვენებით თქვა:

— მე იტალიაში წავიდოდი... და საბერძნეთში... დიახ, საბერძნეთში... და კიდევ კორსიკაზე! ეს ძლიერ უცხო და მომხიბლავი უნდა იყოს!

ვიკონტი შევიცარიას ამჯობინებდა, იქაურ ფაცებებსა და ტებებს.

ეანა ეუბნებოდა:

— არა, უკეთესია ან სულ უცხო ქვეყანა, როგორც კორსიკა, ან წარსულის მოგონებებით სავსე უძველესი ქვეყნები, როგორც საბერძნეთია. მეტად სასიამოვნო უნდა იყოს ნახო იმ ხალხთა კვალი, რომელთა ისტორია ბევრგზიდანვე გვსმენია, და ის ადგილები, სადაც დიდი ამბები ხდებოდა.

ნაკლებად აღტაცებული ვიკონტი არ დაეთანხმა.

— მე ინგლისი უფრო მიზიდავს. იქ შეიძლება ბევრი რამ ისწავლო.

მაშინ მათ მთელი სამყარო შემოირბინეს, განსაჯეს თვითელი ქვეყნის ღირსება, პოლუსიდან დაწყებული ეკვატორამდე. აღტაცებით შესტკეროდნენ წარმოსახულ პეიზაჟებს, ბჭობდნენ ზოგიერთი ხალხის ფანტასტიკურ ზნე-ჩვეულებებზე, როგორც არიან ჩინელები და ლაპლანდიელები, ბოლოს კი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ყველაზე კარგი ქვეყანა მსოფლიოში საფრანგეთია თავისი ზომიერი ჰავით, გრილი ზაფხულითა და რბი-

ლი ზამთრით, თავისი დიდებული მინდვრებით, ამწვანებული ტყეებით, ფარხრ და მღორე მდინარეებით და კაზმული ხელოვნების ისეთი კულტით, რომელიც სხვაგან არსად ყოფილა ათენის ოქროს საუკუნის შემდეგ.

ამის შემდეგ ისინი მიჩუმდნენ.

დაბლა დაწეული მზე სისხლიანი ჩანდა, — და ფართო ცეცხლოვანი კვალი ელვარე გზად გაჭიმულიყო ოკეანის ზედაპირზე პორიზონტის კიდიდან ნავის კიჩოს ქავლამდე.

ქარმა უკანასკნელად ამოისუნთქა, გაქრა უმცირესი ჭავლიც კი და უმოძრაო იალქანი წითლად შეიღება. უსაზღვრო მყუდროება უნანავებდა სივრცეს და თითქოს ყველაფერი ჩაჩუმდა ამ სტიქიონების შეხვედრამ. ცის ქვეშ ამოზნექილი ზღვა თავისი მოელვარე და ნარნარი ზედაპირით გატაცებული მიჯნურის მსგავსად ელოდებოდა მისკენ დაშვებულ ცეცხლოვან სატრფოს, რომელიც ჩახვევის სურვილით გაწითლებული ისწრაფოდა კალთაზე დასცემოდა. ბოლოს, როგორც იქნა, მზე შეუერთდა მას და ზღვამ ნელ-ნელა შთანთქა იგი.

მაშინ პორიზონტიდან სივრილე წამოვიდა. ზღვის მერწყვი ნიავი აკანკალდა, თითქოს ზღვაში ჩაგორებულმა მნათობმა ქვეყანას დამე მშვიდობისა უსურვავო.

დაისი ხანმოკლე იყო; ვარსკვლავებით მოჭედლ ცის ქვეშ დამე გადაიშალა. ძია ლასტიკმა ნიჩბები მოუსვა. ყველამ შეამჩნია, რომ ზღვა ფოსფორივით ანათებდა. ეანა და ვიკონტი გვერდი-გვერდ იხსდნენ და უყურებდნენ ამ მკრთალ მოძრავ სინათლეს, რომელსაც ნავი სტოვებდა თავის ნაკვალევზე. ისინი თითქმის არაფერზე აღარ ფიქრობდნენ, ბუნდოვნად ჰვრეტდნენ და საამური კმაყოფილებით სუნთქავდნენ საღამოს სუფთა და გასოილ ჰაერს. ეანას ხელი სკამზე ედო და მეზობლის თითი თითქოს შემთხვევით შეეხო მას. ამ მსუბუქი შეხებით განცვიფრებული, ბედნიერი და შემკრთალი ქალიშვილი არ განძრეულა.

საღამოს თავის ოთახში დაბრუნებულ-

მა ქანამ ისეთი უცნაური დაღლილობა და გულის აჩვილება იგრძნო, რომ ყველაფერი ტირილის სურვილი აღუძრავდა. მან საათს შეხედა და გაიფიქრა, ეს პატარა ფუტკარი გულის მსგავსად, მეგობრის გულის მსგავსად რეკს და იგი მთელი ჩემში ცხოვრების მესაიდუმლე გახდება, თავისი ხშირი და თანაბარი ტაკტუჟით ჩემში სიხარულისა და მწუხარების თანამგზავრი იქნებაო. ქანამ გააჩერა მოოქროვილი ბუზი, მისთვის ფრთებზე რომ ეკოცნა. იგი ყველაფერს აკოცებდა ახლა, რაც არ უნდა ყოფილიყო. მას მოაგონდა უგრის სიღრმეში შენახული ძველისძველი ტიკინა, სიხარულით გამოძებნა იგი, თითქოს მასში იპოვა საყვარელი მეგობარი და გულში ჩაართულ ტიკინას ცხარე კოცნით დაუფარა შედგებილი ლოყები და აწეწილი ხეჭუჭი კულულები.

მას ისევ ტიკინა ეკავა ხელში და ფიქრობდა:

ნუთუ ეს არის მეუღლე, რომელზეც ათასი იღუპალი ხმა ეჩურჩულებოდა და რომელიც უაღრესად ზებუნებრივმა განგებამ შეპყარა გზაზე? ნუთუ ეს არის მისთვის დაბადებული არსება, რომელსაც იგი მთელ თავის სიცოცხლეს შესწირავს? ნუთუ ისინი შეადგენენ იმ წყვილს, რომელიც ნაზმა აღერსმა უნდა შეაერთოს, მტკიცედ შეაკავშიროს და წარმოშვას **სიყვარული?**

ქანა ჯერ კიდევ ვერ გრძნობდა მთელი არსების იმ გაშმაგებულ აღმაფრენას, იმ გიჟურ გატაცებას, იმ ძლიერ სულიერ ძვრას, რაც, მისი აზრით, ვნებით გატაცებულებს ახასიათებდათ. იმაში კი რწმუნდებოდა, რომ უკვე უყვარდა იგი, რადგანაც მასზე ფიქრისას ძალა ელეოდა. ფიქრობდა კი განუწყვეტლივ. დღეაღვა მასთან ყოფნის დროს. წითლდებოდა და ფითრდებოდა მისი გამოხედვისას და ცახცახებდა მისი ხმის გავონებაზე.

იმ დამეს თითქმის არ ეძინა ქანას.

ამ დღიდან მოკიდებული სიყვარულის ამადლელებელი სურვილი სულ უფრო ძლიერად ეუფლებოდა მას. იგი გამუდმებით ესაუბრებოდა ამაზე თავისთავს, მარ-

ჩელობდა ზიზილებით. ღრუბლებიდან ვერში ასროლილი ხურდა ფულით.

ერთხელ, საღამოს, მამამ უთხრა:

— ხვალ დილით, რაც შეიძლება, ლამაზად მოვრთო.

ქანამ ჰკითხა:

— რატომ, მამა?

— ეს საიდუმლოა, — მიუგო ბარონმა.

და როდესაც დილით ქანა მთლად თერთვეში გამოწყობილი ძირს ჩავიდა, სასტუმრო ოთახის მაგიდაზე დაინახა კონფეტების კოლოფები, ხოლო სკამზე — ვეებერთელა თავივული.

ეზოში ოთხთავლა შემოვიდა. მასზე ეწერა: „ლერა, საკონდიტერო ფეაქამში. საქორწილო სადილი“, და ლუდვიგნას მზარეულის შეგირდის დახმარებით გამოჰქონდა ფურგონის ქვედა კარებიდან ბრტყელი კალათები, რომლებსაც სასიამოვნო სუნი ასდიოდათ.

ვიკონტი დე ლამარიც გამოჩნდა. მას ეცვა ვიწრო შარვალი და ძლიერ ლამაზი ლაქის ფეხსაცმლები, რომელიც ნათლად ავლენდა მისი ფეხის სიპატარავეს. წელში გამოყვანილი გრძელი სერთუი მკერდზე ეხსნებოდა და მაქმანებიან გული-სპირს აჩენდა. მოხდენილი, ყელზე რამდენიმეჯერ შემოვლებული თხელი ბატისტის ჰალსტუხი აიძულებდა მალე ეტარებინა ლამაზი, შეგვერემანი თავი, რომელიც ამის გამო უფრო კოხტა ჩანდა. მას სულ სხვა, ის არაჩვეულებრივი და განსაკუთრებული იერი მიელო, რასაც საზეიმო ტანისამოსი უეცრად აძლევს კარგად ნაცნობ სახეებსაც კი. ვანცვიფრებული ქანა თავიდან ფეხამდე ათვალიერებდა მას, თითქოს ჰირველად ხედავდა. და იგი მიიჩნია უაღრესად არისტოკრატ ადამიანად და სინიორად.

ვიკონტმა ღიმილით დაუქრა თავი:

— თქვენ მზად ხართ, ნათლიდედა?

ქალმა წაილულულდა:

— კი, მაგრამ რა ხდება?

— მალე ყველაფერს გაიგებ, — თქვა ბარონმა.

პარმალს ეტლი მიადგა. როზალიას მკლავზე დაყრდნობილი ქალბატონი აღე-

ლიდა ბრწყინვალედ მორთული ჩამოვი-
და თავისი ოთახიდან. როზალია ისე
აღელვა დე ლამარის მოხდენილმა გარე-
გნობამ, რომ ბარონმა კიდევაც ჩაულაპა-
რაკა ვიკონტს:

— ერთი დამიხედეთ, მე მგონი ჩვენს
მოახლეს თვალში მოუხვედით.

ვიკონტი ყურებამდე გაწითლდა, ისე-
თი სახე მიიღო, ვითომ არც გაუგონია ეს
სიტყვები, დიდი თავიგული დაისაკუთრა
და ჟანს მიაართვა, ჯერ კიდევ განცვიფ-
რებულმა ჟანამ ჩამართვა იგი. ოთხივე-
ნი ეტლში ავიდნენ. მზარეულმა ლუდვი-
წამ ძალღონის მოსაკრებლად ცივი ბუ-
ლიონი მიუტანა ბარონის მეუღლეს და
განაცხადა:

— მართლაცა, ქალბატონო, ქორწილი
არ გეგონებათ?

იპორს რომ მიუახლოვდნენ, გზას ფე-
ხით გაუღდნენ და სანამ სოფელს გადა-
დიოდნენ, მეზღვაურები გამოდიოდნენ
თავისი სახლებიდან ნაკეცებში დატკეპნილ
ახალ სერთუკებში, ესალმებოდნენ, ხელს
ართმევდნენ ბარონს და მასთან ერთად
განაგრძობდნენ გზას, თითქოს პროცესიას
მიჰყვებოდნენ.

ვიკონტმა ხელი გაუყარა ჟანას და მას-
თან ერთად წინ წავიდა.

ეკლესიას რომ მიაღწიეს, ყველანი შე-
ჩერდნენ. გამოჩნდა დიდი ვერცხლოს
ჯვარი, რომელიც პირდაპირ ეჭირა ერთ
მსახურ ბიჭს. მას მოჰყვებოდა წითელ-
ფეთრში გამოწყობილი მეორე ბიჭი ნა-
კურთხი წყლით სავსე ლარნაკითა
და სასხურებლით.

მერე გამოჩნდა სამი მგალობელი მო-
ხუცი, რომელთაგან ერთი კოჭლობდა,
შემდეგ სერპენტზე დამკვრელი, ბოლოს
კი მღვდელი გამობერილ მუცელზე გა-
დაჯვარდინებული მოთქროვილი ოლა-
რით. იგი ღიმილით და თავის ერთი დაკ-
ვრით მიესალმა ყველას. შემდეგ ნახევ-
რად დახუტა თვალები, ტუჩები აცემატუ-
ნა სალოცავად, ცხვირამდე ჩამოიწია სა-
მკუთხა ქუდი და ზღვისყენ გაჰყვა სტიქა-
რით შემოსილ ამაღას.

პლაჟზე უკავილებით მორთულ ახალ

ნავს ხალხი შემოხვეოდა. მის ანაზღე, ეა-
ლქანზე, მოწყობილობაზე ქარი გრძელ
ლენტებს აფრიალებდა, ხოლო კიჩინზე
ოქროს ასობით ეწერა ნავის სახელი:
ჟანა.

პროცესიას ბარონის ხარჯით აგებულ
ამ ნავის კაპიტანი — ძია ლასტიკი შეე-
გება. ყველა მამაკაცმა ერთად მოიხადა
ქუდი. ღვთისმლოცველმა ქალებმა, რომ-
ლებსაც კაპიშონიანი ფართო შავი ნაო-
ქიანი მოსასხამები ეცვათ, ჯვრის დანახ-
ვაზე ნახევარწრედ დაიოქეს.

მღვდელი, რომელსაც იქითაქეთ ორი
მსახური მიჰყვებოდა, პატარა გემის ერთ
ბოლოში დადგა, ხოლო მეორე ბოლოში
— სამი მოხუცი მგალობელი. თეთრსა-
მოსიანი უსუფთაო და გაუპარსავი მომ-
ღერლები მედიდური სახით ჩაატკერდნენ
საეკლესიო საგალობელთა კრებულს და
ნათელი დილის გაშლილ სივრცეში მთე-
ლი ხმით გაისმა მათი არეული სიმღერა.

როცა ისინი სულს ითქვამდნენ, მხო-
ლოდ სერპენტი განაგრძობდა ღმუილს
და დამკვრელის პატარა ნაცრისფერი
თვალები გამობერილ ლოყებში იკარგე-
ბოდა. შუბლისა და კისრის კანი ისე ებუ-
რცებოდა ჩაბერვის დროს, თითქოს სხვა
სხეულის დაწებებული ხორცის ნაჭრე-
ბიათ.

უძრავი, ღრმად ჩაფიქრებული და გამ-
ჭვირვალე ზღვა, თითქოს ნათლობაში ეხ-
მარებაო ნავს, მოკრძალებით მიწყნარდა,
თითის სიმაღლე ქოჩორა ტალღებს ამო-
ძრავებდა და, თითქოს ნიჩბებს უსვამსო,
ოდნავ შრიალებდა კენჭებზე. დიდი თე-
თრი თოლიები კი ფრთაგაშლით წრეებს
ხახვდნენ ფირუზ ცაში, შორს მიფრინა-
ვდნენ, ისევ ბრუნდებოდნენ და მღორე
ფრენით უვლიდნენ დაჩოქილ ბრბოს თა-
ვზე, თითქოს მათაც სურდათ გაეგოთ რა
ხდებოდა იქ.

სიმღერა შეწყდა ხუთწუთიანი „ამი-
ნის“ შემდეგ. მღვდელმა ხრიწიანი ხმით
წაიკაჟანა რამდენიმე ლათინური სიტყვა,
რომელთაგან გარკვევით მხოლოდ მქდე-
რი დაბოლოებანი ისმოდა.

შემდეგ მან შემოუარა ნავს, ნაკურთხი

წყალი შესახა მას და შეჩერდა ერთ-ერთ ქიმთან, ნათლიების პირდაპირ, რომლებიც ხელიხელჩაკიდებულნი უძრავად იდგნენ, და ლოცვანის ბუბუბუტს შეუღდა.

ახალგაზრდა კაცი ინარჩუნებდა ლამაზი მამაკაცის მედიდურ გამომეტყველებას, მაგრამ უეცარი მღვლარებით სულ-შეხუთული და ძალამიხილი ქალიშვილი ისე კანკალებდა, რომ კბილები უწყაყუაკებდა. ოცნება, რომელიც მოჩვენებასავით უეცრად აეკვიტა ამ ბოლო დროს, სინამდვილედ ეჩვენებოდა. ვიდაცამ ქორწინება ახსენა, მღვდელიც წესს ასრულებდა და სტიქარიანი ადამიანებიც, რომლებიც დიკენურად კითხულობდნენ ლოცვანს; ჟანას ჯვარისწერა ხომ არ იყო?

ეს მისი თითები შეიპყრო ნერვულმა ცახცახმა თუ იმ ცდუნებამ, რომელიც ქალის ძარღვებში დაფორაიქობდა, შეზობლის გულშიც შეაღწია? იგრძნო მან? გამოიცნო? ისიც მასავით შებოროტა და დაათრო თუ არა სიყვარულმა? ან ეგებ გამოცდილებით იცის, რომ ვერც ერთი ქალი ვერ გაუწევს მას წინააღმდეგობას? უეცრად ჟანამ იგრძნო, რომ იგი ხელს უჭერს, ჯერ მსუბუქად, მერე უფრო ძლიერად, კიდევ უფრო და კინაღამ მტევნები დაუმტვრია. და ისე, რომ სახეზე არაფერი დატყობია, არც არავის შეუთმნევია, გარკვევით, დიახ, დიახ, გარკვევით უთხრა:

— ოჰ, ჟანა, თქვენ რომ მოისურვებდეთ, ეს ჩვენს ნიშნობად გადაიქცეოდა! ჟანამ ნელა, ძალიან ნელა დახარა თავი. შეიძლება თანხმობის ნიშნად. მღვდელმაც, რომელიც ნავს ჯერ კიდევ ასხურებდა ნაკურთხ წყალს, თითებზე მიაშხეფა მათ რამდენიმე წვეთი.

ყველაფერი დამთავრდა, ქალები ფეხზე წამოდგნენ. უკან დაბრუნებისას ყველანი აირივ-დაირივნენ. ჯვარს დაეკარგა სიდიადე. იგი სწრაფად მიჰქროდა, მარჯვნიდან მარცხნივ ირწეოდა, ხან კიდევ წინ იხრებოდა და გეგონებოდათ, საცა მიწაზე დაეცემაო. მღვდელი აღარ ლოცულობდა და კვალში მიაბოტებდა; მგლობლები და

სერპენტისტი ვიწრო შესახვევში მიიქცნენ, ტანსაცმელი რომ სწრაფად გამოეცვალათ. მებღვაურებიც აჩქარებით მიაბრკებდნენ ჯგუფ-ჯგუფად. ერთი და იგივე ფიქრი ავსებდა მათ სამზარეულოს სუნით და სიმკვიარცხლეს მატებდა ფეხებს, პირს ნერწყვით უსველებდა. მუცლის სიღრმეში იჭრებოდა და შიგნელს უწრიალებდა.

დიდებული საუზმე ელოდებოდა მათ ჩინარში.

ვაშლის ხეების ძირში გაშლილ დიდ მაგიდას საოცი მებღვაური და ვლახი უხხდა. ბარონის მეუღლე მაგიდის თავში, ორ მღვდელს შუა იჯდა. ერთი იბორელი იყო, ხოლო მეორე შინაური. მათ ბორდაპირ მერსა და მის მეუღლეს შორის ბარონი გაჩხირებოდა. მერის მეუღლე — საკმაოდ შებერებული და გამხდარი ნამდვილი გლეხი. წამადუწუმ აქნევდა თავს და ყველას ესალმებოდა. გრძელი სახით, მაღალი ნორმანდიული ჩაჩით, მრგვალი და მუდამ გაოცებული თვალებით იგი თეთრ ქოჩორა ქათამს მოგავონებდათ; და ისე სწრაფად ყლაპავდა პატარ-პატარა ლუკმებს, თითქოს თეფშიდან ცხვირით ენჯავასო.

ჟანა, ნათლიას გვერდით, ოცნებებში მოგზაურობდა. იგი არაფერს აღარ ხედავდა, არაფერი აღარ ეხმოდა და სისხარულისაგან გაბრუნებული ჩუმად იჯდა.

მან თავის მებოტელს ჰკითხა:

— მაშ, რა გქვიათ?

— ქულიენი. არ იცოდით? — უთხრა მან.

მაგრამ ჟანამ აღარ უბასუხა, მან მხოლოდ გაიფიქრა: „რა ხშირად გავიწყობრებ ამ სახელს!“

როდესაც საუზმე დამთავრდა, ბატონებმა ეზო მებღვაურებს დაუთმეს, თვითონ კი სახლის მეორე მხარეს გადავიდნენ სასაირონოდ. ქმრის მკლავზე დაყრდნობილი ბარონის მეუღლე ორი მღვდლის თანხლებით თავის მოციონს შეუღდა. ჟანამ და ქულიენმა ვიწრო, დახლოებული გზით წააფისსაკენ გასწიეს. უცხად ქულიენმა მას ხელები ჩასკიდა:

— მითხარით, გასურთ გახდეთ ჩემი ცოლი?

ქანამ კვლავ დახარა თავი და, როდესაც ვიკონტმა წაიბუტბუტა: „მიბასუხეთ, გე-

მუდარებით, მიბასუხეთ“, წყნარად შეხედა და მას და ჟულიენმა ამ გამოხედვითი პასუხი წაიკითხა.

IV

ერთ დილით ბარონი ქანას ადგომამდე შევიდა მის ოთახში და საწოლზე ჩამოუჯდა ფეხებთან:

— ბატონმა ვიკონტმა დე ლამარმა შენი ხელი გვთხოვა.

ქანას მოუხდა საბანში ჩამალულიყო. მამამ განაგრძო:

— ჩვენ გადავდეთ პასუხი ახალ შეხვედრამდე.

ქანას მღელვარებისაგან სული ეხუთებოდა, ყრუდ ქოშინებდა. ბარონმა ერთ წუთს შეიცადა და ღიმილით დასიძინა:

— ჩვენ საქმის გადაწყვეტა არ გვინდოდა შენთან მოულაპარაკებლად. დედაშენი და მე არა ვართ ამ ქორწინების წინააღმდეგი, თუმცა არც ძალას გატანთ. შენ იმაზე ბევრად მდიდარი ხარ, მაგრამ როცა საქმე ეხება ბედნიერებას ცხოვრებაში, განა ფულზე ფიქრობენ? მას არა ჰყავს მშობლები; მასშასადამე, შენ თუ გაჰყვები, იგი როგორც შვილი, ისე შემოვა ჩვენს ოჯახში, მაგრამ თუ სხვას მითხოვდები, თვითონ შენ, ჩვენს ქალიშვილს, მოგვიწევს უცხო ოჯახში შესვლა. იგი მოგვწონს ჩვენ. შენ?... შენ მოგწონს?

ქანა თმის ძირებამდე გაწითლდა და წაილულულა:

— მე თანახმა ვარ, მამა.

მამიკო, რომელიც ისევ იღიმებოდა, თვალეში ჩააშტერდა მას და წასჩურჩულა:

— მე ამას ცოტათი ვხვდებოდი, მაღიპუახელ.

ქანა შეზარხოშებულოვით დადიოდა საღამომდე, თავად არ იცოდა რას აკეთებდა, დაბნეული ავტომატურად იღებდა ერთ საგანს მეორის ნაცვლად და, თუმცა ამ დღეს სრულებით არ უვლია, ფეხები ეკეცებოდა დაღლილობისაგან.

დაახლოებით ექვს საათზე, როდესაც

იგი დედიკოსთან ერთად ჰადრის ძირში იჯდა, გამოჩნდა ვიკონტი.

გაშმაგებით აბგერდა ქანას გული. ახალგაზრდა კაცი თითქმის აუღელვებლად მიუახლოვდა მათ. როდესაც სულ ახლოს მივიდა, აიღო ბარონის მეუღლის ხელი და თითები დაუკოცნა. შემდეგ ასწია ქალიშვილის ათრთოლებული ხელი და ტუჩებით დააკვდა ზედ, თითქოს ამ ხანგრძლივი კოცნით გამოთქვა თავისი ნაზი და მაღლობის გამომხატველი გრძნობა.

დაიწყო ნიშნობის სასიხარულო დღეები. ისინი საუბრობდნენ სასტუმრო ოთახის განმარტოებულ კუთხეში ან ისხდნენ წარავის ბოლოს ფერდობზე, უკაცრიელი პირქუში ტრამალების წინ, ზოგჯერ კი დედიკოს ხეივანში სეირნობდნენ. მამან ვიკონტი მომავალ ცხოვრებაზე ლაპარაკობდა, ხოლო ქანა ბარონის მეუღლის მტერიან ნაკვალევს დასცქეროდა და გვირდით მიჰყვებოდა მას.

რაკი საქმე გადაწყდა, დაყოვნება აღარ ღირდა. შეთანხმდნენ, რომ ჯვარს დაიწერდნენ ექვს კვირაში, თხოთმეტ აგვისტოს, შემდეგ კი ნეფე-დეაოფალი დაუყოვნებლივ გაემართებოდა საქორწილო მოგზაურობაში. მოლაპარაკების დროს ქანამ არჩია კორსიკა, სადაც უფრო განმარტოებით იგრძნობდნენ თავს, ვიდრე იტალიის ქალაქებში.

არც თუ მოუთმენლად ელოდებოდნენ ახალგაზრდები ქორწინების დღეს. მომხიბლავი სინაზით შეპყრობილნი და გაბრუებულნი, ტკებოდნენ უმწიკვლო აღკრისის წარმტაცი მშვენიერებით, თითების მოჭერით, ხანგრძლივი ვნებიანი ცქერით, რომელიც თითქოს აერთებდა მათს სულსა და გულს, ღელავდნენ და იტანჯებოდნენ ნამდვილი ხვევნა-აღერისის გაუბედავი სურვილით.

გადაწყვიტეს, ქორწილზე არავინ მოე-

წვიათ, გარდა ბარონის მეუღლის დის დეიდა ლიზონისა, რომელიც ვერსალის ერთ-ერთი მონასტრის პანსიონში ცხოვრობდა.

მამის გარდაცვალების შემდეგ ბარონის მეუღლეს სურდა ლიზონი თავისთან დაეტოვებინა, მაგრამ შინაბერას აეკეცა-ტა აზრი, რომ იგი ყველას ავიწროებდა, ყველას თავს აბეზრებდა, უსარგებლო იყო, და ამჯობინა შეხიზნოდა ღვთისმოსავთა ერთ-ერთ თავშესაფარს, სადაც აქირავებდნენ ოთახებს მარტოხელა, ცხოვრებით განწყენებულ ადამიანებს.

თავის ოჯახს იგი ხანდახან ესტუმრებოდა, ერთი ან ორი თვით.

ეს იყო ჩია, სუსტი ქალი. იგი ცოტას ლაპარაკობდა, ყოველთვის იმალებოდა, გამოჩნდებოდა მხოლოდ პურის ქამის დროს, მყისვე უკანვე ბრუნდებოდა თავის ოთახში და ჩვეულებრივ იქ იჯდა ჩაკეტილი.

მას კეთილი და უღრთოდ მოხუცის იერი ჰქონდა, თუმცა მხოლოდ ორმოცდარი წლისა იყო. სათნო და ნაღვლიანი გამომეტყველების მიუხედავად, ოჯახში არაფრად აგდებდნენ. სულ პატარასაც არავინ ეფერებოდა, რადგანაც არც ლამაზი იყო და არც მკვირცხლი. წყნარი და მორჩილი თავისთვის იჯდა ხან ერთსა და ხან მეორე კუთხეში. მას შემდეგ იგი ყველამ მოიძულა. სიყმაწვილეშიც არავინ არ დაუინტერესებია.

იგი მოგავგონებდათ ჩრდილს თუ შეჩვეულ საგანს, ცოცხალ ავეჯს, რომელსაც ყოველდღე ხედავენ, მაგრამ ვერ ამჩნევენ.

მშობლიური სახლიდან გამოყოფილი ჩვეულებით, მისი დაც ლიზონს უყურებდა როგორც უბადრუკ და სულ უმნიშვნელო არსებას. მას მოურიდებლად და

უბოდიშოდ ეპყრობოდნენ, რომელშიც აბუჩადამგდები სიბრაღული გამოსჭვიოდა. მას ლიზა ერქვა და ეს კოპწია ახალგაზრდული სახელი აშკარად ეუხერხულეზოდა. როცა დაინახეს, რომ იგი არ თხოვდებოდა და ვერც გათხოვდებოდა, ლიზა ლიზონად გადააკეთეს. ჟანს დაბადებისთანავე იგი „დეიდა ლიზონი“ გახდა, საწყალი და ფაქიზი ნათესავი, უაღრესად მორცხვი თვით სიძესთან და დასთანაც კი. მათ მაინც უყვარდათ იგი, თუმცა ზერეულე სიყვარულით, რომელშიც ერთმანეთს ერწყმოდნენ ალერსიანი გულცივობა, შეუცნობელი თანაგრძობა და ბუნებრივი კეთილმოსურნობა.

ხანდახან, როდესაც ბარონის მეუღლე გაიხსენებდა ახალგაზრდობის ამბებს, თარიღი რომ ზუსტად დაედგინა, იტყოდა ხოლმე: „ეს მაშინ მოხდა, როცა ლიზონმა უგუნური საქციელი ჩაიდინა“.

მეტს არაფერს ამბობდნენ და ეს „უგუნური საქციელი“ საიდუმლოებით მოცული რჩებოდა.

მაშინ ოცი წლის იყო ლიზა, როცა ეთო საღამოს წყალში გადავარდა. არაღინ იყოდა რატომ. არც მის ცხოვრებაში და არც ქცევამი არაფერი ჩანდა ისეთი, რაც ამ სივციის მიზეზი შეიძლებოდა ყოფილიყო. იგი ცოცხალ-მკვდარი გამოათრის და იმის ნაცვლად, რომ გამოეძიათ ამ საქციელის დაფარული მიზეზი, მისი მშობლები აღშფოთებით ხელებს აპყრობდნენ და „უგუნურ საქციელზე“ ლაპარაკით კმაყოფილდებოდნენ. ლაპარაკობდნენ ისეთივე ტონით, როგორც ცხენ „კოკოზე“, რომელსაც ცოტა ხნის წინათ უბედურება შეემთხვა, ღრანტეზე წაიფორხილა, ფეხი მოიტეხა და იძულებული გახდნენ მოეკლათ.

(გაგრძელება იქნება)



აღუქსანდრე კოლაქაევი

ს ა რ კ მ ე ლ ი

სადაც გიჟმაჟი მდინარე მიჰქრის,
იქ ჯადოსნური არის სარკმელი.
იღება წყნარად და თეთრი ფიქრით
სარკმელი, თბილი, თოვლისფერ ხელით.
ნაზხავერდოვან ტანსაცმლის ჩრდილში
მკერდი გავსილი კანკალებს, თრთოლავს.
ცისფერი თვალი ელვას არ იშლის,
თითქოსდა სარკმელს ჩამოათოვა.
ზაფხულის ღამეს გულისმომკვლელად
ჩამოეყრდნობა ჩუმიად და კრძალვით
და იცქირება დასაოკებლად
მზეტუნახავი ქალწული ქალი.
გაიღიმებს და — ბუნება ჰყვავის,
მღერის და — ბაღში ბულბული გალობს.
მდინარის ლოყებს — შროშნების ყვავილს
კოცნის ნიავი, ხტის და ნანაობს.
ხან ვნებიანად ოცნებობს, ხან სწუხს,
ეაღერსება იმ ლამაზ ქალწულს.
დახურავს სარკმელს, ბორგავს სიცივე,
თერგზე სიკვდილი მოიქნევს შოლტებს.
ჩემო სულიკოვ, ო, გაიცინე,
შენი ღიმილი ღამეს აოტებს!
მკაცრია მეტად, არა, არ ესმის
მორიდებული ჩივილი ჩემი.
აღარ უფეთქავს ვნება ალერსის
და ვნება ტკბობის ცეცხლის გამჩენი.

იცი, გულგრილო, ტურფა ქალწულო,
შენს ოქროს თმებში ვერცხლი გაჩნდება,
გული მწუხარე ნაღველს დაწურავს,
ცეცხლი და გზნება ოხრად დაგრჩება.
მაშინ გაიგებ, ალბათ, სხვის წუხილს
და მოსაკდები სარკმელს გრიალით.
წამწამსწრობელი სიყვარულისთვის
იქნება შენი ლტოლვა გვიანი.

მზეთუნახავს

ვენერას ბიუსტს მომაგონებ, მშვენიერებავ,
თეთრ მარმარილოს ელვარებავ, ხარ ცივი თოვლი.
ასე უსულოს და უცეცხლოს რა გეშველება,
ვერ დამაჩოქებ თეთრ მუხლებთან გიჟური

თრთოლვით.

თილისმიანო, მომნუსხველო, გაჩნდი იმიტომ,
ერთგულ მსახურად აეწაპე მაცდურ ამურებს.
აენტე ცეცხლით პიგმალიონის
და მე მიგინდობ,
ჩემს თაყვანს, კარგო, მხოლოდ მაშინ დაიმსახურებ.

თარგმნა მ. ომერიძემ.





ქართლო დოლიძე

მომხე ჩეხოსლოვაკიის ჩესპუბლიკაში

საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოება ყოველწლიურად გზავნის საზოგადოების წევრებს, განათლების მუშაებს მომხე რესპუბლიკებსა და საზღვარ-დემოკრატიულ ქვეყნებში გამოცდილების გასაზიარებლად. ერთ-ერთი ასეთი დელეგაცია წელსაც იყო ჩეხოსლოვაკიაში. სხვებთან ერთად ამ დელეგაციაში შეი შევდიოდი.

ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ პრაღაში დილით ჩავედი. გათენებულიც არ იყო, მაგრამ სადგურზე ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად პიონერებიც შეგვხვდნენ.

ჩეხოსლოვაკიის გაცნობა პრაღით დავიწყეთ. იგი ფრიალ მდიდარია ისტორიული ძეგლებით, ტაძრებითა და მონასტრებით, გალავნებითა და ციხე-სიმაგრეებით.

განსაკუთრებული ინტერესით დავათვალიერეთ პრაღის სახელგანთქმული კრემლი, სადაც ბევრი სასახლე და ტაძარია. მათგან გამოირჩევა გოთური ვიტას ტაძარი, რომლის უმაღლესი ნაწილი 128 მეტრზეა ატყორცნილი. აქ ბევრი გამოჩენილი პირის საფლავია. მათ შორის ჩეხეთის X საუკუნის მეფის ვაცლავისაც. იგი დიდ ჰუმანისტად და წმიდანად არის მიჩნეული. ტაძრის ერთ-ერთ კედელთან, სპეციალურ სენაკში ინახება მისი სამეფო გვირგვინი, კვერთხი და მანტია, რომე-

ლიც საფირონის თვლებიანი ბაჯილო ოქროთია მოჭედილი და უაღრესად ძვირფასია. ამიტომ განძს საიმედოდ იცავენ. სენაკს აქვს ისეთი საკეტი, რომელიც შეიდი კლიტით იღება, ამასთან ერთი კლიტე ინახება რესპუბლიკის პრეზიდენტთან, მეორე — არქივისკომოსთან, მესამე — ქალაქის მერთან, მეოთხე — შინაგან საქმეთა მინისტრთან და ა. შ. ცხადია, სენაკის გაღება ყველა ამ პირის თანდასწრებით შეიძლება და ამას აკეთებენ მხოლოდ უძვირფასესი სტუმრის პატივსაცემად.

ტაძრის მშენებება ელადისლავის დარბაზი. იგი იმდენად დიდია, რომ ოდესღაც რაინდთა შერკინების ასპარეზად იყენებდნენ, ხოლო შემდეგ პრეზიდენტს ირჩევდნენ. უმშენიერესი ნაგებობაა აგრეთვე სტრაგოვის მონასტერი. აქ ჩამოდიოდნენ სხვადასხვა ქვეყნის სახელგანთქმული კომპოზიტორები და უკრავდნენ მის უნიკალურ ინსტრუმენტზე.

მეფეთა, იმპერატორთა, დედოფალთა და სხვა წარჩინებულ პირთა ძვირფასი საჩუქრებისა და შეწირულებათა საცავია ლორეტას საკურთხეველი, რომელიც ლორეტას მოედანზე მდებარეობს. მის გვერდით სამრეკლოა ოცდაშვიდი ზარით. ზარები ავტომატურად რეკავენ. ისინი შეერთებული არიან საათთან და სპეციალურ ინსტრუმენტთან. რომელსაც სხვადასხვა მელოდიის დაკვრა შეუძლია,

მაგრამ ამჟამად სამრეკლოდან ყოველ საათში ერთი და იგივე მელოდია ისმის.

სამრეკლოს პირდაპირ, საგარეო საქმეთა სამინისტროს მშენებური სასახლის წინ, დაკრძალულია რუსი ოფიცერი ბელიაკოვი. იგი მონაწილეობდა პრალის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში და მძიმედ დაჭრილი იწვა სამრეკლოს ახლოს მდებარე სახლში. საბჭოთა მებრძოლი აქ ისმენდა ზარების მელოდიას, რომელიც ძლიერ მოსწონებია და უთხოვია — ვიცი, ვერ გადავრჩები და სამრეკლოს ახლოს დამკრძალეთო. ბელიაკოვს თხოვნა შეუსრულეს...

1357 წელს აშენებულ კარლოსის ხილთ გადავდივართ მდინარე ვლტავას მარცხენა სანაპიროზე.

ხილის პირდაპირ სასახლეები და მონასტრებია, სადაც ამჟამად მოთავსებულია ეროვნული, უნივერსიტეტისა და სლავური ბიბლიოთეკები, აგრეთვე ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკა. ამ ბიბლიოთეკებში ინახება ორ მილიონამდე ეგზემპლარი წიგნი და ათასამდე ხელნაწერი, მათ შორის XIV საუკუნის უნიკალური წიგნები. აქვეა მათემატიკურ და ასტრონომიულ ხელნაწერთა მუზეუმი.

წითელარმიელთა მოედნის ახლოს მხატვართა სახლია. ამჟამად აქ მოთავსებულია ხელოვნების აკადემია და სახელმწიფო კონსერვატორია. ხელოვნების აკადემიის დარბაზებში ეწყობა სიერთაშორისო მუსიკალური კონკურსები და ცნობილი ფესტივალი — „პრალის გაზაფხული“.

კარლოსის ხილის შემდეგ იწყება ე. წ. ძველი პრალის მოედანი — „ისტაროე მესტო“, რომელთანაც ჩეხი ხალხის ისტორიის მრავალი საინტერესო მოვლენა დაკავშირებული.

მოედნის პირდაპირ აღმართულია რატუშის შენობა. მის შესასვლელთან, მაღლა, საქვეყნოდ ცნობილი ასტრონომიული საათია. მისი კურანტები ყოველ საათში რეკავს.

რატუშაში მოთავსებულია ორიგინალურად მორთული ქორწინების სახლი.

ქორწინებას ატარებს ქალაქის მთელი დეპუტატი, რომელთაც სპეციალური ტანსაცმელი აცვით. ჩვენ დავესწარით ობი-ახალგაზრდის — ოფიცერი იოზეფ მიჩიჩკას და ფეიქარ იოზეფ ბუერშოვას საქორწილო ცერემონიას. სრულდება სასიამოვნო მელოდია. ახლო ნათესავთა მცირერიცხოვან ჯგუფს შემოჰყავს ქალიშვილი. ყველანი მიდიან მაგიდასთან, სადაც დეპუტატი დგას. შემდეგ შემოდის ვაჟი თავისი მხლებლებით. ქალიშვილი და ვაჟი დგებიან ერთად, დეპუტატი ულოცავს მათ და ატარებს რევისტრაციონი. რადგან ჩვენი დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ავტონომიური რესპუბლიკების დეპუტატები, ჩეხმა მეგობრებმა შემოგვთავაზეს მიგველოცა ახლად დაქორწინებულთათვის. ჩვენც სიამოვნებით მივულოცეთ ახალგაზრდებს ვაბედნიერება და საჩუქრად ქართული სუვენირები გადავეცით.

მეტად მიმზიდველია „ნოვოე მესტოც“, იგივე ახალი ქალაქი, რომლის და, საერთოდ, პრალის ცენტრს წარმოადგენს. ვაცლავის მოედანი. აქ თავმოყრილია საზოგადოებრივი, კულტურისა და სხვა დაწესებულებანი. მოედნის ამალგებულ ადგილს ამშვენებს შესანიშნავი არქიტექტურული ნაგებობა — ეროვნული მუზეუმი, რომლის წინ შადრევანებია, ხოლო მოედნის ცენტრში დგას თვით ვაცლავის ძეგლი. იგი ეკუთვნის გამოჩენილ ჩეხ სკულპტორს ი. მისლბეკს. აქვეა სასტუმრო „იალტა“, მოედნის სახლი, უნივერსალური მაღაზიები და ა. შ.

ქალაქის ამ ნაწილის მშენებება აგრეთვე ეროვნული თეატრის შენობა, რომელიც აშენებულია 1868-1881 წლებში არქიტექტორ ზიტკის პროექტით და ხალხის დანაზოგი თანხებით.

პრალის ბევრი ადგილი დაკავშირებულია რევოლუციურ მოძრაობასთან. მათ შორის ყველაზე ძვირფასია ე. წ. სახალხო სახლი, რომელშიც ვ. ი. ლენინის მუზეუმი მოთავსებული. 1912 წელს აქ მიმდინარეობდა რსდმპ VI კონფერენცია-მუზეუმის ოცდაექვსი ოთახი აქვს, აქედან ოცდაერთი ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა

და მოღვაწეობისადმი მიძღვნილ ექსპონატებს უჭირავთ.

ჩვენ დიდ საიმოვნებას გვგვრიდა ჩეხეთის, მორავიისა და სლოვაკიის ქალაქების, კურორტებისა და სოფლების დათვალიერება, მაგრამ როგორც ვახალგაზრდების მუშაობებს განსაკუთრებით გვინტერესებდა იან ამოს კომენსკის სამშობლოში გავცნობოდით სახალხო განათლების საქმეს, საბავშვო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების საქმიანობას.

განათლებისა და კულტურის დაწესებულებებს ერთი სამინისტრო — კულტურისა და განათლების სამინისტრო ხელმძღვანელობს.

სამ წლამდე ბავშვებისათვის არსებობს ბავშვთა ბაგების ფართო ქსელი. ბაგებში სამი განყოფილებაა: ძუძუთა ბავშვებისათვის ათ თვემდე, ათი თვიდან თვრამეტ თვემდე და თვრამეტი თვიდან სამ წლამდე. ბაგების ქსელი ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს უწყებაში შედის.

სამი-ექვსი წლის ბავშვები საბავშვო ბაღებში იზრდებიან, ხოლო ექვსი წლისანი უკვე სკოლაში შედიან.

ძირითად სავალდებულო სკოლად ითვლება ცხრაწლიანი სკოლა. ამის შემდეგ მათ შეუძლიათ წავიდნენ მეორე ციკლის როგორც საშუალო ზოგად-საგანმანათლებლო სამწლიან, ისე საშუალო პროფესიულ ოთხწლიან და ორწლიან, აგრეთვე საქარხნო-საფაბრიკო და სახელოსნო და ე. წ. მშრომელთა საშუალო სკოლებში.

1962-1963 სასწავლო წელს ჩეხოსლოვაკიაში იყო 695 ტექნიკური და ორმოცდარვა უმაღლესი სასწავლებელი ას სომოდიათი ფაქულტეტით. მათში სწავლობდა 127.495 სტუდენტი, აქედან ორმოცი ათასი წარმოებისაგან მოუწყვეტილ უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვა ხდება მისაღები გამოცდების გავლისა და კონტინგენტის შერჩევის შედეგად.

ჩეხოსლოვაკიაში არსებობს ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლები, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტები, სახელმწიფო უნივერსიტეტები. ცალკე სამედიცინო ინსტიტუტები არ არის, უნივერსი-

ტეტებთან არსებობს სამედიცინო ფაქულტეტები.

პედაგოგიურ კადრებს ზოგად-საგანმანათლებლო სკოლებისათვის ამზადებენ პედაგოგიური ინსტიტუტები. მათი უმრავლესობა უკვე გადაკეთებულია სახელმწიფო უნივერსიტეტების პედაგოგიურ ფაქულტეტებად. ამჟამად ჩეხოსლოვაკიაში არის თერთმეტი პედაგოგიური ფაქულტეტი ნაცვლად ოცდაორი პედაგოგიური ინსტიტუტისა. სწავლების ხანგრძლიობა სამედიცინო ფაქულტეტზე ექვსი წელია, დანარჩენზე — ხუთი წელი, გარდა პედაგოგიური ფაქულტეტისა. ამ ფაქულტეტზე თეორიული კურსი თავდება სამ წელიწადში. ამავე პერიოდში გადიან მოუწყვეტელ პედაგოგიურ პრაქტიკასაც, გადასცემენ ვაკეეთილებს, ხოლო სტაჟიორულ პრაქტიკას ეთმობა მეოთხე წელი. პედაგოგიური ფაქულტეტის კურსდამთავრებული ინიშნება მასწავლებლად და იღებს ხელფასს, თან ემზადება ლიბლომის დასაცავად. პედაგოგიური ინსტიტუტები ან ფაქულტეტები ამზადებენ I-V კლასების მასწავლებლებს ცალკე და VI-IX კლასებისას ცალკე. I-V კლასების მასწავლებლებს შეუძლიათ დამატებით დაეუფლონ ერთ რომელიმე საგანს და ასწავლონ იგი ზედა—VI-IX კლასებში. რაც შეეხება მეორე ციკლის სკოლებს (X-XII კლასები), მათთვის მასწავლებლებს ამზადებენ უნივერსიტეტები.

ერთ-ერთი უძველესი უნივერსიტეტი მსოფლიოში და პირველი ცენტრალური ევროპაში არის პრადის „კარლოვი უნივერსიტეტი“, რომელიც დაარსებულია 1348 წელს. XV საუკუნის პირველ ათწლეულში მისი რექტორი იყო მაგისტრი იან ჰუსი. 1939 წლის 17 ნოემბერს გერმანელმა ფაშისტმა ოკუპანტებმა დაარბიეს ეს უნივერსიტეტი, ცეცხლთა და მახვილით ჩააქრეს ახალგაზრდობის პროტესტი ნაციზმის წინააღმდეგ, ცხრა სტუდენტი ადგილზევე დაწვრიტეს, ხოლო ასობით პროფესორ-მასწავლებელი საკონცენტრაციო ბანაკებში ჭარბეც, საიდანაც უმრავლესობა ცოცხალი აღარ დაბრუნებულა. ამ ბარბაროსობამ აღაშფოთა მსოფლიოს

პროგრესული ახალგაზრდობა. 17 ნოემბერი გამოცხადდა სტუდენტთა საერთაშორისო დღედ, რომელიც ყოველწლიურად აღინიშნება. აქვეა სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის სამდივნოც. ეს კავშირი 1946 წელს შეიქმნა პირველ კონგრესზე და ამჟამად თავის რიგებში სამოცდაათი ქვეყნის შვიდ მილიონზე მეტ სტუდენტს აერთიანებს.

პრალის უნივერსიტეტში თორმეტი ფაკულტეტი, მათ შორის სამედიცინო, მათემატიკა-ფიზიკის, ბუნებისმეტყველების, ფილოსოფია-ისტორია-ფილოლოგიის, იურიდიული, პედაგოგიის, ფიზკულტურის, კულტურულ-საგანმანათლებლო, ჟურნალისტიკის და სხვ. მასში შედის აგრეთვე პედაგოგიური ინსტიტუტის ნაცვლად შექმნილი პედაგოგიური ფაკულტეტი. სწავლების დღის განყოფილებაზე ათი ათასი სტუდენტია. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში ქართული ენისა და ქართული კულტურის საკითხებს დიდი ინტერესით სწავლობს მეცნიერთა ჯგუფი პროფესორ იედლიჩკას ხელმძღვანელობით.

ლექტორებს სამეცნიერო ხარისხს ან წოდებას ანიჭებენ, ხოლო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს დიპლომს გადასცემენ საზეიმო ვითარებაში. ამ ღონისძიებისათვის არის განკუთვნილი უნივერსიტეტის ძველი შენობის სპეციალური დარბაზები, სადაც ადგილებს იკავებენ სტუმრები, კურსდამთავრებულები, მათი ახლო ნათესავები და მეგობრები. უკრავს ორდანი. შემოდიან ლექტორ-მასწავლებლები, დეკანები, რომლებსაც წინ მიუძღვას რექტორი. რექტორატის წარმომადგენლებს რექტორის ჩათვლით სპეციალური ტანსაცმელი აცვიათ. ყველანი იკავებენ განკუთვნილ ადგილს და იწყება დიპლომის გადაცემა. ასეთი ცერემონიალი თავისებურ სიხარულსა და მღვდვარებას იწვევს როგორც სტუდენტებში, ისე დამსწრეებში და ზრდის კურსდამთავრებულთა პასუხისმგებლობას დაკისრებული მოვლითობისათვის.

შეხვედრებმა და გულთბილმა საუბრებმა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის კულ-

ტურისა და განათლების მინისტრის მიერ მოადგილესთან, პლზენის ქალაქის მერთან, პრალის, პლზენის, ბრნოს, ბრატისლავის უმაღლესი სასწავლებლების, კულტურისა და განათლების, სამეცნიერო დაწესებულებებისა და რედაქციების, სამრეწველო საწარმოების, სასოფლო-სამეურნეო საწარმო კოოპერატივების, ჯანმრთელობის დაცვისა და სამკურნალო დაწესებულებების მუშაკებთან საშუალება მოგვცა ახლოს გავცნობოდით მოძმე ჩეხოსლოვაკიელი ხალხის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებას, მოგვეთხო ჩვენი შესანიშნავი სამშობლოს გრანდიოზულ წარმატებებზეც სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და მოგვეხდინა გამოცდილების ურთიერთგაზიარება.

ვინაშუღეთ მსოფლიოში ფართოდ ცნობილი კურორტი კარლოვი ვარი. აქ ოთხმოცამდე ცხელი წყაროა, რომელთა ტემპერატურა საშუალოდ სამოცდაათი გრადუსია. ამჟამად კეთილმოწყობილია და ხმარებაშია თორმეტი წყარო.

კარლოვი ვარი არა მარტო საკურორტო, არამედ სამრეწველო ქალაქიცაა. აქ თავმოყრილია ცნობილი „შკოდას“ ფილიალი, ბროლისა და ფაიფურის კომბინატები.

პლზენში დავათვალიერეთ მანქანათსაშენი და ლუდის ქარხნები. ეს ქალაქი ამავე ღროს კულტურისა და მეცნიერული კადრების ერთ-ერთი უდიდესი სამუშელოა. აქ არის ბევრი უმაღლესი სასწავლებელი სამედიცინო, მანქანათმშენებლობის, ელექტროტექნიკური და პედაგოგიური ფაკულტეტებით. იმ შენობაში, სადაც ამჟამად პედაგოგიური ფაკულტეტი, წინათ იყო რეალური საშუალო სასწავლებელი, რომელშიც სწავლობდა იულიუს ფუჩიკი. ინტერესით გავეცანით აგრეთვე მარტოხელა მოხუცთა სახლს, რომელშიც ახლა 230 ხანდაზმული ცხოვრობს (უმრავლესობა ქალებია). სულ რესპუბლიკაში ოთხთმეტი ასეთი სახლია.

სამხრეთ მორავიის ოლქშია ქალაქი ბრნო. თავისი სიდიდით იგი ჩეხოსლოვაკიის მეორე ქალაქია. მომხიბვლელია მისი

საერთაშორისო გამოფენის პავილიონები.

ბევრი ტანჯვა გადაიტანეს ბრნოს მცხოვრებლებმა ფაშისტური ოკუპაციის პერიოდში. ათასობით ანტიფაშისტი სიკვდილით დასაჯეს ან საპყრობილეში ჩასვეს. მარტო კოუნციოვოს სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში ფაშისტმა ოკუპანტებმა ჩამოახრჩვეს 1.300 ანტიფაშისტი. 1945 წლის აპრილში ქალაქი დაბომბა ამერიკის ავიაციამ და დიდად დაზარალა იგი. ამავე თვეში იგი გაათავისუფლა საბჭოთა არმიამ მარშალ მალინოვსკის მეთაურობით. სამი ათასზე მეტმა მეომარმა შესწირა სიცოცხლე ბრნოს განთავისუფლებას. მათი ხსოვნის აღსანიშნავად წითელი არმიის მოედანზე აღმართულია მონუმენტი, რომლის ავტორია სკულპტორი ვ. მაკოვსკი.

ბრნოდან ოცდათვრამეტ კილომეტრზეა მაცოხის კასტრული გამოქვაბული, რომელშიც მდინარე პუნკვა გადის და ამიტომ პუნკვას გამოქვაბულსაც უწოდებენ. წარმოუდგენელია იმის აღწერა, რაც იქ ვნახეთ და განვიცადეთ. იგი მთლიანად ელექტროფიცირებულია, რაც აადვილებს მის დათვალიერებას. გამოქვაბულის სიგრძე სამი კილომეტრია, სიმაღლე — ერთიდან სამოც მეტრამდე. შიგ ბილივით შედინართ, რომელიც ხან მალა იწვეს და ხან დაბლა. გოაცებთ უმშვენიერესი ბუნებრივი დარბაზები, თითქოს არქიტექტურულად გაფორმებული სვეტები. ერთგან ბილიკი გადის დიდი ჭის მსგაის ადგილზე, რომლის სიმაღლე 130 მეტრს აღემატება. მის ზემოთ, ვიწრო ყელში მოჩანს პრიალა ცის ტატნობი. ეს ცნობილი „დედინაცვლის უფსკრულია“, რომლის შესახებ შემდეგი ლეგენდა გადმოგვცეს: უფსკრულის მახლობლად მცხოვრებ ერთ-ერთ მოქალაქეს გარდაცვლია მეუღლე და შეურთავს მეორე ცოლი, რომელსაც ავადმყოფი ბავშვი შეძინა. დედისათვის უთქვამთ, ბავშვი მხოლოდ მაშინ განიკურნება, თუ გამოქვაბულის უფსკრულში გადაავდებ გერსო. დედინაცვალს მართლაც გადაუგდია გერი, მაგრამ ბავშვი შემთხვევით გადარჩენილა. სამაგიეროდ იმავე უფსკრულში გა-

დაუჩხავთ დედინაცვალი. თითქოს ამოტომ ამ ადგილს „დედინაცვლის უფსკრულს“ უწოდებენ. ლეგენდა ლეგენდაა, მაგრამ მასში ჩანს კეთილის გამარჯვება ბოროტზე.

განვაგრძობთ გამოქვაბულის დათვალიერებას, მაგრამ არა ბილიკით, არამედ ნავით. წყლის სიღრმე ერთი მეტრიდან სამოც მეტრამდე მატულობს. ალაგ-ალაგ გასასვლევები იმდენად ვიწროა, განსაკუთრებით მოსახვევში, რომ მათი უზიფათოდ გავლა დიდ ოსტატობას მოითხოვს. მენავეებიც დაკისრებულ მოვალეობას უჩვეულო სიზუსტით ასრულებენ. ეს ზღაპრული მოგზაურობა თავდება იქ, სადაც მდინარე გამოდის გამოქვაბულიდან.

ვესტუმრეთ ბრნოდან სამოც კილომეტრზე მდებარე ზაეჩს, სადაც 1948 წელს დაარსდა რესპუბლიკაში ერთ-ერთი პირველი კოოპერატიული მეურნეობა. გულთბილად შეგვეგებნენ სოფლის მისასვლელთან. სკოლის დირექტორის თავისებური შესავალი სიტყვის შემდეგ მოხუცმა ქალებმა პურ-მარილი მოგვართვეს. მათთან ერთად ხალხთა მეგობრობის საღვებრძოლო დავლიეთ და ერთხმად დიწყეს სიმღერა „ყვიომ, ყვიომ, ყვიომ...“ ჩვენც ავაყოლეთ ხმა. სოფელში 306 კომლია 1.300 მცხოვრებით. იგი ყოველმხრივ კეთილმოწყობილია. მას ამშვენებს ბაგის, ბალის, სკოლის, კულტურის სახლის ახალი შენობები. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურებია სიმინდი, შაქრის ჭარხალი, ხორბალი და ვენახი. განვითარებულია მეცხოველეობაც. ვათვალიერებთ ზვრებს. მეღვინეობას ქვეყნიდან ჩასულ სტუმრებს არ გაგვეკირვებია მწიფე ყურძნის სურნელება, მაგრამ მასპინძლები ისე გულმოდგინედ გვთავაზობდნენ ყურძნის სხვადასხვა ჯიშს, რომ არცერთ ჩვენგანს უარი არ უთქვამს. შეგვიყვანეს ღვინის სადრაფში, სადაც ტრადიციულად ისევ მეგობრობის საღვებრძოლო შემოგვთავაზეს. მერე დედინაცვის სასამ წვეგის ცალკე მასპინძელი გავვიჩნდა და ოჯახებში მიგვიპატიოეს. საღამოს კულტურის სახლში მოვი-

ყარეთ თავი, სადაც მიღება და ბანკეტი გაგვიმართეს.

შემდეგ ვინახულეთ სლოვაკიის დედაქალაქი ბრატისლავა, რომელიც გაშენებულია მდინარე დუნაიზე და ორივე ნაპირს აერთებს ერთადერთი ხიდი. ქალაქის შემეტვის ნაწილი დუნაის მარცხენა მხარეზე მდებარეობს. მისი თითქმის ყველა კუთხიდან ჩანს სლავინის მაღლობზე აღმართული საბჭოთა მეომრის მონუმენტი. ქალაქი მდიდარია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელით. ბრატისლავის ფილარმონიის თეატრში დავესწარით პირველი ინტერნაციონალის ასი წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო საღამოს, რომელიც ორიგინალურად ჩატარდა: სცენაზე სიმფონიური ორკესტრის მონაწილენი ვანლაგდნენ, მათ უკან კი, ამღლებულ ადგილას, დაეწყო კაპელა. შესრულდა „ინტერნაციონალი“. სცენის წინა განაპირა მხარეს დადგმულ ტრიბუნაზე ავიდა მომხსენებელი. მოხსენების შემდეგ შეუსვენებლად დაიწყო კონცერტი და მთელი საღამო საათნახევარში დამთავრდა.

დავათვალე რეთ იან ამოს კომენსკის სახელობის უნივერსიტეტი, მისი რამდენიმე ფაკულტეტი, მათ შორის პედაგოგიურიც. ვესაუბრეთ პედაგოგიის კათედრის გამგეს. კათედრაზე ათი წევრია, მათ შორის სამი პროფესორი და ორი დოცენტი. ფსიქოლოგიის კათედრა ცალკეა. ამჟამად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პროგრამირებულ სწავლებას, მაგრამ იგი ჯერ კიდევ ჩანასახ მდგომარეობაშია. ამ საკითხზე გულთბილი საუბარი და აზრთა ვაცვლა-გამოცვლა გაიმართა კათედრისა და ჩვენი დელეგაციის წევრებს შორის.

უმაღლეს სასწავლებლებში დიდი ყურადღება ეთმობა დაუსწრებელ სწავლებას და იგი იმავე პრინციპზეა მოწყობილი, როგორც ჩვენთან. საღამოს განყოფილებები უმაღლეს სასწავლებლებში არ არის.

ავედიტ სლავინის გორაზე აღმართულ 6.400 საბჭოთა მეომრის მონუმენტთან. მისი კვარცხლბეკის სიმაღლე ოცდაჩვიდმეტი მეტრია. მასზე დგას წითლარმიელების ათმეტრიანი ფიგურა, რომელსაც ხელში უჭირავს გამარჯვების დროშა.

ბრატისლავის გარეუბანში, სამ კილომეტრზე, არის სოფელი რაჟა. მისი სასოფლო-საწარმოო კოოპერატივი ძირითადად მევენახეობას მისდევს. შესანიშნავადაა მოვლილი ზვრები. ყურამენს უმთავრესად სახელმწიფოს აპარატენ, ხოლო ნაწილს ადგილზევე ამუშავენ. აქვთ ღვინის კეთილმოწყობილი და მექანიზებული სარდაფი. დაგვაღვივინეს როგორც ახალი ღვინო, ჩვენებური მაჟარი (მას სლოვაკურად ბურჩაჟი ჰქვია), ისე ძველი ღვინოც. შემდეგ გაგვაცნეს მათი ტრადიცია: სარდაფის ჭერს, რომელიც გუდრონის მსგავსი შავი წებოვანი მასალისაგან არის გაკეთებული, უნდა ესროლო ხურდა ფული, რომელიც იმჟამსვე მიეკვრება მას. ეს კი იმის „საწინდარი“ა, რომ კვლავ ეწვევით ამ სოფელს. ჩვენც ვცადეთ ბედი.

ბრატისლავიდან ტატრებში გავემგზავრეთ. ეს იყო ჩვენი მოგზაურობის უკანასკნელი პუნქტი.

სასტუმრო, რომელშიც დავბინავდით, რვაას მეტრზეა ზღვის დონიდან. აქედან „ლომნიოკი პეის“ თაღამდე (2634 მ. ზღვის დონიდან) გაყვანილია საპაერთ საბაგირო გზა. ოთხ კილომეტრზე, ე. წ. კლოვან ტბამდე (2.000 მ. ზღვის დონიდან) იგი ჩვეულებრივ რკინა-ბეტონის მაღალ საყრდენზეა დამაგრებული, შემდეგ კი, ღარჩენილ ორ კილომეტრზე ბაგირი უსაყრდენოდაა გაბმული.

...აქ გულთბილად გამოვემშვიდობეთ ჩვენს თანამგზავრს — გიდს, მაღლობიანიშნად ქართული სუვენირები გადავეცით და გამოვეშურეთ სამშობლოსაკენ.



კრიტიკა და
პუბლიცისტიკა

შოთა ქაჩიძე

ლიტერატურის ახალგაზრდა გმირის შესახებ

ლიტერატურის ახალგაზრდა გმირის პრობლემა დღეს ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია. სულ ცოტა ხნის წინათ მას განიხილავდნენ ახალგაზრდობის კრებებზე, ახალგაზრდულ და ლიტერატურულ პრესაში, გამოთქვამდნენ სხვადასხვა მოსაზრებებს, ზოგჯერ ურთიერთ საპირისპიროსაც კი და იმართებოდა ცხარე პაექრობა.

ასეთი ცხოველი ინტერესი ლიტერატურის ახალგაზრდა გმირისადმი შემთხვევითი არ შეიძლება იყოს.

არ არის ლიტერატურა, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას არ უთმობდეს ახალგაზრდა ადამიანს, მისი ცხოვრების ასახვას, რადგან მასში ძლიერ რელიეფურად ჩანს ეპოქის, საზოგადოების იდეალი. დიდი პროლეტარული მწერლის მაქსიმ გორკის სიტყვით, XIX საუკუნის მთელი ლიტერატურა არსებითად იყო ახალგაზრდა ადამიანის პირადი ცხოვრების მხატვრული ისტორია. ბურჟუაზიამ შექმნა ახალგაზრდა გმირის საკუთარი იდეალი, ხოლო ლიტერატურამ გამოიხატა იგი — ინდივიდუალისტი, უკიდურესად ეგოისტი ადამიანი, რომელიც ან იმარჯვებს უსასტიკეს კაპიტალისტურ კონკურენციაში, ხორცს ასხამს თავის უაღრესად ვიწრო-პირადულ ინტერესებს, ან კიდევ მარცხდება, როგორც დამარცხდ-

ნენ უფლიენ სორელი, რასკოლნიკოვი და სხვები.

ახალგაზრდა ადამიანს, ბუნებრივია, გვერდს ვერ აუვლიდა ვერც საბჭოთა ლიტერატურა. პირიქით, არსებობს პირველივე დღეებიდან მოაქცია იგი თავისი ყურადღების ცენტრში და შექმნა ახალგაზრდა ადამიანის მხატვრული სახეების მთელი გალერეა. ამ გალერეაში ერთ-ერთი საბატიო ადგილი უკავია ნ. ოსტროვსკის პავა კორჩაგინს, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე მოამარა ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლას და სავსებით გამართლა დიდი გორკის სიტყვები: ადამიანი — ეს ამაყად ქდერს. კორჩაგინმა შეიგნო, რომ იყო ადამიანი — ეს დიდი მოვალეობა და ამ მოვალეობის დირსეულად შესრულება გახდა მისი ხანმოკლე, მაგრამ შთამაგონებელი ცხოვრების შინაარსი. ამიტომაც შეიყვარა ესოდენ მხურვალედ ჩვენმა ახალგაზრდობამ კორჩაგინი და გაიხადა იგი მისაბამ ნიმუშად, სამაგალითოდ.

ფრიად დამახასიათებელია, რომ დიდი მსჯელობა ლიტერატურის ახალგაზრდა გმირის შესახებ დაიწყო არა სხვა დროს, არამედ კორჩაგინის უკვდავი მხატვრული სახის შემქმნელის — ნიკოლოზ ოსტროვსკის იუბილეს დღეებში, რომელიც ასე საზეიმოდ აღინიშნა მთელ ჩვენს ქვეყანაში. აქ, ვფიქრობთ, გამოიხატა ის ფაქ-

ტი, რომ ბოლო დროს ჩვენს ლიტერატურაში, უმთავრესად ახალგაზრდა პროზაიკოსთა შემოქმედებაში შეინიშნებოდა ზედმეტი გატაცება ე. წ. „ჩვეულებრივი“, „საშუალო“ ადამიანით. გამოჩნდნენ ლიტერატორები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მკითხველს მოწყინდა გმირები, მოწყინდა არაჩვეულებრივი, გამოვლენილი ადამიანები, ახლა მას უნდა ლიტერატურაში ზედადეს თავისსავე მსგავს ადამიანებს, ჩვეულებრივ ადამიანებს და არა ისეთ განსაკუთრებულ პირებს, რომელთა რაოდენობა ცხოვრებაში თითებზე ჩამოითვლება. ფაქტურად ეს არის ჩვენი ლიტერატურის „დეგეროიზაცია“ და ამაში ზედავენ ნოვატორობას, ახალ სიტყვას. საგულისხმოა, რომ ამ შეხედულებას მათ ერთგვარი „თეორიული“ საფუძველიც გამოუქმენეს. ჩვენი ლიტერატურა, ამბობენ ისინი, ხალხის ლიტერატურაა და, ამასხადამე, მან უნდა ასახოს ხალხის ცხოვრება, ხალხი კი ჩვეულებრივი ადამიანებისავე შედგება და არა გმირებისაგან.

ერთი შეხედვით, ლიტერატურის დეგეროიზაციის მომხრეთა ეს შეხედულება უსაფუძვლო როდია, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით. საქმე ისაა, რომ ისინი ორ, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ, შეცდომას სჩადიან.

ჯერ ერთი, ისინი თვლიან, რომ გმირი უნიკალური პიროვნებაა, რომელიც თავისი განუმეორებლობის გამო არსებითად ხალხზე მაღლა დგას. თუ ამ შეხედულებას ლოგიკურად ვაკვავებთ, მაშინ უნდა განვაცხადოთ, რომ კორჩაგინი ერთადერთი იყო, რომ მისი მსგავსნი ცხოვრებამ არ იცის და რომ იგი ხალხის სისხლი სისხლთაგანი კი არ არის, არამედ მასზე მაღლა მდგომი, მასთან დაპირისპირებული. მაგრამ შეიძლება დავასახელოთ არაერთი მაგალითი, როცა საბჭოთა ადამიანებმა ზუსტად გაიმეორეს კორჩაგინის გმირობა. შორს რომ არ წავიდეთ, განა ქუთაისში არ ცხოვრობს სამოქალაქო ომის მონაწილე პოეტი ანდრია სინაური, რომელიც კრილობამ სამუდამოდ ლოგინზე მიაჯაჷვა, მაგრამ ლიტერატურ-

ული შრომით კვლავ დაუბრუნდა მწყობრს?.. და რომელი ერთი ჩამოვალთ? ანდრია სინაურის მაგალითიც ცხადყოფს, რომ კორჩაგინი არ არის უნიკალური პიროვნება. მაგრამ თუ კორჩაგინობას ზოგად ასპექტში განვიხილავთ, ე. ი. თუ აუცილებლად არ მივიჩნევთ მწყობრში დაბრუნების გზად ლიტერატურულ შრომას, მაშინ ვინ იცის ჩვენს ქვეყანაში რამდენი კორჩაგინი აღმოჩნდება! აი თუნდაც ჩვენი თანაქალაქელი ვაჟა აფხაზავა, ფინეთ-საბჭოთა კავშირის ომის მონაწილე. ექიმებმა მას ორივე ფეხი მოსკურტეს მუხლს ქვემოთ, აგრეთვე ყველა თითი ორივე ხელზე და აი უფეხო და უთითებო მებრძოლი კვლავ დაუბრუნდა კომუნიზმის მშენებელთა მწყობრს — იგი პედინსტიტუტის უფროსი მასწავლებელია და მალე დაიცავს დისერტაციას ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.

რა თქმა უნდა, კორჩაგინის პირადი ბედი განსაკუთრებული იყო — ყველა არ შეიძლება მოხვდეს მის მდგომარეობაში, მაგრამ თუ მოხვდება, თამამად შეუძლია გაიმეოროს ამ უკრაინელი ჭაბუკის გმირობა. ჩვენს ქვეყანაში არსებობს ამის ობიექტური შესაძლებლობა. რაც შეეხება სუბიექტურ ფაქტორს, კორჩაგინის მხატვრული სახის უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობაც ის არის, რომ იგი ახალგაზრდა ადამიანს ასწავლის, მაგალითს უჩვენებს — არ არის მდგომარეობა, რომლის დაძლევაც საბჭოთა ადამიანს არ შეეძლოს. თუ მოინდომებს, მას შეუძლია სასწაულები ჩაიდინოს და არავითარ შემთხვევაში არ წავიდეს კომუნიზმის მშენებელთა მწყობრიდან, ინდივიდუალური ბედის რა მოლაღატეობაც არ უნდა დაატყდეს თავს.

მაშასადამე, ახალგაზრდა საბჭოთა გმირი სრულიადაც არ არის უნიკალური და, რაც მთავარია, პრინციპულად განსხვავდება ბუტყუაზიული გმირისაგან — იგი მთავანებულია არა ინდივიდუალისტურ-ევგოისტური იდეებით, არამედ საერთო-სახალხო იდეებით და ხალხს კი არ უპა-

რისპირდება, ხალხზე მაღლა კი არ დგას, არამედ მის სამსახურში ხედავს თავისი ცხოვრების უმაღლეს მიზანს.


„დეგეროზაციის“ მომხრეთა მეორე შეცდომა, რომელიც ბუნებრივად გამოძინარეობს პირველიდან, ის არის, რომ ისინი უგულვებლყოფენ სრულიად უეჭველ ფაქტს — გმირობის მასობრიობას. ჩვენს ქვეყანაში გმირობა სრულიად არ არის ერთეულთა საქმე. მ. ი. კალინინის გამოთქმა რომ ვინხმართ, ყოველი საბჭოთა ადამიანი პოტენციური გმირია, აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებლობა (პოტენცია) იქცევა სინამდვილედ. ალექსანდრე მატროსოვის საგანგებო მდგომარეობა რომ არ შეხვედროდა, შეიძლება ომი ისე დაემთავრებინა დღეს ამ საქვეყნოდ ცნობილ ჭაბუკს, რომ არავითარი გმირობა არ ჩაედინა. მაგრამ ვითარებამ მოითხოვა და მატროსოვმაც თავი გაწირა, გმირი გახდა. სხვათა შორის, ოფიციალური სტატისტიკით, მატროსოვის გმირობა დიდი სამამულო ომის ფრონტებზე ორასზე მეტმა საბჭოთა მეთაურმა გაიმეორა და ვინ იცის, კიდევ რამდენი უსახელო მატროსოვი იყო! კიდევ ერთი ფაქტი. ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენში არც კი გაეგონათ გაგარინის, ტატოვის, ტერეშკოვასა და სხვათა სახელები, დღეს კი მათ მთელი მსოფლიო იცნობს. ზვალ ასევე პოპულარული გახდება დღევანდელი ჩვეულებრივი საბჭოთა ადამიანი, რომელიც კოსმოსში გასაფრენად ემზადდება, თუ სხვა საქმეშია ჩაბმული. ეს, ვფიქრობთ, იმდენად ნათელია, რომ არც კი ღირს მასზე საუბრის გაგრძელება.

ამრიგად, საბჭოთა ლიტერატურის ახალგაზრდა გმირი ცხოვრებისეული გმირია და იგი არც უნიკალურია და არც ხალხზე მაღლა მდგომი, იგი ჩვენი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანია, ჩვენსავით ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანი, მაგრამ ცხოვრების ან ინდივიდუალური ბედის გამო სხვებზე უფრო ცნობილი და სახელმძოვქელი. არც მეტი, არც ნაკლები. ამავე დროს აუცილებლობის შემთხვევაში ჩვენც შე-

გვიძლია გავიმეოროთ მათი გმირობა თვითონ ჩავიდინოთ სხვა, ახალი გმირობა, ვასახელოთ სოციალისტური სამშობლო.

მაგრამ როგორია ის „ჩვეულებრივი“, „რიგითი“, „საშუალო“ ადამიანი, რომელსაც ზოგიერთი ლიტერატორი გვთავაზობს კორჩაგინის, კოშევიკის, დავიდოვის, მექი ვაშუკიძის ან სხვათა სანაცვლოდ? ესენი არიან უსისხლბორცო, ფერმკრთალი, უნებისყოფო და ხშირად გზაბნეული ადამიანები, რომლებიც მოწყვეტილი არიან ჩვენი საზოგადოების მღვლეარე ცხოვრებას და თავის ვიწრო-პირადულ სამყაროში ჩაკეტილი იჩიჩნებიან საკუთარ თუ სხვის საოცრად ლაქაქ სულში. ზოგჯერ მათ რატომღაც ინტელექტუალურ პერსონაჟებს უწოდებენ, ალბათ, იმიტომ, რომ სულის ჩიჩქნისას ახსენებენ გერშვინს ან პიკასოს, ან კიდევ რომელიმე თანამედროვე კინოვარსკვლავს. ნამდვილად კი ისინი გონებრივი ინფატილიზმით სცოდავენ და მათ „აფორისტულ-ინტელექტუალურ“ მსჯელობას ხშირად მხოლოდ ღიმილი შეუძლია გამოიწვიოს ოდნავ განათლებულ ადამიანში. გადაჭარბებული როლი იქნება, თუ ვიტყვი, რომ ხონის ბაზრიდან დაბრუნებულ მექისთან დახუნდარას საუბარში გაცილებით მეტი ინტელექტი ჩანს, ვიდრე ზოგიერთი თანამედროვე „დეკორაციული“ ნაწარმოების პერსონაჟის სულის ანალიზში“.

ცოტა ვნება როლი მოაქვს ყალბ შეხედულებას, თითქოს ჩვენს საზოგადოებაში ყველა ადამიანი ერთნაირად აზროვნებდეს, ერთნაირად ეკიდებოდეს ცხოვრებას და არავითარი სოციალური სხვაობა არ არსებობდეს, ადამიანები ერთი მეორისაგან განირჩეოდნენ მხოლოდ და მხოლოდ პირადული, ბიოლოგიური თვისებებით. ამით აიხსნება მისწრაფება პერსონაჟი გააშუქონ „შიგნიდან“, კონკრეტული სოციალური გარემოსაგან მოწყვეტით. რატომღაც ივიწყებენ, რომ ყოველი ადამიანი ასე თუ ისე გარკვეული საზოგადოებრივი ცხო-



ვრების პროლეტარია და მის პირადულ განცდებს, მისწრაფებებს უპირველეს ყოვლისა განაპირობებს ობიექტური სინამდვილე, რომელშიც ცხოვრება უხდება. ამის გამო ბევრი ნაწარმოების პერსონაჟი კონკრეტულ სოციალურ გარემოში მოქმედი კონკრეტული პიროვნება კი არ არის, არამედ აბსტრაქტული, განყენებული ადამიანი: ამბავი, რომელიც საფუძვლად უდევს ნაწარმოებს, შეიძლება ყველა საზოგადოებაში მომხდარიყო, ადამიანებს, რომლებსაც ავტორი გვაცნობს, შეიძლება ყოველ საზოგადოებაში ეცხოვრათ. ერთი სიტყვით, მათში თითქმის არაფერია ტიპური **საბჭოური**, ისეთი, რაც **მხოლოდ** სოციალისტურ საზოგადოებას და მის წევრებს ახასიათებდა.

პერსონაჟის სულიერ სამყაროში ჩაკეტვას და საზოგადოებრივი ცხოვრებაგან გარიყვას შედეგად მოჰყვა შრომის ადამიანთა როლის შესუსტება ჩვენს ლიტერატურაში. იშვიათად ვხვდებით ნაწარმოებს, რომელთა ცენტრში იდგას მუშა ან კოლმეურნე ახალგაზრდა, ის ადამიანები, რომლებიც აქტიურად შრომობენ ფაბრიკა-ქარხნებში, მშენებლობებზე, საკოლმეურნეო მიწდერბაზე, სამეცნიერო თუ სხვა დაწესებულებებში და ქმნიან ქვეყნის მატერიალურ და სულიერ სიმდიდრეს, თავისი გვირუკი პატრიოტული შრომითა და საზოგადოებრივი საქმიანობით ახლოებენ კომუნისმის გამარჯვებას. ამავე დროს უსაფუძვლოდ გააფართოეს დადებითი გმირის ცნება და დადებით გმირად მიიჩნევენ ყველა ადამიანს, ვინც კი ცუდს არაფერს სჩადის, მაშინ როცა დადებითი გმირი შეიძლება იყოს მხოლოდ შემოქმედი, დამამკვიდრებელი ადამიანი, რომელიც თავისი ცხოვრების უმაღლეს მიზანს ხედავს საბჭოთა ხალხის, მთელი კაცობრიობის ბედნიერებისათვის ბრძოლაში, ე. ი. ღრმად **იდეური** პიროვნება. დიდი პროლეტარული მწერალი მაქსიმ გორკი საბჭოთა ლიტერატურის **ერთ-ერთი უმთავრეს** მონაპოვრად მუდამ თვლიდა იმას, რომ

მან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო შრომას და შრომის ადამიანებს, ჩვენს საზოგადოებაში. პიროვნების გილსაც და განვითარებასაც განსაზღვრავს შრომისადმი მისი დამოკიდებულება. ახალი ადამიანი გამოიჭედა და იჭედება შრომის პროცესში და, რაკი ცხოვრებაში წამყვანი ფიგურა მშრომელი, შემოქმედი, ახლის დამამკვიდრებელი ადამიანია, თავისთავად ცხადია, ლიტერატურაშიც ასე უნდა იყოს, რადგან ლიტერატურა სხვა არაფერია, თუ არა სინამდვილის ესთეტიკური შემეცნება. ამდენად შრომის ადამიანთა შეცვლას ლიტერატურაში უსახო და უსისხლოცო „ჩვეულებრივი“ ადამიანით არავითარი გამართლება არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს.

რასაკვირველია, გადაჭარბებული იქნებოდა გვეთქვა, თითქოს ასეთი უსახო და უფერხორცო „ჩვეულებრივი“ ადამიანის ასახვა სავსებით უსარგებლო იყოს ან მთლიანად მოკლებული აღზრდლობით მნიშვნელობას, თუ კი მწერალი გმობს მას, კიცხავს და მოუწოდებს აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრებისაკენ. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ხშირად მას წარმოგიდგენენ როგორც ფაქტს, ან როგორც ნორმას და ამით უსარგებლოდ ხდიან მსგავს პერსონაჟთა შემოყვანას ლიტერატურაში. ამავე დროს, როგორც დავინახეთ, იგი ცუდი იმით არის, რომ მწერალს საშუალებას უსაბოძებს ასახოს ჩვენი საზოგადოების სიღრმისეული მოვლენები, საბჭოური ცხოვრების სპეციფიკა, მისი ტიპური ნიშნები, სიდიადე და შთაშავებელი ძალა, გეიჩვენოს შრომის ვადამწყვეტი როლი როგორც საერთოდ საზოგადოების ცხოვრებაში, ისე ადამიანის ხასიათის ჩამოყალიბებასა თუ გარდაქმნაში.

ყველა ამ მიზეზის გამო, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენმა მკითხველმა გადაჭრით უარყო ამგვარი „ნოვატორობა“ და ვერაფერი საინტერესო, მიუხედავად იმისა, რომ ვერაფერი საინტერესო, მიუხედავად იმისა, რომ უფრო მიმზღველი ვერ დაიხანხა უფრო და უსახო „ჩვეულებრივი“ ადამი-

ანებში. მას უნდა ლიტერატურაში ხე-
დავდეს არა ჩვენს დიად ცხოვრებას
მოწყვეტილ და უარესად ვიწრო-პი-
რადული მისწრაფებებით გამსჭვალულ
საბრალო კაცუნებს, არამედ თავის სა-
ხელოვან თანამედროვეს, იმ ნამდვილ,
უწინწყლებო ჩვეულებრივ ადამიანებს,
რომელთა მთელი ცხოვრება გაციხრო-
ვნებულთა დიადი, ამაღლებული იდეა-
ლებით, მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლის-
მძლე იდეებით. მსჯელობამ, რომელიც
ნიკოლოზ ოსტროვსკის იუბილეს დღე-
ებში დაიწყო, ცხადყო, რომ ჩვენს მკი-
თხველს კი არ მოსწყინდა ასეთი გმი-
რები, პირიქით, მოენატრა ისინი. ლიტერ-
ატურა იმით არის ძვირფასი, რომ იგი
წინ უნდა ეწეოდეს ადამიანს, შთააგო-
ნებდეს და აღაფრთოვანებდეს, იყოს
საინტერესო და ამაღლებელი, ხოლო
ამ ბოლო დროს მოდად ქცეულ უსახო
„ჩვეულებრივი“ ადამიანის ცხოვრებას
რომ ვეცნობით, იგი არ გვიტაცებს, არ
გვაღელვებს, არ მოგვიწოდებს დიადი
საქმეებისაკენ.

საბჭოთა მკითხველს რომ სწორედ
მებრძოლი გმირი იზიდავს, ამას ნათ-
ლად მოწმობს აჭარაში მომუშავე მწერ-
ლების უკანასკნელი თხზულებანი — კ.
რუსისის „ჰიდლი მთაში“, ფრ. ხალვა-
შის „საყვედური“ და ალ. ჩხაიძის „რო-
ცა მთავრდება ბავშვობა“. თუმცა არც-
ერთი ეს ნაწარმოები არ არის სრუ-
ლყოფილი, მათ მიანიც ხვდათ გარკვეუ-
ლი წარმატება, რაც, ჩვენი აზრით, უპი-
რველესად განაპირობა იმ ფაქტმა, რომ
ავტორებმა შექმნეს ნამდვილად ჩვეუ-
ლებრივი საბჭოთა ახალგაზრდების — მე-
რაბ ზენაიშვილის, მერაბ ხაბაზისა და

თინა გელოვანის მხატვრული სხვადასხვა
ადამიანებისა, რომლებიც დიდ
ბით, ამაღლებული იდეალებით ცხოვ-
რობენ და არაფრთა დაბრკოლებას არ
გაუბრბინ, უშიშრად ძლევენ მათ და
იმარჯვებენ. სამწუხაროდ, სამივე ამ მხა-
ტვრულ სახეს აკლია სრულყოფა, გან-
ზოგადების ძალა, იდეური სიღრმე, მა-
გრამ ამის მიუხედავად, ისინი გარკვე-
ულ ინტერესს აღძრავენ და იზიდავენ
მკითხველს. კომუნისმის მშენებელთა
სრულყოფილი მხატვრული სახეები
რომ შევქმნათ, ამისათვის აუცილებე-
ლია შემდგომ განვამტკიცოთ კავშირი
ხალხის ცხოვრებასთან, უფრო აქტიუ-
რად შევიჭრათ ცხოვრებაში, მის სიღრ-
მეში და სრული სიმართლით, ყოველ-
მხრივ და ღრმად ავსახოთ სინამდვი-
ლის მოვლენები, ნაწარმოებთა ცენტრ-
ში დავაყენოთ ადამიანები, რომლებიც
გავვიტაცებენ, აღგვაფრთოვანებენ, სურ-
ვილს აღვვიძრავენ მივბაძოთ მათ.

მსჯელობა ლიტერატურის ახალგაზრ-
და გმირის შესახებ — ეს არის მსჯე-
ლობა დადებითი გმირების, ნამდვილი
ჩვეულებრივი ადამიანების მხატვრული
სახეების შესახებ. მკითხველს სურს ლი-
ტერატურაში იხილოს ცხოვრების გმი-
რები — ჩვენი დროის მოწინავე ადამი-
ანები, კომუნისმის აქტიური მშენებლები
მფელი მათი უმდიდრესი და ულამაზე-
სი სულიერი სამყაროთი, იხილოს გმი-
რი, რომელიც ისევე გავვიტაცებს, რო-
გორც კორჩაგინი, როგორც გრომოვა
და კომევი, როგორც საბჭოთა ლიტერ-
ატურის ბევრი სხვა ახალგაზრდა გმი-
რი.



კავლე ხელოვნება

თეოფილე ხუსკივაძე

თეოფილე ხუსკივაძე ჩვენი ლიტერატურის ისტორიიდან უსამართლოდ „გამორჩენილი და დავიწყებული“ მწერალია. იგი იყო ცნობილი ბელეტრისტი და საზოგადო მოღვაწე, ნიჭიერი პუბლიცისტი და ლიტერატურულ-თეატრალური კრიტიკოსი. მას უსაზღვროდ უყვარდა სამშობლო და თავისი ცოდნა, მხატვრული ნიჭი და ენერჯია მთლიანად მოახმარა მას. მით უფრო დასანანია, რომ თ. ხუსკივაძის მრავალფეროვანი და სასარგებლო მოღვაწეობის შესახებ არათუ ცალკე გამოკვლევა, მიმოხილვითი წერილიც კი არ გამოქვეყნებულა, არც მისი თხზულებები გამოცემულა და თანამედროვე მკითხველი თითქმის სრულებით არ იცნობს ამ უთუოდ საინტერესო შემოქმედს.

ლიტერატურულ-საზოგადოებრივ ასპარეზზე თ. ხუსკივაძე გამოვიდა ამ ოთხმოცი წლის წინათ და მის შემდეგ სიკვდილამდე (იგი დაიბადა 1860 წელს, გარდაიცვალა 1924 წელს) ხელიდან კალამი არ გაუვლია. მართალია, მას არ წამოუყენებია რაიმე რადიკალური შეხედულებანი ან ვრცელი სამოქმედო პროგრამა, მაგრამ შეძლო მართალი და დამაჯერებელი სიტყვა ეთქვა ყველა საკითხზე, რაც კი აღელვებდა მის ეპოქას.

ოჯახური და მატერიალური პირობები თ. ხუსკივაძეს აიძულებდა ემსახურა, მაგრამ იგი როდი იყო გონებაშეზღუდული

ჩინონიკი ან ობსკურანტი. პირიქით, ყველ ნაბიჯზე არღვევდა მეფის მთავრობის მიერ დადგენილ წესებს და ამის გამო ბევრჯერაც დატუქსეს და შეურაცხყვეს. მიუხედავად ამისა, თ. ხუსკივაძე თავისას არ იშლიდა, ღარიბ მოსწავლეებს უფასოდ აძლევდა წიგნებსა და რეკულებს, ურჩევდა მათ არ შეეწყვიტათ სწავლა, გამუდმებით ტრიალებდა ხალხში და იყო ღარიბთა შემწე, მრჩეველი და გზის მაჩვენებელი.

როგორც მწერალი და თავისი დროის პროგრესული მოღვაწე, თ. ხუსკივაძე დაუცხრომლად იბრძოდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, დაუხალოვდა რევოლუციურ წრეებს და მოიპოვა მათი სრული ნდობა. იგი აქტიურად მონაწილეობდა 1905 წლის რევოლუციაში და მისი დამარცხების შემდეგ კიდევ უფრო ენერჯიულად და ნაყოფიერად განაგრძობდა თანამშრომლობას ქართულ პერიოდულ პრესაში, აყენებდა მწვავე სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებს, აქვეყნებდა მოთხრობებს, ეტიუდებს, ესეიზებს და ა. შ.

თ. ხუსკივაძე რეალისტი მწერალი იყო და მიზნად ისახავდა აესახა ხალხის ბეჩავი მდგომარეობა, ის საშინელი სოციალური და ეროვნული ჩაგვრა, რასაც მშრომელები განიცდიდნენ თვითმპყრობელობის დროს. როგორც მოაზროვნე, იგი იყო ილია-აკაკის ეროვნულ-განმათავ-

ვისუფლებელი იდეების მიმდევარი და მთელი სიცოცხლის მანძილზე პატიოსნად ემსახურებოდა მშობლიურ ხალხს.

ერთ დროს ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის თხზულებებზე, როგორც ვთქვით, დღეს ხელი არ მიუწვდება მკითხველს. არათუ ოჯახებში, ბიბლიოთეკებშიც კი იშვიათად აქვთ მისი წიგნები. ამავე დროს თ. ხუსკივაძის კალამს ეკუთვნის ბევრი მხატვრული ნაწარმოები, რუს და ევროპელ მწერალთა ცალკეულ თხზულებათა თარგმანები, საისტორიო ნარკვევები, პედაგოგიკური წერილები, ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიები, თეატრალური რეცენზიები და მოგონებანი, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები. იგი არის ცამეტი ორიგინალური და სამი თარგმნილი წიგნის ავტორი, მათგან სამი წიგნი „ბატონიშვილი ეპატორინე“ (1895 წ.), „ყაჩაღი“ (1896 წ.), „რამდენიმე მოთხრობა“ (1898 წ.) გამოსცა ბათუმში. დანარჩენი კი ქუთაისში, ზესტაფონში, ახალ-სენაკში, თბილისში.

თ. ხუსკივაძის პედაგოგები, აღმზრდელები, ნაცნობები გადმოგვცემენ, რომ იგი იყო ძლიერ მორცხვი, მოკრპალებული, უმცროსთანაც კი მორიდებული, ზნეობრივად სპეტაკი, კეთილი და ხათრიანი ადამიანი. მას არ უყვარდა თავის გამოჩენა და ტრაბახი. ამავე დროს თ. ხუსკივაძე ყოფილა მეტად შრომისმოყვარე და მუყაითი, ფრიად მხიარული და ენერგიული პიროვნება. სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი, იგი მუდამ ეძიებდა ახალს, მხარს უჭერდა ყოველივე პროგრესულს და, თამამად შეიძლება ითქვას, რომ 90-900-იან წლებში ქართველი ხალხის ცხოვრებაში არ ყოფილა არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი საზოგადო მოვლენა, რომელშიც ასე თუ ისე მონაწილეობა არ მიეღოს თ. ხუსკივაძეს.

ამ საუკეთესო პირადულ თვისებათა გამოც იყო, რომ თ. ხუსკივაძე განსაკუთრებული პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა წრეში. იგი იყო პირადი მე-

გობარი ვეა-ფშაველასი, რომელთანაც ერთად სწავლობდა გორში. გარდა ამისა, მისი ოჯახის სტუმრები იყვნენ დ. კლდიაშვილი, დ. თომაშვილი, პ. ცახელი, თეოფილეს ვაჟის შალვას მეგობრები — გალაკტიონ ტაბიძე, პაოლო იაშვილი, კოლაუ ნადირაძე და სხვები. მას ჩვეულებად ჰქონდა ახალი ნაწარმოები წაეკითხა შეილებისა და მეგობრებისათვის და ამით შემოწმებინა მისი ავ-კარგიანობა. ჩვეულებრივ საუბარში იგი ძლიერ ენამახვილო ყოფილა.

თეოფილეს ხუსკივაძის პროზა ყურადღებას იმყრობს თემატიკური აქტუალობით, რეალისტური ხედვით, ცხოვრებისა და ადამიანების ღრმა, საფუძვლიანი ცოდნით. მწერალს უნარი შესწევდა ჩასწვლამოდა ცხოვრებისეულ მოვლენებს, ამოკრიბა ტიპური ხასიათები, მხატვრულად განეჭვრიტა სოციალური ვითარება. თ. ხუსკივაძე ეკუთვნოდა ხელოვანთა იმ ჯგუფს, რომელთა შემოქმედება და პირადი ცხოვრება ორგანულადაა დაკავშირებული ერთმანეთთან, რომლებიც ნაწარმოებში ავლინებენ პრაქტიკული საქმიანობისა და ცხოვრების ცალკეულ მომენტებს.

თავის შემოქმედებაში თ. ხუსკივაძემ, ერთი მხრივ, ასახა თანადროულობა სოციალური ვითარების აქტუალობით, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს წარსული ეროვნულ-პატრიოტული მომენტის ხაზგასმით. ორივე შემთხვევაში მწერალი ცდილობდა მოვლენები დაეხატა რეალისტურად, არ ეღალატა არც ცხოვრებისეული და არც ისტორიული სიმართლისათვის.

მოთხრობებში „მწარე ხედრი“ და „სანდრო“ თ. ხუსკივაძე შეეცადა ეჩვენებინა მასწავლებლის უნუგეშო მღლომარეობა რევოლუციამდელ საქართველოში. ამავე დროს იგი ხაზს უსვამდა, რომ პედაგოგთა საქმიანობას უდიდესი სარგებლობა მოჰქონდა ერისათვის. აქ ერთგვარად იგრობდა ქართველ ხალხისად მწერალთა იდეური ზეგავლენა. მწერლის აზრით, სწავლა-განათლება არის ის ძალა, რომელმაც სოფელი უნდა იხსნას გაქირ-

გებისაგან, ადვილობრივი ადმინისტრაციის თვითნებობისაგან. შემთხვევითი როდი იყო, რომ „მწარე ხედარში“ დადებითი გმირია მასწავლებელი მათე, რომელმაც სიცოცხლე შესწირა მშრომელთა კეთილდღეობისათვის ბრძოლას. თემატიკურად ახლოს დგას ამ ნაწარმოებებთან მოთხრობა „მომავალი ექიმი“.

განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა თ. ხუსკივაძის სათავადასაველო მოთხრობა „ყაჩაღი“, რომელიც ხელიდან ხელში გადადიოდა და ზეპირგადმოცემითაც ვრცელდებოდა. მას აქვს შედარებით რთული და, რაც მთავარია, საინტერესო სიუჟეტი. ამ ნაწარმოებში მწერალი ნიღაბს გლეხს მაშინდელ სინამდვილეს, მაშინდელ წეს-წყობილებას, რომელიც აიძულებდა მშრომელ ადამიანებს დაეტოვებინათ ოჯახი, საყვარელი ქალი და ტყეში გაჭირვარებულნი ყაჩაღად. შემთხვევით როდი ათქმევინა ბელეტრისტმა მოთხრობის მთავარ გმირს ილიკოს: „ღმერთო, ჰკითხე მათ, ვინც იყო მიზეზი ჩემი გაავსახეებისა“.

თ. ხუსკივაძის სხვა პროზაული თხზულებებიდან ყურადღებას იქცევენ აგრეთვე „პატარა დიკონი“, „საშინელი ვალო“ (აფხაზური ლექსება), „მეც დედა ვარ“, „სასაფლაოზე“, „ეგ არის შენი სიყვარული?“, „მამ დამშვიდიდი, რალას შფოთავ“ და სხვ.

ყველა ამ ნაწარმოებში მწერალი ხატავს ქართველი ხალხის ყოფაცხოვრების რეალისტურ სურათებს. აღსანიშნავია, რომ თ. ხუსკივაძეს არ იზიდავდა ფართო სოციალური ტილოები და რთული, ზოგადკაცობრიული პრობლემები. იგი უმთავრესად წერდა ნოველებს, ეტიუდებსა და ესკიზებს, რომლებშიც მზის სინათლეზე გამოჰქონდა მშრომელთა ტრაგიკული ცხოვრების პატარა, მაგრამ საყურადღებო და დამაფიქრებელი მოვლენები. მწერალის ცდილობდა ყოველდღიურ, თითქოს სავსებით ჩვეულებრივ და ერთი შეხედვით პატარა ამბებში დაენახა არსებული სისტემის უნიადაგობა, დაენერგა მკითხველის შეგნებაში მისი მოსპობის

აუცილებლობა. ზოგჯერ ბელეტრისტი არ ერიდებოდა არც შიშველ დეკლარაციულობას და ამა თუ იმ გმირის წამომახილში გადმოგვცემდა პირადად თავის შეხედულებასა და სულისკვეთებას.

თ. ხუსკივაძეს ინტერესებდა მორალის ცალკეული, უმთავრესად პრაქტიკულ-საჭირბოროტო საკითხები და მკითხველებში აღვივებდა მისწრაფებას კეთილისკენ. იგი ქადაგებდა პირმართალი და უმწიკვლო პატიოსნების იდეალს, სურდა რა გავლენა მოეხდინა კულტურულად ჩამორჩენილ და ზნეობრივად დაქვეითებულ საზოგადოებაზე. ამიტომ მისი ბევრი ნაწარმოები დიდაქტიურ-აღმზრდელი ბუნებისაა.

ამ ხასიათის მოთხრობებში გამოირჩევა „ჩვენებური მნახველები“ (1916 წ.), რომელსაც ავტორმა სურათი უწოდა. მასში იგი კიცხავს ერთ-ერთ ჩვეულებას, რომელსაც მწერლის აზრით, ზიანის მეტე არაფერი მოაქვს, ხელს უშლის ავადმყოფის გაჯანსაღებას. „ავადმყოფს რაც მეთემნახველები ჰყავს, მით უკეთესია, გაერთობა, ისიამოვნებს“, ეუბნება სოფიო თავის მეგობრებს და ყველანი მიდიან ქეთოს სანახავად. იგი არ არის უარყოფითი პიროვნება, პირიქით, კეთილია, სურს ასიამოვნოს ავადმყოფს, მაგრამ აპარბებს და მის „მზრუნველობას“ საწინააღმდეგო შედეგი მოაქვს. ექიმი იძულებულია იცარუოს, თითქოს ქეთოს შვიი ჰირი ჰქონდეს, რომ ამ გზით ჩამოაშოროს მას აბეზარი მნახველები. საგულისხმოა, რომ „ჩვენებური მნახველების“ ყველა პერსონაჟი დადებითია, უარყოფითი და დასაგმობია თვით ჩვეულება. დაწერილია იგი ძლიერ ორიგინალურად, თითქმის მხოლოდ დიალოგებით, ძლიერ ცოტა აღწერებით, დახასიათებანი, რემარკებით, არ არის არც კომენტარები.

როგორც ვთქვით, თ. ხუსკივაძეს აქვს ისტორიული ნაწარმოებებიც. მათი მთავარი მოტივია ხალხის უანგარო სიყვარული სამშობლოსადმი. ამავე დროს მწერალი ამხილებს მეფეთა თუ დიდებულ-მთავართა ინტრიგებს, პირადი აღზევების

საქენ სწრაფვას ერის ინტერესების საზი-
ანოდ. ყველა ეს ნაწარმოები ღრმად ტენ-
დენციურია. მწერალი, მართალია, არ და-
ლატობს თვით ისტორიულ ფაქტს, მაგ-
რამ ცალკეულ ეპიზოდებსა და პერსონა-
ჟებს რომანტიკულ სამოსელში ხვევს, აი-
დეალებს, მაშინ როცა სხვა ეპიზოდებსა
თუ პერსონაჟებს ამცირებს საკუთარი
იდეური ტენდენციის შესაბამისად.

თ. ხუსკივაძის ყველა ისტორიულ ამ-
ბავსა თუ მოთხრობაში ჩანს, რომ ავტო-
რი შესანიშნავად იცნობდა საქართველოს
წარსულს, ხალხის ყოფაცხოვრებას. მათ-
გან გამოირჩევა „ეკატერინე ბატონიშვი-
ლი“. ეს არის პატარა მოთხრობა, რომე-
ლშიც აღწერილია გურიის მთავარ მამია
გურიელის ოჯახის ტრაგიკული ბედი. მწე-
რალი ხაზს უსვამს, რომ გურიელი ბატ-
რიოტი იყო და სწორად მოიქცა, როცა
თავისი სამთავრო რუსეთს შეუერთა, მაგ-
რამ მისი გარდაცვალების შემდეგ თურ-
ქული ორიენტაციის მიმდევარმა მაჭუტა-
ძემ საქმე შეატრიალა და სწორედ ამ
მცდარმა ნაბიჯმა განსაზღვრა გურიელის
ოჯახის საშინელი ტრაგედია. ტრაგეზმი-
თაა აღსავე აგრეთვე თ. ხუსკივაძის
„ლევან ბატონიშვილი“, რომელსაც მძა-
ფრი სიუჟეტი აქვს და დიდად იზიდავს
მკითხველს. სხვა ისტორიული ნაწარმოე-
ბებიდან აღსანიშნავია მოთხრობა „კონს-
ტანტინე ბატონიშვილი“, რომელშიც ერ-
თმანეთს უპირისპირდებიან იმერთა მეფე
სოლომონი, რუსეთის ორიენტაციის მო-
წინააღმდეგე სოლომონ ლეონიძე და რუ-
სეთის წარმომადგენელი სოკოლოვი, აგ-
რეთვე ნარკვევები „იმერთის მეფე სო-
ლომონ მეორე“, „ახვანუთის მთავარი
ქელიშ-ბეი შარვაშიძე“, ისტორიული
დრამა „მეფის მოლატე“ და სხვ.

ყველა ამ ნაწარმოებში ჩანს „თერგდა-
ლეულთა“ მიმდევარი, რომელიც ისტო-
რიას იყენებს თანამედროვეობის საჭირ-
ბოროტო საკითხების გადასაჭრელად, ხა-
ლხის აღზრდისათვის პატრიოტული სუ-
ლისკვეთებით. ამით განისაზღვრებოდა
მათი შემეცნებით-აღმზრდელობითი შინა-
არსი და მნიშვნელობა.

თ. ხუსკივაძის პროზა, რა თქმა უნდა, არ
იყო უნაკლო. მისი ზოგიერთი მოთხრობა
არ შეიცავს მძაფრკონფლიქტს, არა აქვს
დამაინტერესებელი სიუჟეტი — „ეს მო-
ტორი მხატვრული ნაწარმოებია“, მის.
ჯავახიშვილის გამოთქმა რომ მოვიშვე-
ლიოთ. მაგრამ მწერალს უთუოდ ჰქონდა
მხატვრული ნიჭი და, თუ ფურორი ვერ
მოახდინა, ეს აიხსნება, ერთი მხრივ, სამ-
სახურებრივი დატვირთვით, მოუცლე-
ლობით, ხოლო მეორე მხრივ, არც ის უნ-
და დავივიწყოთ, რომ მის დროს ჯერ კი-
დეე აქტიურ ძალად ითვლებოდნენ ქარ-
თული პროზის დიდოსტატები ილია და
აკაკი, დიდი პოპულარობით სარგებლობ-
დნენ ვაჟა-ფშაველა, ეგნატე ნინოშვილი,
დავით კლდიაშვილი, შიო არაგვისპირე-
ლი.

თავისი წვლილი შეიტანა თ. ხუსკივა-
ძემ ქართული საბავშვო ლიტერატურის
განვითარებაშიც. იგი იყო ჟურნალ „ჭე-
ჯილის“ ახლო თანამშრომელი და რეცენ-
ზენტი. მან ვრცლად მიმოიხილა ამ ჟურნა-
ლის პირველი ნომერი და მასში გამოქვე-
ყნებული ნაწარმოებები შეაფასა რევო-
ლუციურ-დემოკრატიული იდეოლოგიის
ძირითადი პრინციპების შუქზე. განსაკუ-
თრებით დიდი ადგილი დაუთმო თ. ხუს-
კივაძემ ვაჟა-ფშაველას საბავშვო ნაწარ-
მოებებს და ფრიალ მალალი შეფასება მი-
სცა მათ. „ვაჟა-ფშაველას პროზა, — წე-
რდა იგი, — სწორედ, რომ ღვთიურის
ნიჭით მომადლებული კალმის ნაწარმოე-
ბია... მისი პროზა თითქმის „ხელის-ხელ-
სავაგმანებელი მარგალიტა“, არამცთუ
მარტო „ჭეჯილიში“, არამედ მთელს ჩვენს
დარბაზ ლიტერატურაშიც... ამ ახალგაზრ-
და მწერლისაგან ძალიან ბევრს უნდა მო-
ელოდეს ჩვენი ბელეტრისტიკა... ვაჟა-
ფშაველას ამგვარი მოთხრობებით, ასეთის
წმინდა ქართულითა და სიმართლით და-
წერილებით, „ჭეჯილი“ დიდ ბიჯს წაად-
გამს წინ. ყმაწვილები ისე შეიყვარებენ
ამ ჟურნალს, რომ ძალითაც ვეღარ წაარ-
თმევთ ხელიდან“ („ივერია“, 1890,
№ 24).

ასევე დიდი გულისყურით გაარჩია თ.

ხუსკივამ იაკობ გოგებაშვილის ცნობილი მოთხრობა „იანანამ რა ჰქმნა?“

ცალკე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მან თარგმნა თუ გადმოაკეთა ამი ბალმის შვედური ზღაპარი „მათიკო და გიშერა“ და ფრანგი მწერლის ჰ. მალოს „უსახლკარონი“, რითაც დიდი სამსახური გაუწია ქართულ საბავშვო ლიტერატურას.

ზღაპარი „მათიკო და გიშერა“ მწვავე სოციალურ კონტრასტზე აგებული და გვიჩვენებს ხალხის ძალას, ბოროტზე კეთილის გამარჯვებას. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ მივაგენით ამ ნაწარმოების დედანს, ვერ ვიპოვეთ ვერც რუსული თარგმანი და ამიტომ ვერ შევადარეთ ხუსკივამის ტექსტს. ერთი რამ კი ცხადია: მწერალს ნაწარმოებისათვის მიუცია სავსებით ქართული კოლორიტი, პერსონაჟებისათვის დაურქმევია ჩვენებური სახელები (მათიკო, გიშერა). ამის გამო იგი ქართულად დაწერილი მოთხრობის შთაბეჭდილებას ტოვებს. შეიძლება ამითაც აიხსნებოდა, რომ ზღაპარს არაჩვეულებრივი წარმატება ჰქონდა, მისი კითხვისას ბავშვები ტიროდნენ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თ. ზუსკივამ მარტო ბავშვებისათვის არ თარგმნა. მან ქართველ მკითხველს მიაწოდა ლევ ტოლსტოის „ცოცხალ-მკვდარი“, ვ. სოლოვიოვის „ოქროს გული“ და სხვ. იგი ლიტერატურულ თარგმანს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა და „ნამდვილ ხელოვნებად“ სთვლიდა მას. თარგმნისას იგი უხვად იყენებდა ქართულ ხალხურ გამოთქმებს, მსუბუქ სასაუბრო ენას, ძებნიდა და ზმირად აგნებდა სათარგმნი ტექსტის ქართულ შესატყვისებს, რითაც ხელი შეუწყო ორიგინალური ქართული პროზის განვითარებასაც.

თ. ხუსკივამ ავტორია აგრეთვე მეტად საინტერესო მოგონებებისა. 1916 წ. გაზეთ „სამშობლოში“ მან გამოაქვეყნა რამდენიმე ფელეტონი, რომლებშიც მკითხველს დაუხატა ეგნატე ნინოშვილის, როგორც მწერლისა და აღამიანის, მიმზიდველი სახე. უფრო ადრე, 1915 წელს, ამავე გაზეთში თ. ხუსკივამ დაბეჭდა მო-

გონებანი თავის სკოლის ამხანაგზე ვაჟა-ფშაველასზე. ეს მოგონებანი დაწერილია დიდი სიყვარულით და ბევრ საინტერესო ამბავს გვაცნობს. მანვე მოგვცა ცალკეულ სახალხო მოღვაწეთა პორტრეტები. ასე, მაგალითად, 1905 წელს გამოვიდა მისი წიგნი, რომელიც ისტორიკოს-დავით ნიკოლოზისძე ბაქრაძეს მიუძღვნა. ეს ის პიროვნებაა, რომლის თაოსნობითა და უშუალო მონაწილეობით სიონის ტაძართან დაარსდა ძველი საეკლესიო ხელნაწერებისა და ნივთების მუზეუმი და რომელმაც დაწერა წიგნი „კავასია ქრისტიანობის ძველ ძეგლებში“. გვერდს ვერ ავუვლით თ. ხუსკივამის ვერც იმ ნარკვევებს, რომლებშიც მან დაახასიათა ანდრია მრევლიშვილისა და რაჟდენ ჩიკვაძის — ალისუბნელის ღვაწლი.

დასასრულ, ორიოდ სიტყვა თ. ხუსკივამის ლიტერატურულ-კრიტიკულ და თეატრალურ სტატიებზეც უნდა ითქვას.

იყო რა ფრიალ განათლებული პიროვნება, თ. ხუსკივამე მშვენივრად ერკვეოდა როგორც ქართული ლიტერატურის ისტორიის, ისე თანადროული ლიტერატურის საკითხებში და ბევრი საინტერესო აზრიც გამოთქვა. გარდა იმ კრიტიკული წერილებისა, რომლებიც ზემოთ მოვიხსენიეთ, თ. ხუსკივამის ეკუთვნის გ. წერეთლის „პირველი ნაბიჯის“ ვრცელი კრიტიკული განხილვა (ცალკე წიგნად გამოვიდა ქუთაისში 1891 წელს), რამდენიმე ბიბლიოგრაფიული შენიშვნა და თეატრალური რეცენზია. 1905 წელს მან საკმაოდ მოზრდილი წერილი გამოაქვეყნა გაზეთ „ივერიაში“. მასში მწერალმა დაახასიათა ლადო მესხიშვილის თეატრალური მოღვაწეობა ქუთაისის სცენაზე, ამავე დროს ეს მოღვაწეობა მჭიდროდ დაუკავშირა 1905 წლის ამბებს. ქართული თეატრის ისტორიკოსი გვერდს ვერ აუვლის თ. ხუსკივამის ფელეტონებს „ქუთაისის ქართული თეატრის წარსულიდან“ („იმერეთი“, 1914, № 27, 28, 29), რადგან მასში ავტორი აქვეყნებს ისეთ მასალებს, რომლებსაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვთ არა მარტო ქუთაისის, არამედ

საერთოდ ქართული თეატრის ისტორიის
ღრმა მეცნიერული შესწავლისათვის.

აი ასეთი მდიდარი და მრავალფერო-
ვანი შემოქმედებითი მემკვიდრეობა და-
გვიტოვა თ. ხუსკივაძემ, ჩვენი კულტუ-
რის უანგარო მოღვაწემ. თავის დროზე
მას ძლიერ კარგად იცნობდა ქართველი
მკითხველი და სათანადოდ აფასებდა კი-
დეც მის ღვაწლს. აი ამიტომ ახალი ქარ-
თული ლიტერატურის ისტორიამ არ უნ-
და დაივიწყოს თ. ხუსკივაძე. რა თქმა
უნდა, იგი არ ყოფილა ისეთი დიაპაზო-
ნის მწერალი, როგორც ილია, აკაკი, ვა-
ჟა, მაგრამ არ უნდა დაგვივიწყოთ თვით
დიდი ილიას სიტყვები, რომ მხატვრულ

ნიჭს ბუნება ხელგაშლით არ იძლეოდა
„ერთნაირის უხეობით არ არის ყველა ამ
მადლით მიმადლებული. ამაშიაც არის
დიდი-პატარაობა, მაგრამ დიდი თუ პატა-
რა, რაკი ცოტად თუ ბევრად ამ მადლის
მექონია, იგი რჩეულია მრავალთა შორის
და ეს რჩეულობა არის სამართლიანი მი-
ზეზი და საბუთი, რომლის ძალითაც ერს
შეუძლიან თავმოწონებით სთქვას: ეს
კაცი ჩვენგანიაო“ (თხზ., ტ. III, 1953
წ., გვ. 158-159).

თეოფილე ხუსკივაძეც „ერთი ჩვენგა-
ნი“ იყო და მრავალი წლის მანძილზე
სრული შესაძლებლობით, უანგაროდ და
ნამუსიანად ემსახურა მშობლიურ ხალხს.



ვლისო აბრამიშვილი

ნიკოლოზ ლოლობერიძის ნაჩიღები

გასული საუკუნის გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, მესტამბე და გამომცემელი ნიკოლოზ ლოლობერიძე დაიბადა 1839 წელს ქუთაისში, იმ დროისათვის საკმაოდ განათლებულ ბესარიონ ლოლობერიძის ოჯახში. პირველდაწყებითი ცოდნა ნიკოლოზმა მიიღო შინ, დედის — ეკატერინე აბაშიძის ხელმძღვანელობით. ცხრა წლის ნიკოლოზი მიიბარეს ქუთაისის სასწავლებელში, შემდეგ იგი სწავლობდა თბილისის გიმნაზიაში, რომელიც 1857 წელს დაამთავრა. თბილისში ნ. ლოლობერიძე ერთხანს ცხოვრობდა დაუს პანსიონში. აქ მისი აღმზრდელი იყო პოლონეთიდან გადმოსახლებული ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ისტორიკოსი ლ. ზაგურსკი, რომელმაც თავისი პროგრესულ-რევოლუციური იდეებით გარკვეული ზეგავლენა მოახდინა ახალგაზრდა ნ. ლოლობერიძის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ნ. ლოლობერიძე პეტერბურგში გაემგზავრა. აქ იგი სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. სტუდენტობის დროს ნ. ლოლობერიძე დაუმეგობრდა ილია ჭავჭავაძეს, ბესარიონ ლოლობერიძეს, დავით ყიფიანს, ნიკოლოზ ჯაბადარსა და სხვა ქართველ სტუდენტებს. ამ ხანებშივე დაუახლოვდა იგი ცნობილ რუს კრიტიკო-

სებს ჩერნიშევსკის, დობროლუბოვსა და ბანტელეევს.

ნ. ლოლობერიძე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა თავის ტოლ-აზიანაგებში. ცნობილია, რომ საქართველოში ილია ჭავჭავაძის გამომგზავრების შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართველ სტუდენტებს ნ. ლოლობერიძე მეთაურობდა. იგი ხელმძღვანელობდა აგრეთვე თავის თანამემამულეებს 1861 წლის პეტერბურგის სტუდენტთა არეულობის დროს.

ნ. ლოლობერიძე განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა პეტერბურგში ახლად ჩასული ქართველი ახალგაზრდებისადმი. მისი დაკრძალვისას წარმოთქმულ სიტყვაში აკაკი წერეთელი საგანგებოდ აღნიშნავდა: „მესამოცე წლებში, ჩვენი სტუდენტობის დროს, ეს იყო ძველი სტუდენტთაგანი, კურსს ათავებდა და ჩვენ, ახალჩასულებს, მამობრივის მზრუნველობით გვეგებებოდა, თვალყური ეჭირა გამოუცდელელებზე და მგისი გავლენა დიდი იყო, მით უფრო, რომ განსვენებული ზნეობითი მხრით უბიწო, ბროლივით წმინდა იყო!“

უნივერსიტეტის კურსი ნ. ლოლობერიძემ წარჩინებით დაამთავრა. პროფესორებმა შესთავაზეს იქ დარჩენილიყო, მაგრამ მან სამშობლოში დაბრუნება არჩია.

საქართველოში ჩამოსვლისთანავე ნ.

ლოღობერიძე თავდადებით შეუდგა პედაგოგიურ და ლიტერატურულ საქმიანობას. იგი ასწავლიდა თბილისის გიმნაზიაში გეოგრაფიასა და ლათინურ ენას და ამავე დროს განაგებდა ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ ისტორიულ ნაწილს. შემდეგ მისი უშუალო ინიციატივით თბილისში დაარსდა ქართული სტამბა, გაზეთი „დროება“ და ჟურნალი „მოამბე“. ნ. ლოღობერიძის დამაახურებელი ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ მან ქართულად თარგმნა და გამოსცა მარი ბროსეს „საქართველოს ისტორიის“ ორი ტომი.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ნ. ლოღობერიძის გარდაცვალების შემდეგ, ორი წლის განმავლობაში, ქუთაისის საადგილმამულო ბანკს ნ. ლოღობერიძე მართავდა.

სიცოცხლის ბოლო წლებში ნ. ლოღობერიძემ ხელი მიჰყო თავის სოფელ რვანში შავი ქვის დამუშავებას. ამ საქმეში მან იშვიათი ნიჭი და უნარი გამოიჩინა და ასე ათას მანეთად ღირებული ქონება შეიძინა.

თავის სიმდიდრეს ნ. ლოღობერიძე სამშობლოსათვის სასიკეთო საქმეებს ახმარდა. იგი სისტემატურად სწირავდა ფულს სოფლის სკოლებს და დიდ მატერიალურ დახმარებას უწევდა რუსეთსა და უცხოეთში მყოფ ქართველ სტუდენტებს. „არ ყოფილა მისთანა მოვლინება, — მოგვითხრობს აკაკი წერეთელი, — არც აღმოსავლეთ და არც დასავლეთ საქართველოში, რომ ამას არ თანაგრძნოს. ამ სამი წლის წინეთ უცხოეთში, პარიზში, ხშირად შევხვდებოდი ხოლმე და მიუხედავად ხნოვანებისა, ყმაწვილურის აღტაცებით მესაუბრებოდა ხოლმე ჩვენს ქვეყნის შესახებ. იქ, სხვათა შორის, ნებით თუ უნებურად გადახვეწილ ახალგაზრდობას ხელს უმართავდა. მთელ მის სიცოცხლეში ეს იყო საიდუმლო, მაგრამ ფრთხილი ქველმოქმედი...“ (იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტის აკ. წერეთლის პირადი საარქივო ფონდი, № 171).

ნ. ლოღობერიძის ფართო ბუნება და ღრმა პატრიოტული გრძნობა შესანიშნავად გამოქვავდა აგრეთვე მის ანდერძში. ამ ანდერძის თანახმად, მისი ფულადი შემოსავლიდან ორმოცდახუთი ათასი მანეთი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უნდა გადასცემოდა, ხოლო ხუთი ათასი — საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას.

ნ. ლოღობერიძის სურვილის თანახმად წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის შეწირული თანხიდან უნდა შექმნილიყო მისი სახელობის სამი ხელუხლებელი ფონდი. პირველი, ოცი ათას მანეთიანი ფონდის პროცენტები უნდა მოხმარებოდა რუსეთსა და საზღვარგარეთ მყოფ ქართველ სტუდენტებს, ხოლო მეორე — ათასხუთას მანეთიანი ფონდის პროცენტების ერთი ნახევარი — ქართული წიგნების გამოცემას, მეორე ნახევარი კი ნ. ლოღობერიძის სახელობის პრემიებს, რომლებიც ორიგინალურ ნაწარმოებთა ავტორებს მიენიჭებოდათ. მესამე — თუთმეტ-ათასიანი ფონდის პროცენტები უნდა მოხმარებოდა განათლებას გავრცელებას მის მშობლიურ სოფლებში — გოჩა-ჯიხაშსა და რვანში.

1911 წელს ნ. ლოღობერიძე გარდაიცვალა და მისი ანდერძი შეასრულეს.

ნ. ლოღობერიძის პიროვნება და ღვაწლი სათანადოდ შეაფასეს თანამედროვეებმა. აკ. წერეთელმა ლოღობერიძის დაკრძალვაზე წარმოთქმული სიტყვა ასე დაამთავრა: „ამისთანა კაცები სამაგალითო არიან არა თუ მარტო ჩვენს დაცემულ ქვეყანაში, უფრო განათლებულ მხარეებშიაც კი“.

არტურ ლაისტის კი ასე ახასიათებდა ნიკ. ლოღობერიძეს: „იგი იყო ნათელი ჭკუის და განსაკუთრებული პატიოსნების ადამიანი. მხურვალე გრძნობით უყვარდა თავისი სამშობლო და სიყვარულით შესცქეროდა მის კულტურულ ზრდას და განვითარებას. სადაც და რამდენადაც შეეძლო, დახმარებას არავის აკლებდა (გაზ. „თემი“, 1912, № 53).

ეჭვითვე თაყაიშობილმა სპეციალურ წე-

რილში კიდევ უფრო დეტალურად მოხა-
ზა ნ. ლოღობერიძის მრავალმხრივი საქ-
მიანობა. „ნიკოლოზ ლოღობერიძე, —
წერდა იგი, — იყო გულწრფელი მოსარ-
ჩლე ყოველგვარი ჩვენი საქმისა. არ ყო-
ფილა არც ერთი საზოგადო საქმე, რო-
მელშიაც ნ. ლოღობერიძეს არ მიეღოს
მხურვალე მონაწილეობა, არ ყოფილი-
ყოს მხურვალე მოჭირნახულე ჩვენ ქარ-
თველებისათვის სასარგებლო საქმისა.
რომელი საზოგადო საქმე გინდათ დასა-
ხელთ, რომ ნიკოლოზ ლოღობერიძეს
არ სჭეროდეს ერთი უმთავრესი ადგილი,
არ შეეტანოს თავისი წვლილი ამ საქმე-
ში, არ მოჰკიდებოდეს გულმხურვალედ,
არ ამოეჩინოს შესაძლებელი დახმარე-
ბა? თავად-აზნაურობის საქმეში, ბანკე-
ბის საქმეში, ქალაქის თვითმმართველო-
ბის შემოღებაში, სწავლა-განათლების სა-
ქმეში, ჟურნალ-გაზეთების დაარსებაში,
შავი ქვის მრეწველობის საქმეში მას ყო-
ველთვის ერთი უმთავრესი ადგილი ეჭი-
რა, მისი ჭკუით და გამოცდილებით ყვე-
ლა სარგებლობდა, მის სიტყვას და საქ-
მეს დიდი ფასი ჰქონდა“ („ძველი საქარ-
თველო“, ტ. II, 1913, გვ. 15).

ნ. ლოღობერიძის პიროვნების შესწავ-
ლაში გარკვეულ დახმარებას გაგიწევს
ქვემოთ გამოქვეყნებული წერილებიც.
დიდი პატიოთი, ფართო და მრავალმხ-

რივი ინტერესების მქონე, დიწვე და წინ-
დახედული, — ასეთად წარმოგვიდგება
ნ. ლოღობერიძე თავის წერილებში. ამ
წერილებიდანვე ჩანს აგრეთვე, თუ რა
მკიდრო მეგობრული და ამავე დროს
უაღრესად საქმიანი ურთიერთობა აკავ-
შირებდათ ერთმანეთთან ნ. ლოღობერი-
ძეს და მის ადრესატს — XIX საუკუნის
ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, ჟურნალი-
სტსა და პუბლიცისტს — კირილე ლორ-
თქიფანიძეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ წერილებში
მოხსენიებული არიან XIX საუკუნის სა-
ზოგადო მოღვაწეები, მწერლები და პე-
დაგოგები: გრ. ორბელიანი, ი. ჰაქვაძე,
გ. წერეთელი, ი. გოგებაშვილი და სხვ.

წერილებში კარგად ჩანს, თუ როგორ
ზრუნავდნენ გასული საუკუნის ქართველ-
ი ინტელიგენტები მშობლიური ერის
კულტურული აღორძინებისათვის. გარდა
ამისა, ისინი გვაწვდიან საკმაოდ საგუ-
ლისხმო ცნობებს ქართული სტამბის,
ჟურნალ „საქართველოს მოამბისა“ და
გაზეთ „დროების“ დაარსების შესახებ.
ამდენად, ნ. ლოღობერიძის წერილები
გარკვეულ ინტერესს იმ მხრივაც იწვე-
ვენ, რომ მათში რამდენადმე ასახულია
გასული საუკუნის 60-იანი წლების
საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურ-
ული ცხოვრება.

წერილი I

ტფილისი 25 მაისს 1864 წელს.¹

ძვირფასო ძმაო, კირილე!²

მე ვგონებ ძალიან მიწყრები, რომ ამდენხანს პასუხი არ შემოგითვისალე შენს უკანასკ-
ნელ წიგნზედ. აი, რა იყო მისი მიზეზი. შენ მოგეწერა შენი ნათარგმნი ისტორიისპ თავობა-
ზედ, რომ შემოგეთვალა აფხაზი რას იტყვის: ან კი ან არა. საქმე იმაშიდ მდგომარეობას,
რომ ეს კი ან არა, ვერ შევიტყვე დროზედ. შენი წიგნის მიღების შემდეგ აფხაზი ვნახე
მაღე და გარდავეცი შენი წინადადება. მან მითხრა, კარგი საქმე არისო შულგინის ისტორი-
ის გადართარგმნაო, მაგრამ ხელში ფული არა მაქვსო, ვიფიქრებ კიდევო, იმედი მაქვსო,
ვიმოენიო და მაშინ მოქცეო. რადგანაც სწორი გარდაწყვეტილი პასუხი ვერ მომცა აფ-
ხანმა, მეც ვერ მოგწერე ამგვარი პასუხი, როგორცა შენ თხოულობდი და ვუცდიდი,
ბოლოს რას მეტყვისითქო. ამას წინეთ რამდენჯერმე ვიყავი მასთან, მაგრამ ვერ ვიპოვე
შინ. დღეს დილას, როგორც იქმნა, შინ ვიპოვე, მომცა 600 მანეთი, გაუზავანო. აფხა-
ზი თანახმა არის ყველა შენს პირობებზედ, ჯერ ეს 60 თუმანი გამომიგზავნა და თუ დრო
და ღონისძიება გექმნება, კარგი გეოგრაფია და ატლასები შეადგინო, მაშინ იმათთვისაც
20 თუმანს გამოგიგზავნის. ეს შენზედ ჰკიდია, როგორც ამჯობინებ შენთვის და საქმი-

სათვას, ისე მოიქცევი, — გითვლი ამ აფხაზის სიტყვებს და ამასთანავე გიგანგებო
მანებს. რაღა თქმა უნდა, რომ ძლიერ მიხარაან, რომ იმითი შენ მოგეცემა ღონისძიება
მანდ ცხოვრებისა და ამასთანავე კარგი აღსრულებისა. შუღღინის ისტორია ძალიან კა-
რგი ისტორიაა, რომ ძნელი გასაგები არ იყოთ ყმაწვილებისათვის და ჩემის ფიქრით,
ლიდი შრომა და ცოდვილი უნდა, რომ ის ადვილი ენით გადმოიღოს კაცმა ჩვენს ენა-
ზედ. ღმერთმა ქმნას, რომ ეს შრომა ისრე აასრულო, როგორც შენ გსურს.

ჩაგვკავებზედ რა მოგწერო? ის ისეთ ადვილ საქმეთ უყურებს რედაქტორობას და
კიდევაც გამოიჩინა, რა მოზღვეს ამათი შეხედულებებს. დაიწყო ჟურნალის⁶ გამოცემა
მთუფიქრავათ და უკითხავათ და ისეც მოსპო. როდესაც იმას ეთხოვა ჟურნალის გამო-
ცემის ნება, მაშინ მე აქ არ ვყოფილვარ და არც კი არაფერი უკითხავს ჩემთვის. ქუთაი-
სილამ რომ ჩამოვედი ტფილისს სექტემბერში 1862-ში, მაშინ მითხრა, რომ ნება მივი-
ღეო გამოცემისათ და უნდა მომეხმაროთო. მე ვუთხარი, რომ შეუძლებელს საქმეს იწ-
ყობითქო, სტატიები არა გაქვსქო, საიმედო თანამშრომლები არა გყავს და არავინ
ნომზადებულნი არა ვართ თქო ამ საქმისათვის და სხ. და სხ. ამაზედ მან მოიყვანა ჩვეუ-
ლებრივი თავისი არგუმენტი: სულ ამას ვამბობთო და საქმეს ხელს არ ვკიდებთო, რომ
დავიწყებთ ჟურნალის გამოცემასო, მაშინ გამოჩნდებიან მწერლებიცო და ჩვენც გავიწ-
ვრთებითო წერაშიო. ეხლა მაინც, რადგანაც ნება მივიღეთ, სხვა არაფრის ღონისძიება
არისო, უნდა გამოვცეთო. განცხადება გამოსცა და იმაში ნაწილებს რედაქტორებად გა-
გვხადა რამოდენიმე პირნი, რომელნიც წინააღმდეგნი ვიყავით ჟურნალის გამოცემისა.
პირველად მართლა კარგად შრომობდა და მეც იმედი მომეცა, იქნება რამე გამოვიდეს-
თქო, მერმე კი აუკრა თავისებრივ და წავიდა საქმე ისე სამორცხოლ.

ეხლა ბერეს ვერაფერსა გწერ, რადგანაც ფოჩტაში მაგვიანდება და წიგნის გამოგ-
ზავნის გადადება მეორე ფოჩტამდი არ მინდა, რადგანაც ფული შენთვის ძალიან საჭირო
არის. ამას კი გწერ, ვიცი, ვიამება: მე, ვახტანგ თულაშვილი, დიმიტრი ბაქრაძე და სტე-
ფანე მელიქიძეილი სტამბის გახსნას ვაპირებთ წელს შემოდგომას, გვინდა ახალი შრიფ-
ტი შევადგინოთ, ქართული, ლამაზი, ადვილი-საკითხავი, ასო-მთავრული. უსტამბოთ
ჩვენ არაფრის გაკეთება არ შეგვიძლიან. თუ ღმერთმა ქმნა და გავაწყვეთ კარგათ, მაშინ
იმედია, თქვენის შემწეობით, რამეს მოვახერხებთ.

(პირველი გვერდის მარცხენა კიდეზე) კირილე! ამასთანავე ეუფავანი დათიკოსნ
წიგნს და 24 თუმანს, შეატყობინე მას, კიდევ უკან არ დააბრუნონ ფულები.

(ბოლო გვერდის მარცხენა კიდეზე) მაღალიშვილინ, ანდრონიკაშვილი⁷ და ჯავახი-
შვილი⁸ მსაჯულები შეიქმნენ: პირველი არის მდივან-ბეგი გორის სამსაჯულოში, მეორე
— ტფილისისა და მესამე — თელავის. ვასილ თუმანიშვილი⁹ კიდევ ქუთაისში არი ლე-
ნერალ-ლუბერნატორის კანცელარიაში. შენც გექმნება შეტყობილი, რომ საწყალი ვანო
ისარლიშვილი¹⁰ მოკვდა ქუთაისში.

(მეორე და მესამე გვერდის ზევითა კიდეზე) კირილე! რატომ არ იწერები, შენ რას
აპირებ, როდის ვინდა ეგზამენი დაიჭირო და რა ფაქულტეტზედ? ძალიან კარგს იზამ,
რომ მალე გაათავებდე ჟურსს და ჩამოხვიდე. მძურ მოკითხვას ვუთვლი ყველა ჩვენს
ყმაწვილებს. შენი წიგნი ჯერ კიდევ არ გარდაამიცია ელენე, ჩოლოყაშვილის¹¹ ცოლისათ-
ვის. აქველით, მაგრამ ჯერ არ ჩამოსულა, მალე კი უნდა ჩამოვიდეს.

შენი ერთგული ნ. ლოდობერიძე.

წერილი II

ტფილისი 16 იანვარს 1866 წელსა


ძვირფასო ძმაო კირილე!

ახლა, რასაკვირველია, შენ შეტყობილი გექნება, რომ ჩვენ გავთეთის¹² გამოცემის
ნება მივიღეთ. მე ამაზედ დაწვრილებით მოგწერე დათიკოსნ და ის უთუოდ წავიკითხავ-

და ჩემს წიგნს¹³. ამისათვის საჭიროთ არ ვრაცხ ერთი და ისევე გავიმეორებ. ახლა ჩვენი თხოვნა შენთან და საზოგადოთ სტუდენტებთან მდგომარეობს იმაში, რომ შემწეობა ანოუიონით ამ გაზეთს, იკისროთ მისი თანამშრომლობა. ექვი არ გვაქვს, რომ ამ თხოვნას აგვისრულებთ. რომ თქვენ თანამშრომლობაზედ არა გვექონოდა იმედი, ჩვენ კიდევაც ვერ გავბედავდით გაზეთის გამოცემას. — ადვილად მიხვდებოდით, რა მიზეზისა გამო ვითხოვეთ გაზეთის ნება და არა ჟურნალისა. ჩვენის აზრით, გაზეთი უფრო სასარგებლო იქმნება ჩვენის ხალხისათვის, მინამ ჟურნალი. ჟურნალის დიდს სტატიებს ვერ ერეოდენ ჩვენი მოუწადებელი მკითხველები, გაზეთის მოკლე სტატიები, რასაკვირველია, უფრო ადვილი გასაგონია. ამასთანავე, რასაკვირველია, უსწავლელ კაცს გაზეთის ახალ-ახალი და ხშირათ ცხოვრების შესახები ამბები უფრო გაართობს, მინამ გრძელი ტრაქტატი რომელიმე საგანზედ. გამოცემა გაზეთისა, უეჭველია, უფრო ადვილია, მინამ ჟურნალისა. სწვა რომ არა ვთქვათ, გაზეთში ხან და ხან ორიგინალური სტატია რომ არ იყოს, არაფერია, უიმისთავე შეიძლება გასართობი და საინტერესო იყოს, მაშინ როდესაც ჟურნალში თუ ერთი-ორი სტატია არ იქმნა ნამდვილი, რაღა ჟურნალი იქმნება. ამასთანავე ჟურნალში საპოლიტიკო ნაწილის ნებას ხომ არასდროს არ მოგვეცემენ. ნუ დაივიწყებთ იმას, რომ ჩვენს გაზეთთან დამატება გამოვა წიგნებით, რომელთაც უნდა ასრულოს ჟურნალის ვალი, რადგანაც ამ დამატებაში დაიბეჭდება გრძელი სტატიები. რედაქციის შეკლებზედ არის დამოკიდებული, რამდენსაც მოახერხებს, იმდენი წიგნი შეუძლია გამოუშვას წელიწადში ამ დამატებისა. კირილე, შენ კარგათ იცი, რა არის ჩვენის ხალხისათვის საჭირო და ამისათვის ამაზედ მოწერა საჭირო არ არის. თუ რამე გაქვს დაწერილი, ძალიან მაღლობელი ვიქმნებით, რომ გამოგვიგზავნიდეთ, ამასთანავე, რასაკვირველია, ამას იქით მეტი ხალისით მოკიდებთ კალამს ხელს. მანდემამ კორესპონდენტებს სხვადასხვა შესანიშნავ ამბებზედ რომ გამოგვიგზავნიდეთ ხოლმე, მაგას რაღა ემჯობინება. წერის დროს აქაური ცენზურა კი უნდა იქონიოთ სახეში. ღონორარზედ დათიკოსაც მოესწერე, თუ რამე ღონისძიება გვექმნება, დაგვერწმუნეთ, პირველათ იმას ვეცდებით, სტუდენტები დავაკმაყოფილოთ.

შენ (ი) ჩონგური¹⁴ თან და თან უფრო და უფრო მოსწონთ აქაურებს. აქაურის წავნების გასაგალისა და გვართ ის კარგა გადის. შენს ნაცნობებს, მოწერილობისაებრ, შენ მაგიერ დავეუბრე 16 ეკუმპლარი, ფული მაქვს მდებებული 170 ეკუ. — 168 მანეთი და 30 კაბ. სხვადასხვა ალაგას, სხვა და სხვა პირებისათვის მაქვს გაცემული გასაყიდად 133 ეკუ. ამ წიგნებთანა ბევრი გაყიდულია, მაგრამ ჯერ ფული არ მიმიღია. 3 ეკუ. დიკარგა, ასე რომ კვალი ვერ გამოვიცვლიე. 29 ეკუ. კიდევ მე მაქვს სახლში. ტერ-მიქელიანს¹⁵ მივეცი 10%, თუმცა მოგწერე 70% დაეაჯერებინე თქვა, მაგრამ მერმე, რადგანაც ცოტა გაეყიდა და მითხრა, კიდევ 10% ნაკლებ კომისისაში არ ვიღებ. მივეცი ეს პროცენტი, მაინც არაფერი შედგა. არა ღირდა დავალებათ. ზაფხულში მარტო 17 ეკუ. გაყიდულა მისი წიგნის მაგაზინში, რომლის პროცენტმა შეადგინა სულ 1 მან. და 70 კაბ. ზემოხსენებული 168 მან. და 30 კაბ. 16 თუმანთ ვავისტუმერ მევალე, რომელსაც გამოვარავე ეს ფული შენთვის გამოსავსავნათ. ახლა ჩემთან დარჩება ჩონგურის ფული 8 მან. და 30 კაბ. იქმნება ამ დღეებში შევკრიბო რამდენიმე ფული და ერთათ დათიკოს სახარჯო ფულთან გამოვიგზავნი. ჩვენმა ყმაწვილებმა მომხმარენ კარგათ ამ ჩონგურის გაყიდვაში: ესტ. მაღალაშვილმა გაასალა გორში 39 ეკუ., ილ. ჭავჭავაძემ დღუშეთში — 20 ეკუ., ჩაქუანამა თელავში 16 (მას აქეთ კიდევ მეტი გაუყიდა, როგორც მესმის), გოგებაშვილმა აქ 20 და სხვ.

(ბოლო გვერდის მარცხენა კიდებზე): კირილე, რას შვრები შენ? ძალიან დავიტკბათ რაღაცა პეტერბურგში, აღარ აპირებთ ჩამოსვლას? წელს ზაფხულამდი გაიხსნება აქაური და ქუთაისის გიმნაზიებში ორი ვაკანსია ქართული ენის მასწავლებლისა. ნუთუ, ამ



შემთხვევას გაუშვებ და არ მოკიდებ ხელს ამ თანამდებობას? სხვებ, რალა თქმა უნდა, როგორ საჭირო არიან ჩვენთვის კაცები აქაც და ქუთაისში ახლა.

(მესამე გვერდის მარცხენა კიდეზე): ამასთან გიგზავნი განცხადებას. როცა ვახეთი გამოვა, ერთსა ან ორ ეკზემპლარს გამოგიგზავნით მანდაურ სტუდენტებს. მომიკითხე სიყვარულით ჩვენები.

შენი ერთგული მეგობარი **ნ. ლოლობერიძე.**

წერილი III

ტილისი 8 ივნისს 1866 წელსა.

საყვარლო ძმაო კირილე!

არ ვიცი, რა მიხეზია, რომ შენ წიგნსა არა მწერ. შარშან მაისში მოგწერე წიგნი და მას აქეთ პასუხს არ მითვლი. შარშან აპრილში დათიკოს საშვალბით 10 თუმანი გამოგიგზავნე, მაისში 6 თუმანი წერილით, წელს იანვარში — 1 თუმანი და აპრილში — 3 თუმანი. ახლა ამ წიგნთან გიგზავნი 4 თუმანს. ეს სულ შენი „ჩონგურის“ ფასია, რაც დღემდის შემოსულია. ახლა ტერ-მიქელიანის¹⁵ მაგაზინშია მარტო 2 ეკზ. და ჩვენს სტამბაში — 13 ეკზ., დანარჩენი დარიგებული აქეთ სხვა და სხვა პირებს და ჯერ ფული არ შემოუტანიათ. იმედი კი არის, რომ არ დაგვეკარგება. როგორც აქედამ დაინახე, ქართულის წიგნების პირობაზედ შენი ჩონგური კარგათ გადის. კიდეც ძალიან მოსწონთ და შეიყვარეს ეს წიგნი. ამ ზაფხულში, მე ვფიქრობ, შენც ჩამოხვალ და ჩამოიტან „ჩონგურებს“, რაც მანდ დაგრჩა და ჩაიბარებ ანგარიშს. მართლა და მოსვლას აღარ აპირებთ? როგორც გეტყობათ, ძალიან ვაგიტყობთ პეტერბურგი. მე კი სწორეთ არ ვიფიქრებდი, რომ ჩვენის სამშობლოს დალოცვილი წმინდა ცა და ნახი ჰავა ჩრდილოეთის ბულზედ და სიცივეზედ ვაგეცვალოთ. მაგრამ არ დავიჯერებ მაინც, რომ სულ დაგვიწყებოდეთ, გელთ მალე მოუთმენლივ. საშრომი საქმე ბევრია ჩვენში, მაგრამ მშრომელი ვაკვლია. — რა დააშვა ამისთანა ჩვენმა „დროებამ“, რომ კიდევაც არ შემოხედეთ და ერთი ლუკმა საკმელიც არ აღირსეთ? ამას სწორეთ არ მოველოდით.

მე ზეგ ქუთაისს მივდივარ. იმერეთისაკენ დავრჩები ოკტომბრის თვემდის. თუ წიგნს მომწერ, ქუთაისს გამოგზავნე ჩემს სახელზედ. იქმნება ქუთაისში მოიხილეს შენი ნახვა. არა? მომიკითხე სიყვარულით ჩვენი ყმაწვილები.

შენი ერთგული მეგობარი **ნ. ლოლობერიძე.**

შენიზხევაბი

1. ჩვენს მიერ გამოქვეყნებული ნ. ლოლობერიძის წერილების დედანი დაცულია ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, კ. ლორთქიფანიძის პირად საარქივო ფონდში, №№ 821-826.
2. ნ. ლოლობერიძის ყველა წერილი გაგზავნილია პეტერბურგში, სადაც ამ დროს კ. ლორთქიფანიძე იმყოფებოდა.
3. იგულისხმება ე. შულგინის მიერ შედგენილი წიგნი „მსოფლიო ისტორიის კურსი საშუალო სასწავლო დაწესებულებათა აღსაზრდელისათვის“.
4. იგულისხმება ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, რომელიც გამოდიოდა თბილისში 1863 წელს ილია ქავჭავაძის რედაქტორობით.
5. დავით ლოლობერიძე — ნიკოლოზ ლოლობერიძის ძმა.
6. მაღალაშვილი—ესტატე გრიგოლისძე მაღალაშვილი—სწავლობდა თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში, შემდეგ 1858-1862 წლებში პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის კურსი დაამთავრა კანდიდატის ხარისხით.

1864 წელს მაღალაშვილი დაინიშნა გორში სამაზრო მსახულად, შემდეგ მსა-

ჭურობდა ელისავეტოპოლში, ნუხაში და ტემრიუკში.

7. ანდრონიკაშვილი — მიხეილ ანდრონიკაშვილი — საშუალო განათლება მიიღო თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში. შემდეგ სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომლის სრული კურსი 1862 წელს დაამთავრა.

8. ჯავახიშვილი—გრიგოლ ჯავახიშვილი —სწავლობდა ჯერ თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში, ხოლო შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. 1861 წ. პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა არეულობაში ჯავახიშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო. უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა 1862 წელს.

9. ვასილ თუმანიშვილი—სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომლის სრული კურსი 1862 წელს დაამთავრა.

10. ვანო ისარლიშვილი—ნ. დოღობერიძისა და კ. ლორთქიფანიძის ამხანაგი. სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში.


11. ჩოლოყაშვილი — აბელ ჩოლოყაშვილი (?) — სწავლობდა ჯერ თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში, შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე.

12. ივულისხმება „დროება“. სააღიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. რედაქტორები სხვადასხვა დროს: გ. წერეთელი (1866-1869), ს. მესხი (1869-1873), კ. ლორთქიფანიძე (1873-1874), ს. მესხი (1874-1880), ს. მესხი და ილ. ჭავჭავაძე (1880-1881), ს. მესხი (1882-1883), ივ. მაჩაბელი (1883-1885).

13. წერილი „დროების“ დაარსების შესახებ ნ. დოღობერიძეს დავითისათვის გაუგზავნია 1866 წლის 12 იანვარს. ეს წერილი გამოაქვეყნა ვლ. სიფრაშვილმა (იხ. „ლიტ. გაზეთი“, 1959 წ. 31).

14. ივულისხმება 1864 წელს კ. ლორთქიფანიძის მიერ გამოცემული ლექსთა კრებული „ჩონგური“, რომლის გასაღება თბილისში პირველ რიგში ნ. დოღობერიძეს ანდო.

15. ტერ-შიქელიანი — შიგნის მაღაზიის მეპატრონე ქუთაისში.





ჯაბალ ნოლიდალი შრომის სიმღერები

საყოველთაოდ ცნობილია ქართველი ხალხის ცეკვები, მისი მრავალფეროვნება, სინარნარე და გრაციულობა. ასევე მდიდარია საქართველო ხალხური სიმღერებით.

შეიძლება ითქვას, ქართველი ხალხი ერთადერთია მსოფლიოში, რომელიც თავისი სიმღერების უმეტესობას სამ ხმაზე, ხოლო შრომის სიმღერების უმრავლესობას ოთხ ხმაზე ასრულებს. ოთხხმიანი ნადური სიმღერების აღმოჩენა ჩვენ მოგვიხდა XX საუკუნის 30-იან წლებში.

ქართული სიმღერები შეიძლება დავყოთ რამდენიმე ჯგუფად:

იავ-ნანას ტიპის ე. წ. აკვნის სიმღერები. იავ-ნანა აკვნის რწევის პროცესში სრულდება; იგი ხელს უწყობს ბავშვის დაყუჩებასა და დაძინებას. მეტად მრავალფეროვანი, ნარნარი და მიმზიდველი სიმღერები შედის იავ-ნანას ციკლში.

დიდებულია სუფრულის ციკლის სიმღერებიც (მაგიდის სიმღე-

რები). აბა, რა შეედრება ქართულ „მრავალკამიერს“. სუფრულის ციკლში შედის აგრეთვე ე. წ. „ხელეური“ სიმღერები: „ხასანბეგურა“, „შვიდკაცა“, „ალიფაშა“, „ჩვენ მშვიდობა“, „მასპინძელსა მხიარულსა“, „შაშვი კაკაბი“ და სხვა მრავალი. საერთოდ სუფრული სიმღერების სახეობა ორმოცდაათამდე აღწევს.

„მრავალკამიერის“ ციკლიდან კახური და გურული „მრავალკამიერი“ ერთმანეთისაგან დიამეტრულად განსხვავდება. მათი ჰანგი, ტემბრი და მელოდიაც განსხვავებულია.

მრავალფეროვანია ჩვენი საცეკვაო სიმღერებიც.

შეიძლება ერთ ციკლში მოვაქციოთ მგზავრული და ლაშქრული — მხედრული სიმღერები. რაგინდ და დლილი იყოთ, „მგზავრულის“ გაგონებისთანავე სიმღერას აუწყობთ ნაბიჯებს და დალლას აღარ იგრძნობთ.

მხედრული ანუ ცხენოსნური სიმღერებით ხომ მდიდარი ვართ.

მხედრულს ცხენებიც ფეხს უწყობენ და სვლა ხალისიანი ხდება მხედრისთვისაც და ცხენისთვისაც. მხედრული სიმღერების ტემპში ცხენისა და მხედრის ჰარმონიულ მოძრაობასთან არის შესამაზული. ბრძოლის ველზე მიმავალი ლაშქარი დააგუგუნებდა „მხედრულს“ და მტერს ეკვეთებოდა.

შრომის სიმღერებიც, რომელიც ხელით შრომასთანაა დაკავშირებული, მრავალფეროვანია. „ხელხეავს“ უმთავრესად ასრულებენ სიმინდის, აგრეთვე თხილის რჩევის დროს. ნადური სიმღერები სრულდება ღომის, სიმინდის თონისა და მარგვლის დროს, ხოლო „ურმული“ ხვნისას და ა. შ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აჭარაში ბევრი მომღერალთა და მოცეკვავეთა გუნდი ჩამოყალიბდა. ასე, მაგალითად, ცნობილი იყო ალამბრის, ლეღვას, აჭყვისთავის, ციხისძირის, მუხაესტატეს გუნდები (ხელმძღვანელები — ხუსეინ ცეცხლაძე, ალი ტაკიძე, მურად ანანიძე, ახმედ ნოლაიდელი, ღურსუნ მყაფანაძე).

ქობულეთში აღიზარდნენ აგრეთვე ახალგაზრდა ლოტბარები — არიფ ანანიძე, ქამილ ტაკიძე, ხასან ანანიძე, ამირან ბერიძე და სხვები.

დასახელებული გუნდების ძველ ხელმძღვანელებს და წევრებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ცნობილ გურულ მომღერლებთან. ქობულეთიდან სპეციალურად მიდიოდნენ გურიაში და ცნობილ მომღერ-

ლებთან სწავლობდნენ სიმღერებს. როგორც ამ კუთხის მკვიდრი ხმელნოლაიდელი გვიამბობს, მას გურული სიმღერები უსწავლია ჯერ სამუელ ჩავლეიშვილთან და შემდეგ დიმიტრი პატარავასთან.

სიმღერების შესასწავლად დიმიტრი პატარავასთან ალამბრიდან დადიოდნენ აგრეთვე ხუსეინ ცეცხლაძე, ლეღვადან — ალი ტაკიძე, აჭყვისთავიდან — მურად, ხასან და არიფ ანანიძეები და ბევრი სხვა. ლოტბარ არტემ ერქომაიშვილის გადმოცემით, მასთან მუხაესტატედან დადიოდნენ და სიმღერებს სწავლობდნენ ღურსუნ მყაფანაძე, ელიას ბაბილოძე, ნური გოვიტიძე და სხვები.

ეს ფაქტი ადასტურებს, რომ აჭარიდან (იგულისხმება ქობულეთის მხარე — ჯ. 5). გადადიოდნენ გურიაში და იქ ცნობილ მომღერლებთან სწავლობდნენ სალხინო, სუფრის სიმღერებს და საგალობლებს, მაგრამ არა ნადურ სიმღერებს.

საინტერესოა ვიცოდეთ, ქობულეთის მხარიდან თუ გავრცელდა გურიაში რომელიმე ქართული სიმღერა?

ამ საკითხით რომ დავინტერესდები, ვინახულე ზოგიერთი ქობულეთელი ძველი მომღერალი თუ სხვა მოხუცი. გამოიკვია, რომ „ალიფშა“ გურიაში პირველად იმ ქობულეთლებს შეუტანიათ, რომლებსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდათ გურულ ოჯახებთან. ქობულეთიდან განახლებულად და შემდეგ გავრცელებულად მოჩანს

„ხასანბეგურა“, „ხელხევი“, „ალიფაშა“ და ცეკვა „ხორონი“. ასევე უნდა ითქვას შრომის სიმღერებზეც. როგორც გურული ცნობილი მომღერლებიც ადასტურებენ, ნადური სიმღერები უფრო მეტად ქობულეთში ყოფილა გავრცელებული. თქვენები მრავალნაირ ნადურს მღეროდნენ და გურულებზე უკეთესად. ამიტომ ნადური სიმღერების შესასწავლად, — გადმოგვცემენ ისინი, — სიმღერის მოტრფიალე გურულები გადმოდიდნენ ნაცნობ ქობულეთელ მომღერლებთან. ნადური სიმღერების გატანას ხელს უწყობდა ისიც, რომ ხდებოდა პირაქეთ და პირიქით ნადურ შრომაში ურთიერთ მიწვევა-დახმარება. ასეთ დროს კი ჩაღებოდა შეჯიბრება ნადურ სიმღერებში. ამრიგად, ნადის ცერემონიალისას მსურველს შეეძლო ნაირფეროვანი ნადური სიმღერების ათვისება-შესწავლა.

XIX საუკუნიდან მოყოლებული, განსაკუთრებით თურქი დამპყრობლებისაგან აჭარის განთავისუფლების შემდეგ, ქობულეთის მხარეში ნადური (ყანური) სიმღერების შესრულებაში თავისებური ტრადიცია შემუშავებულა: როცა ამბობდნენ, ეს კაცი მომღერალიაო, იგულისხმებოდა, რომ მან მხოლოდ ნადური სიმღერები იცოდა. თავისებური ტრადიცია მარტო იმით კი არ ამოიწურებოდა, რომ ნადი მოეწვიათ და ყანა გაემარგლათ, არამედ ენახათ მომღერალთა შეჯიბრებაც და ამით

დამტკბარიყვნენ. ქობულეთის მხარეში საუკეთესო მომღერლად ის პირი ითვლებოდა, ვინც მთელი დღის მანძილზე ნადური სიმღერების ცოდნას გამოამყდვებდა, ვისაც ძლიერი ხმა ჰქონდა და მოწინააღმდეგეს ჯაბნიდა. გამარჯვებულად ითვლებოდა ის, ვისც ისეთ ნადურ სიმღერას იტყოდა, რომელსაც მოწინააღმდეგე: ე. ი. მეორე ჯგუფის მომღერალი ვეღარ ჩამოართმევდა, ვერ გაიმეორებდა.

ამრიგად, გურიასა და აჭარაში ნადურმა სიმღერებმა დიდი განვითარება პოვეს. ნადური სიმღერების ოსტატებად ითვლებოდნენ: ალამბარში ხუსეინ და სულია ცეცხლაძეები, ყემბერ და ხუსეინ სანიკიძეები, მუხაესტატეში ღურსუნ იმერელი (მისი ნამდვილი გვარი ხვიჩიაა), ელიას ბაბილოძე, ღურსუნ მყავანაძე, ხუცუბანში — მემედ-ალა ღუმბაძე, ახმედ-ალა მყავანაძე, მამუდ მესხიძე, წყავროკაში — ყეზეთ ნოლაიდელი, მემედალი რომანაძე, ხუსეინ ლაზიშვილი, ხუსეინ ნოლაიდელი, ხასან რომანაძე, ლეღვაში — მამუდ მყავანაძე, ხასან როყუა, ზაბით მყავანაძე, ახმედ დათუნაიშვილი და სხვ., აჭყვისთავში — ქამილ ჯინჭარაძე, ბათუმში — ესედ მესხიძე... ესენი იყვნენ ცნობილი, თორემ საშუალო მომღერლები მრავლად გახლდათ.

დიდი მომღერლები ძველ სიმღერებს საიდუმლოდ ინახავდნენ, ხოლო საჭიროებისამებრ, შეჯიბრებაში მოპირდაპირის დასამარც-

ხებლად მოულოდნელად მზის სინათლეზე გამოიტანდნენ.

როგორც ვხედავთ, გურიასა და აჭარაში ნადური სიმღერების შესრულება-შესწავლაში მჭიდრო ურთიერთობა და კონტაქტი დამყარებულია. ყოველივე ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ისტორიულად გურიის მოსახლეობა და აჭარის ბარის მოსახლეობა — ქობულეთ-ბათუმის სანაპირო ზოლი — მჭიდროდ იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული. ერთნაირი იყო მათი ტრადიცია, ცეკვები, სიმღერები და ა. შ. მაგრამ აჭარა თურქებმა რომ დაიპყრეს, სამი საუკუნის მანძილზე გურულები და ქობულეთელები გათიშულნი აღმოჩნდნენ.

თუ კი ჩავუყვირდებით მდგომარეობას და შექმნილ ვითარებას ანალიზს გავუკეთებთ, თურქების მოძალების პერიოდში გურიაში ძალზე განვითარებული ჩანს საეკლესიო საგალობლები, ხოლო დაპყრობილ აჭარაში ხალხური შრომის სიმღერები.

ცოტა რამ გვინდა ვთქვათ ხმების შესახებაც.

პირველი ხმის აღსანიშნავად გამოყენებულია **გაყივლება**, **კრიმაჭული**, **წვრილი**, მეორე ხმისა — **მომღერალი**, **მთქმელი**, **დამწყები**, **მომძანელი**, ხოლო მესამე ხმად გამოყენებულია **ბანი**. მეოთხე ხმა **შეხმობა**, **შემხმობარი** კი, რომელიც მაღალი ბანის, ან ბარიტონის მოვალეობას ასრულებს, გამოყენებულია მხოლოდ შრომის სიმღერებში.

ე. წ. ნადურ, **ქობულეთის** სწორად ყანურ სიმღერებში.

სამუსიკო ლიტერატურაში ცნობილია სხვა ხმებიც. მაგალითად, **კრინი**, **ზილი**, **დვრინი**, **მომახილი**, **წვრილი**. ხმათა სიმრავლე იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ხალხური სიმღერების ხმები და საეკლესიო საგალობლების ხმები ერთმანეთშია არეული.

ჩემი აზრით, **წვრილი**, **კრინი**, **მომახილი**, **ზილი**, **დვრინი** საგალობლების ხმები უნდა იყოს. **წვრილი** და **მომახილი** ბოლო ხანებში გავრცელდა აჭარაში, ყოველ შემთხვევაში 1878 წლიდან. ამ ხმებიდან **კრინი**, **ზილი**, **დვრინი** აჭარაში არ იხმარებოდა, რადგან თურქებმა საგალობლები აღკვეთეს და დროთა განმავლობაში ადგილობრივმა მოსახლეობამ იგი დაივიწყა. რაც შეეხება **წვრილსა** და **მომახილს**, იგი ბოლო ხანებში უნდა გავრცელებულიყო აჭარაში. ამ მოსაზრებას ჩვენ იმით ვასაბუთებთ, რომ **წვრილში** ნაგულისხმევი პირველი ხმა მომღერალს, ე. ი. მეორე ხმას ძირითადად ტერციით უნდა მიჰყვეს და ამბობდეს იმავე ტექსტს, რასაც მეორე ხმა ამბობს. სანიშნავად შეიძლება დავასახელოთ: „ვაი, შენ ჩემო თეთრო ბატო“, რაც საგალობლებში გამოიყენება.

არც **მომახილი** უნდა მიეკუთვნოს ხალხური სიმღერების ხმებს. საერთოდ კი გვეჩვენება იგი რომელიმე კონკრეტულ ხმას გამოხატავდეს. ასე რომ არ იყოს, იგი

ხალხური სიმღერების ყველა ხმას ვერ მოერგებოდა. ეს საკითხი შეიძლება გაირკვეს აჭარის მაგალითზე.

აჭარაში საზოგადოდ მოძახილი (მომძახნელი) დამწყებს ნიშნავს. როცა ამბობენ: „ხელხავს მოუძახეო“, ეს ნიშნავს, „ხელხავი“ დაიწყეო. იწყებს (უძახებს) წვრილი, პირველი ხმა. როცა ამბობენ, „მაყრულს მოუძახეო“, ეს ნიშნავს, „მაყრული“ დაიწყეო. იწყებს მესამე ხმა, ბანები. ხოლო როცა ამბობენ, „ხასანბეგურას“, „შვიდკაცას“ მოუძახეო, ესეც ამ სიმღერების დაწყებაზე მიუთითებს. ამ შემთხვევაში სიმღერას იწყებს მეორე ხმა, დამწყები, მომღერალი. ასე, რომ მომძახნელი შეიძლება სიმღერას იწყებდეს სამივე ხმაზე: პირველ, მეორე ხმაზე და ბანზე.

ამრიგად, მომძახნელი ხალხურ სიმღერებში მხოლოდ დამწყებს უნდა ნიშნავდეს და იგი ხალხური სიმღერების ხმებში საგალობლიდან უნდა იყოს გადმოსული.

ხალხური სიმღერების ხმებისა და საგალობლების ხმების ერთმანეთისაგან განცალკევება აჭარისა და გურიის მასალების მიხედვით

აღვილად ხერხდება. ვიმეორებთ გამაჰმადიანებულ აჭარაში ქრისტიანული ყველაფერი აიკრძალა, კერძოდ, საეკლესიო საგალობლებიც. დაავიწყდათ საგალობლების ხმებიც: **კრინი, ზილი, დვრინი, წვრილი, მოძახილი.**

ნადურ სიმღერებს, დიდ ნაღს, ვარდა ნაღის წვევრებისა, ვართობის საბაბით, სხვებიც, არა ნაღის მონაწილენი, მთავრობის წვევრებიც ესწრებოდნენ.

მთავრობის წარმომადგენლების დასწრება ნაღზე, ვფიქრობთ, მართო სანახაობისა და სიამოვნების მიღებით არ იყო გამოწვეული.

ყველასათვის ცნობილია, რომ იმ დროისათვის მოსახლეობაში რევოლუციური იდეები ვრცელდებოდა. 80-100 კაცის თავმოყრა ნაღზე ხუმრობა საქმე არ იყო. ნაღზე რევოლუციურ გამოხდომებს ადგილი რომ არ ჰქონოდა, მთავრობის წარმომადგენლები, ნადური სიმღერების ნოსმენის საბაბით, დიდ ნაღს ესწრებოდნენ.

ასეთ ღრმა შინაარსს ატარებენ უაღრესად ემოციური და მრავალსახოვანი ჩვენი შრომის სიმღერები.



საინტერესო პატარა მოთხრობები

მიმდინარე წელს სახელმწიფო გამომცემლობამ „საბჭოთა საქართველო“ გამოსცა ილია რურუას პატარა მოთხრობების კრებული სახელწოდებით „წმიდა ალაგი“. იგი შეიცავს ოცდაათ მოთხრობას და ოცდაჩვიდმეტ მინიატურას. ზოგიერთი მათგანი გადმობეჭდილია მწერლის მოთხრობათა პირველი წიგნიდან („როცა ცხოვრებას შეიტკობ“, „ფერი ვარდის, ფერი ცის“ და სხვ.).

ქართულ ლიტერატურაში პატარა მოთხრობების საკმაოდ ძლიერი ტრადიცია გვაქვს. ეს კი მომავალი თაობის წვრთნისა და მომწიფების უშრეტო წყაროა, მაგრამ ამავე დროს ახალბედა ავტორის წინაშე პასუხისმგებლობაც დიდია — იყოს ღირსეული მემკვიდრე მდიდარი პროგრესული ტრადიციებისა. თუმცა ამ შემთხვევაში გაუბედაობაც საძრახისია, თუ კი გული ვინმეს პატარა მოთხრობისაკენ მიუწევს, როგორც, მაგალითად, ილია რურუ-

ას. ჩვენ მიმოვიხილავთ მის მხოლოდ რამდენიმე ნაწარმოებს.

პირველი მოთხრობაა „წმიდა ალაგი“. ეს არის პატარა ამბავი მშობლიური ქალაქის სინამდვილიდან. რომანტიკული მიდგომა ამიღირებს ნაწარმოებს შინაარსობლივად და საინტერესოს ხდის მას.

დიდი უშუალობითაა ნაჩვენები ლაღოს სახე-პორტრეტი. მოთხრობაში მას ერთი გვერდიც არა აქვს დათმობილი, მაგრამ მკითხველს ლაღოს სახე მაინც არ ავიწყდება. თავგადასავალში, რომელსაც თვითონვე გადმოგვცემს, მთელი მისი ცხოვრების მაჯისცემა ფეთქავს. კარგად არის აღბეჭდილი თანამედროვეობის სიღიადე. საინტერესოა შვილის მხატვრული პორტრეტის მონახაზიც.

„წყნარი დღე“ პროზად დაწერილი პოეტური ნაწარმოებია. მასში კარგადაა გამოძერწილი ყუყუნას სახე.

„გზის დასაწყისს“ მიმზიდვე-

ლი სიუჟეტი აქვს. მოქმედი პირე-
ბი ამეტყველებულია ხალხური
ძარღვიანი ენით. ტკივილად შე-
მოდის სულში სოფლელი ქალის
ჩვილი, რომ ახალგაზრდები ქა-
ლაქში მიდიან და მერე აღარ
ბრუნდებიან. ყველაფერი ეს ნა-
წარმოებში ნაჩვენებია არა შიშვ-
ლად, პლაკატურად, არამედ მხა-
ტვრული ზომიერებით, ოსტატურ-
რად. ამიტომაც მოთხრობა ინტე-
რესით იკითხება. ნაწარმოების
მთავარი მოქმედი პირი შალვა,
სოფელს რომ გაუბრბოდა, შემდეგ
ინახიებს თავის შეცდომას.

მოთხრობა „უძილო ღამე“
ახალ ბინაში შესახლების ერთ
ეპიზოდს გადმოგვცემს. შვილს
დედა არ გაჰყვამა ახალ ბინაში, რის
გამოც დედას და შვილს ძველ და
ახალ ბინაში უძილო ღამის გადა-
ტანა მოუხდათ. დედისა და შვი-
ლის განცდები დიდი უშუალო-
ბით არის ნაჩვენები.

„ბერძენი“ სოფლელი ადამიან-
ის ორიგინალური ტიპის დახატ-
ვის ცდას წარმოადგენს. ამბების
სიუჟეტური განვითარება სუსტია
და ერთმანეთთან არ არის დაკავ-
შირებული მტკიცე დუღაბით. ამ
ტიპის შექმნაში ავტორს ასულდ-
გმულებს ხალხური თქმა: „ყვე-
ლა კაცი კაცია, კახაბერი სხვა კა-
ცია“ და ურთავს სამ ერთმანეთ-
თან დაუკავშირებელ ამბავს.

მოთხრობა „ყაბალახიანი კა-
ცი“ უფრო საბავშვო-საყმაწვი-
ლო ნაწარმოებია, ვიდრე მოზრ-
დილთა ასაკისა. დიდი მხატვრუ-

ლი გემოვნებითაა გამოძერწილი
სოფლის ბაზრობის სურათი და
მცირეწლოვან ბაჩიას საინტერე-
სო თავგადასავალი. განსაკუთრე-
ბით ყურადღებას იმსახურებს ნა-
წარმოების ფინალი.

მე ვფიქრობ, ეს ნაწარმოები
საპატიო ადგილს დაიკავებს დღე-
ვანდელ ქართულ საბავშვო ლი-
ტერატურაში.

თანამედროვე ახალგაზრდო-
ბის ცხოვრებას ასახავს მოთხრო-
ბა „ძმები“. ავტორი ძლიერად
გადმოგვცემს დედის განცდას,
თუმცა ნაწარმოების მიხედვით
იგი საქმეში არ ერევა. ერთი ძმა
უმადლეს სასწავლებელში მოხვ-
და, მეორე კი არა. პირველი მათ-
განი ფუქსავატ და „სტილიაგა“
ამხანაგებს გადაეკიდა და გულსა-
კლავ, გაბოროტებულ წერილს
სწერს ძმას. მაგრამ გაუგებარია,
რატომ უნდა მიეწერა რამაზს რე-
ვაზისათვის ასეთი ღვარძლიანი
წერილი? შერიგება უკეთესად
არის გამოკვეთილი, მაგრამ მასაც
აკლია დამაჯერებლობა. იგრძნო-
ბა, რომ ეს მშვენიერი თემა მწე-
რალს ნაუცბადეგად დაუმუშავე-
ბია.

„სენიები“ მოგონილ თემაზე
დაწერილი ნაწარმოებია, რომე-
ლიც თანამედროვე ცხოვრების
კურობი უფროა, ვიდრე მართა-
ლი სურათი.

მოთხრობაში „დაუმცხრალი
გრძნობა“ ნიჭიერადაა გამოქან-
დაკებული მოხუცი ქალის სალო-
მეს სახე. ეს სახე მკითხველის მე-

ხსიერებაში ღრმად იჭრება. შეიმჩნევა, რომ ავტორს საკმაოდ ეხერხება დედის სახის დახატვა აქაც, ამ ნაწარმოებშიც დედა მთავარი. განსაკუთრებული გატაცებით იკითხება ის ადგილი, როცა იგი გულიკოს უკარნახებს შვილებთან გასაგზავნ წერილს. დედა ცდილობს რაიმე საყვედური არ დაცდეს, ჩივილი არ გამოუვიდეს, არ შეაწუხოს შვილები. ყველაფერი ეს შთამბეჭდავი და ემოციურია.

„წიქარა“ კარგი საბავშვო მოთხრობაა. ეს თემა უკვე ცნობილია ქართულ ფოლკლორში და ძლიერ პოპულარულიც. ამის შემდეგ ძნელია ვინმემ ხელი მოჰკიდოს მას, მაგრამ ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას — ეს თემა ისე ორიგინალურად გაუაზრებია, რომ მოწონებას იმსახურებს.

წიგნის მეორე ნაწილში დაბეჭდილია კიდევ უფრო მცირე ფორმის პროზა მინიატურების სახით.

მინიატურებიც არაა ახალი

ჩვენს ლიტერატურაში. ამ მხრივაც დიდი ტრადიცია გვაქვს, მაგრამ ილია რურუა ტრადიციის ეპიგონი როდია, იგი ქმნის ბევრ ახალ, თანამედროვე ცხოვრების შესაფერის ერთგვარ საესტრადო სკეტჩებს, ნაწყვეტებს, ფრაგმენტებს ნაირ-ნაირი ფერებითა და ქსოვილით.

ყველა ეს მინიატურა ერთნაირი ლირებულების არაა. მათ შორის გვხვდება სუსტიც. ასეთია თუნდაც მინიატურა „რუ“.

მოთხრობაც „შთაბეჭდილებათა წიგნის შესახებ“ მოკლებულია მხატვრული ნაწარმოების კომპოზიციურ შედგენილობას. მასში მოქმედი პირებიც კი არ არიან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ შთაბეჭდილების წიგნში ჩაწერილ პასკვილების ავტორებს. ზოგჯერ ასე ემართება მწერალს, თუნდაც ძირითადში საღ და სწორ ნიადაგზე იდგეს, თუ კი მას მეტისმეტად იტაცებს „სიახლე“.

გიგლა მთხუკე.

ქართული სოფლის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის

უკანასკნელ ხანს დიდი ყურადღება ეთმობა დასახლების ფორმების შესწავლას. ეს არაა შემთხვევითი. დასახლების ფორმა ისტორიული კატეგორიაა, რომელსაც ახასიათებს გარკვეული ერთობლიობა საზოგადოებრივ ურთიერთობაში, ეკონომიკასა და იდეოლო-

გიის სფეროში. ამდენად მისი შესწავლით შესაძლებელია ყოფისა და კულტურის დიდმნიშვნელოვანი პრობლემების განხილვა.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორების რუსუდან ხარაძისა და ალექსი რობაქიძის ნაშრომი „სვანეთის სოფელი ძველად“ მიზნად

ისახავს გააშუქოს დასახლების სტრუქტურა, საცხოვრებელი, სამეურნეო და თავდაცვითი ნაგებობანი, საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფორმები, ადათობრივი სამართალი და მისი ადგილი მმართველობის სისტემაში, წარმოაჩინოს მისი თავისებურებანი და ჩამოაყალიბოს ზოგადი ნიშნები.

სარეცენზიო ნაშრომი იწყება საკითხის შესწავლის ისტორიით. ავტორები მიუთითებენ, რომ სვანეთში არსებობდა საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების სამი სხვადასხვა დონე და საკითხის შესწავლისათვის აუცილებელია ამ სხვადასხვაობის გათვალისწინება. ასეთი დასკვნა ლოგიკურია, რამდენადაც ჯერ ერთი, „სვანური მასალისადმი დიფუზურ მიდგომას არაერთი შეცდომა მოყოლია“ და, მეორეც, „დასახლების ფორმა წარმოადგენს ყოფის იმ მხარეს, რომელიც ამ დონეთა განსხვავებას გარკვეულად ასახავს“ (გვ. 18). ანალოგიურია ვითარება ყოფის სხვა ელემენტების მიმართაც, მაგრამ ნაირსახეობის მიუხედავად ისინი მაინც „გენეტურად ერთმანეთთან არიან დაკავშირებულნი“ (გვ. 19).

ასეთი სწორი და მეცნიერულად გამართლებული მიდგომა მასალისადმი თავიდან ბოლომდე გასდევს წიგნს. ბალსზემო, ბალსქვემო და ქვემო სვანეთის ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე ავტორები ახასიათებენ სვანური სოფლების განლაგებასა და მათ მფლობელობაში არსებული სახ-

მარი მიწების მდებარეობას, საკარმიდამო ერთეულის გავრცელებულ ფორმებს, აქაური საცხოვრებლის თვითეულ ტიპს. განსაკუთრებით ხაზგასმულია სვანთა სამეურნეო ყოფის თავისებურება დასახლების ფორმების განვითარების პროცესში და უარყოფილია მეცნიერულ ლიტერატურაში დამკვიდრებული აზრი, თითქოს საერთოდ სვანური დასახლება, კერძოდ კი საკარმიდამო კომპლექსი მთლიანად გვაროვნულ წყობილებას შეესიბუცებოდეს. სინამდვილეში, როგორც მკვლევარები შენიშნავენ, იგი „საოჯახო თემის გადმონაშთური ფორმაა, რომელიც საქართველოს მთიანეთს გვიანფეოდალურ დრომდე შემორჩა“. ამ დებულებას კარგად ადასტურებს თვით სვანურ სახლზე დაკვირვება, რამდენადაც ეს უკანასკნელი თავდაცვის ფუნქციებით „განვითარებული საზოგადოების ინტერესებს უპასუხებს“ (გვ. 34).

აქვე განმარტებულია ამ განვითარებული საზოგადოების ხასიათი და დადგენილია, რომ სვანეთი, სახელდობრ მისი ზოგი რაიონი უკვე XIII-XV საუკუნეებისათვის ფეოდალური ურთიერთობით ცხოვრობდა. ამასთან, სწორადაა აღნიშნული, რომ ბართან შედარებით ფეოდალიზმი აქ განვითარების ადრეულ საფეხურს ვერ გასცილდა, რითაც აიხსნება წინაფეოდალური სოციალური ინსტიტუტების, განსაკუთრებით თემური ყო-

ფის გადმონათურო ფორმების მე-
ტისმეტი გამძლეობა.

ნაშრომში ყურადღება გამახვი-
ლებულია საზოგადოებრივი ურ-
თიერთობის ზოგიერთ საკითხზე:
დადგენილია დასახლების ერთე-
ულის გამომხატველი სახელწოდე-
ბანი და გარკვეულია მათი რეალუ-
რი შინაარსი, სწორადაა მითითე-
ბული, რომ „ტერიტორიალურ
პრინციპზე დამყარებული საზოგა-
დოებრივი გაერთიანების გამომხა-
ტველი ტერმინი ხევ-ი სვანეთში
ვიწრო და ფართო მნიშვნელობი-
თაა დადასტურებული. პირველი
ერთ ხევში მდებარე სოფელია, გა-
ერთიანებას გულისხმობს, ხოლო
მეორე მთელი სვანეთის გაერთიან-
ების შესატყვისია“ (გვ. 65). აქვე
ავტორებმა გვიჩვენეს ხევის, რო-
გორც „ტერიტორიალურ პრინცი-
პზე დამყარებული საზოგადოებ-
რივი გაერთიანების“, შექმნის სუ-
რათიც (გვ. 76), შემდეგ კი
ვრცლად აშუქებენ თემსა თუ ხევს
შიგნით არსებული საკუთრების
სხვადასხვა ფორმას, გვარების
ვალდებულებებს სამეურნეო საქ-
მიანობის ორგანიზაციაში, სახნავ-
სათესის მფლობელობასთან დაკა-
ვშირებულ სხვადასხვა ნათესაურ
კუთვნილებას, მაგრამ საერთო ინ-
ტერესების მქონე ოჯახების დაპი-
რისპირებას ხევისადმი და ამ წინა-
აღმდეგობის მოგვარების საშუა-
ლებებს, ხევის უმაღლესი ორგა-
ნოს — სახალხო კრებისა („ლალ-
ხორ“) და ხევის მმართველის (მახ-
ვში) ფუნქციებს, ხევის წევრთა

ურთიერთ დამოკიდებულებას და
მოვალეობას, სახალხო კრების მნი-
შვნელობის დაკნინებას XIX საუ-
კუნის 30-იანი წლებიდან და სხვ.
ნაშრომში ორიგინალურადაა წა-
რმოდგენილი სვანთა სოციალური
ურთიერთობის საკითხიც. ფაქტო-
ბრივ მასალაზე დაყრდნობით მარ-
თებულადაა აღნიშნული, რომ „ვა-
რგი“ ადგილობრივ ნიადაგზე შე-
ქმნილი აზნაურთა წოდების გამო-
მხატველი ტერმინია. იგი ამავე
დროს სვანეთში სოციალური დი-
ფერენციაციის ღრმად წასულ
პროცესზეც მიუთითებს. ასეთ პი-
რობებში საინტერესო ჩანდა ვარ-
გის არა მარტო ჩამოყალიბებას
პროცესის დადგენა, არამედ მისი
დროისა და პირობების გარკვე-
ვაც. ეს მით უფრო აუცილებე-
ლი იყო, რომ უკანასკნელ
დრომდე ლიტერატურაში არ-
სებობს აზრი სვანეთში თე-
მური წყობის განუხრელი ბა-
ტონობისა, რომლის რღვევაც მხო-
ლოდ გასულ საუკუნეში დაიწყო.
ეთნოგრაფიული მასალისა და შე-
საბამისი დოკუმენტური მონაცე-
მების კრიტიკული განხილვით ნა-
შრომში დადგენილია „ვარგი
ყმის“ ინსტიტუტის განვითარების
ბაზაზე „ვარგის“ ჩამოყალიბება.
რაც სვანეთის ზოგ რაიონში (შო-
რეულ წარსულში) დასრულებული
სოციალური დიფერენციაციის წა-
ჩვენებელია.

ნაშრომი არ იქნებოდა სრული,
რომ ავტორებს მარტოდენ
„ვარგ“-ის ინსტიტუტისათვის მი-


ექციათ ყურადღება და არ შეესწავლათ პირად ვალდებულებათა მქონე მეთემეთა სხვა სოციალური კატეგორიებიც. ეს მით უფრო იყოს საჭირო, რომ რიგ გარემოებათა გამო საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარება სვანეთის სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა ნიშანს ატარებდა, ე. ი. სოციალური დიფერენციაცია სხვადასხვა ფორმით ვლინდებოდა. მართლაც, „ფალმის“, „ქორსმერდეს“ და „ლახირის“ კატეგორიების განხილვით ნაშრომში სწორადაა დადგენილი, რომ ეს უკანასკნელნი წარმოშობით საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურს მიეკუთვნებიან და სოფლის თემის განვითარების პირობებში საზოგადოებრივი დიფერენციაციის გამომხატველია (გვ. 115).

ასეთია საკითხთა ის ფართო წრე, რომელიც წარმოდგენილია სარეცენზიო ნაშრომში, მაგრამ მისი მნიშვნელობა ამით არ ამოიწურება. მდიდარი ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე, არსებული ლიტერატურისა და წყაროების კრიტიკული განხილვითა და მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შეხედულებების ოსტატური გამო-

ყენებით ავტორებმა შეძლეს სავითხის მაღალ დონეზე გაშუქება და მრავალი სახელმძღვანელო დებულებების ჩამოყალიბება (ეს რამდენადმე განაპირობა აგრეთვე მეზობელი რაიონებიდან ფართო შესაღარებელი მასალის მოშველიება).

ამ მხრივ საგულისხმოა ნაშრომში მოცემული დასკვნები სვანეთში განვითარების სამი სხვადასხვა დონის არსებობისა და ტიპობრივად განსხვავებული, მაგრამ გენეტურად ერთმანეთთან დაკავშირებული დასახლების სტრუქტურის, საზოგადოებრივი ურთიერთობის გადმონაშთური ფორმების, სვანთა სოციალური დიფერენციაციისა და სხვ. შესახებ. ეს დებულებანი საყურადღებოა არა მარტო საკუთრივ სვანეთის სოფლის ან საქართველოს მთიანეთის შესასწავლად, არამედ საერთოდ ქართველი ხალხის ეთნოგრაფიული ყოფისა და კულტურის გაშუქებისათვის. ნაშრომს ღირსებას მატებს აგრეთვე კვალიფიციურად შესრულებული ფერადი ფოტოები, სამეურნეო თუ საცხოვრებელ ნაგებობათა გეგმა-ჭრილები, ყოფის ამსახველი სურათები და ა. შ.

ლევან კალანდარიშვილი,
აბელ სურგულაძე.





ბოჩის მეგობარი

დედოფლის ცრემლი

— მობრძანდით, თქვენი ჭირიმე! ბოდიშს ვიხდი, რომ ამდენ ხანს გალოდინეთ. — უთხრა სახეგაბრწყინებულმა მელანომ აივანზე მუსაიფით გართულ ქალებს და პარმალზე უხერხულად მდგომ ჭაბუქს ტკბილად გაუღიმა:

— აბა, სიძე, რაგა უცხო სტუმარივით მორცხვობ, შეეკაცო! მოდი სუფრასთან!

— საპატარძლო სად არის? — ხმადაბლა ჰკითხა ირინემ დიასახლისს და მკრთალმა ღიმილმა გადაურბინა დანაოჭებულ სახეზე.

— მეორე ოთახშია; რა ექნა, სცხვენია იმ გასაქრობს! — თქვა დიასახლისმა ღიმილით.

— ბიჭს და იმას ერთმანეთი მოსწონსე და ჩემი ქვე რასი სცხვენია! მოიყვანე, თუ ქალი ხარ; უმისოდ ლაზათი არ ექნება ჩვენს სუფრას!

— ახლავე მოვიყვან, შენი ჭირიმე! — თქვა დიასახლისმა.

მალე მწვანე კაბაში გამოწყობილი საპატარძლო გაუბედავად მივიდა სუფრასთან და უხმოდ დაჯდა სასიძოს გვერდით. ყველა მადიანად შეექცეოდა სადილს. მაყვალა კი იჯდა დაწვებშეფაკლული და საჭმელს ხელს არ აკარებდა.

ცოტა ხნის შემდეგ ირინემ სარძლოს თავისი ხელით გაუკეთა თითზე ოქროს ბეჭედი, მაჯაზე — ოქროს საათი. მიაწოდა გაზეთში ცალკ-ცალკე შეხვეული ახალი ტუფლები, საკაბე, საკოსტიუმე და დალოცა.

სიხარულის ცრემლები აუციმციმდათ თვალებში მაყვალასა და მელანოს.

სასიძო მალიმალ უჭკრეტდა საცოლეს და თანდათან სევდის ჩრდილი ეპარებოდა მის შავგვრემან სახეს და თაფლისფრად მოელვარე თვალებს. იჯდა ჩუმად და გულგრილად დაცქეროდა სუფრას.

სუფრიდან რომ აიშალნენ, ირინე აჩქარებული მიუბრუნდა სამძახლოს:

— მელანო, მე და თამარა წავალთ ახლა. ქორწილისათვის დავფიცურადებით. ხვალ მაყრიონს გამოვგზავნი და წავიყვან შენს ქალიშვილს. ჩემი ბიჭი აქ დარჩეს; ცხენით არის მოსული და რა საჭიროა ორმოც კილომეტრზე იქით-აქეთ ჩაქჩაქი!

— კი, შენი ჭირიმე, როგორც გენებოთ. — უთხრა გახარებულმა მელანომ...

დედისა და რძლის წასვლის შემდეგ გრიშა უფრო დანადგლიანდა. მთელი დღე დაუინებით უცქეროდა გახარებულ და სახეაწითლებულ საცოლეს. ცდილობდა, შეეცვალა თავში ახლად აკვიატებული აზრი. მაგრამ ვერ შეძლო.

შებინდებისას წყნარად ივახშმეს და მელანომ მეორე სართულზე, განაბირა ოთახში გაუშალა სასიძოს ლოგინი.

გრიშა ლოგინში ჩაწვა თუ არა, კვიმატი ფიქრები აეშალა.

„ემმაკი ვერ გაიგებს ჩემს საქმეს; ამას წინათ რომ ენახე, ძალიან მომეწონა. ახლა კი, კარგად რომ დავაკვირდი, სრულებით არ მომწონს. ოჰ, აქამდის ვერ გავიგე, რომ ერთი ნახვით ქალის შეფასება არ შეიძლება. მთელი დღე იმას ვცდილობდი, რომ მომწონებოდა რამე მისი, მაგრამ არც სახე უფარგა, არც ტანი და რა ვქნა, არ ვიცი!..“

ანდა, მოდი, შევირთავ, მერე შემეყვარდება... მარა, ოჰ, არა. რა სულელი ვარ! ახლა არ მომწონს და მერეც რომ არ შემეყვარდეს, რა ვქნა მაშინ?

მაყიეთსა და საკაოში ამაზე უფრო ლამაზები დავიწუნე და, ეს რომ შევირთო, დამცინებს ხალხი...

ხვალ ჩვენები საკლავებს დაკლავენ, მაყრებსაც გამოგზავნიან და... უნდა წავიყვანო, მეტი რა გზაა!

ოჰ, დილით რამ შემეიკრა ფეხები, რომ არ წავყევი დედაჩემს.

არა, არა, მაგის შერთვა არ ივარგებს; სრულებით არ უხარია გულს მასთან სიახლოვე და საუბარი. გული მიგრძნობს, რომ მაგასთან სიყვარული არ იქნება.

ოჰ, მართლა, რას ვიხეთქავ თავს! ცხენი აქ არ მყავს? მოდი, გავიბარო ახლა! არც ქალი მინდა მაგათი და არც ჩემი მოტანილი ნიშანი!..“

გრიშა ფრთხილად წამოდგა ლოგინიდან და...

ორწოხების თავზე ოდნავ ამოწვერილი მზის უძალო სხივები ებღაუჭებოდნენ მათათა მწვერვალებს, როცა სოფელ ხიდმელებში შეაგელვა ცხენი.

ცოტა ხნის შემდეგ ირინეს სამზადი ქალებითა და გოგონებით გაივსო. გოგონები ჩუმ-ჩუმად იღიმებოდნენ, გაბრაზებული ქალები კი სეტყვასავით აყრიდნენ გაოგნებულ გრიშას უდიერ სიტყვებს:

— ქვე, რავა ყველას წუნობ, შე კაცო!

— ღვინოს რომ ხრუპავ ხარვით, იმიტომ დიდი ვინმე გგონია შენი თავი?!

— ბრიგადირად რომ დაგაწინაურეს, იმიტომ ხომ არ გადიდგულდი?!

— აღარ მომწონს ის ქალი, გაიგეთ?!. მომეშვით, ახლა! — ყვიროდა სახელაღწილი გრიშა.

— ლაგანთელი ვერინკა რომ მოგწონდა, ის რატომ არ შეირთე?! — ყვირილით ჰკითხა გაცეცხლებულმა ირინემ.

— იმას შეყვარებული ყოლოდა და დღედაღამ ლოშნიდა თურმე! — თქვა დაბნეულად გრიშამ.

— მაჟიეთური დოდოჟუკა რატომ არ შეირთე, ისიც ხომ მოგწონდა?!

— მომწონდა ერთხანს, მაგრამ რომ დავაკვირდი, სიცილის დროს ფარახეთის მეწყერივით ეხეოდა პირი!

გოგონებმა, პირზე ხელს რომ იფარებდნენ და ჩუმად იცინოდნენ, გელარ შეიკავეს თავი და უცებ ატკარცალდნენ.

— გადით აქედან, თქვე გასაწყვეტლებო, თქვენა! — ირინე ბუხართან მიგდებულ შეშის ნაპობს დასწვდა აცახცახებული ხელით.

გოგონები ტკარცალით გაცივიდნენ გარეთ.

— ღარველი მაროჟუკა რომ მოგწონდა? იმასაც მოხეული პირი ქონდა?! — არ ეშვებოდა ირინე გაჯიუტებულ შევილს.

— იმას ჩვენმა ფილიმონამ აკოცა თურმე ქორწილში!

ამ დროს მეორე ოთახიდან უხალისოდ შემოვიდა გრიშას რძალი თანარი.

— მამა გეძახის! — უთხრა გულცივად გრიშას და ბუხართან დაჯდა ზანტად.

— წამოდი, მეც შეგყვები. უცებ არ მიახლო უდიერი სიტყვები! — თქვა ირინემ და წამოდგა.

უხმოდ შევიდნენ მამის ოთახში ირინე და მისი ვაჟი.

ავადმყოფმა იობა ხიდეშელმა ზანტად მოაბრუნა გაძვალტყავებული, გაყვითლებული სახე, თხელი, გამშრალი ტუჩები ძლივძლიობით შეარხია და ხრინწიანი ხმით წამოიწყა:

— შევილო... ის ურაველი ქალი თუ პატიოსანი და ჰკვიანია... მოიყვანე. ქალის სილამაზეს ძალიან ნუ მიაშტერდები. ქალს რომ მოიყვან... მისი სილამაზე მხოლოდ ერთ-ორ თვეს გაგახარებს... მერე, თუ დაინახე, რომ მას ცუდი გული და ბნელი გონება აქვს, მის სილამაზეს ველარ შეამჩნევ.

ჩემს შვილებში გამორჩევით მიყვარხარ და, რა იქნება, ბიჭო, მოვესწრო შენს დაოჯახებას. ნუ წამაყოლებ ამ ღარდს საფლავში.

მხრებში მოხრილი და წელში მოკაკული ირინე საწოლის ძვირფასი მომჯდარიყო და ღაპა-ღუპით ღვრიდა ცრემლებს.

— კარგი, მამა, დამშვიდდი ახლა, დამშვიდდი. აუცილებლად შეევასრულებ შენს თხოვნას. — უთხრა გრიშამ და მასაც ცრემლებით ავესო თვალები...

* * *

იმ დამეს ძილი გაუტყდა გრიშა ხიდშელს.

თვალწინ დაუდგა შარშან ღრეობაში გაპარული ერთი დამე. მაშინ მისი ბიძაშვილი გათხოვდა ჭინჭვისში და ის მაყრად გაჰყვა.

კარგად ახსოვს, საგანგებოდ გამოწყობილი ჭინჭვისელი ქალიშვილები როგორ უღიმოდნენ ხიდშელს მაყრებს.

სერიოზულად იდგა ხალხის უკან და ცეკვაში მონაწილეობას არ იღებდა ხვერდის კიტელსა და „გალიფეში“ გამოწყობილი ხიდშელის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ექვთიმე გუგუშაშვილი. ცქრიალა ქალიშვილებმა ვერც კი შეამჩნიეს ეს ანოვანი ვაჟკაცი, მაგრამ გათხოვილმა და ჭკუადამჯდარმა ქალებმა გულმოდგინედ შეათვალიერეს მისი ზორბა ტანი, ღამაზი პირისახე და შლაპის ქვემოდან აზრიანად გამომზირალი თვალები.

გრიშა ხიდშელს მაშინ სულ დაავიწყდა ცეკვა. ხალხში იდგა გაოგნებული და დაჟინებით უცქეროდა ერთ ტანმალალ ქალიშვილს. გული წყდებოდა, რომ ის ქალიშვილი ვერ ამჩნევდა. გოგო წამდაუწუმ იცინოდა, პატარა, ალუბლისფერ ტუჩებში მძივებევით თანაბარი თოვლისფერი კბილები უელავდა, ღოდნაშოსფერი წყლიანი თვალები ცვარნამივით უციმციმებდა.

გრიშამ ველარ მოითმინა და ექვთიმეს უთხრა, ის გოგო ძალიან მომწონსო.

ექვთიმეს ირონიულად ჩაეღიმა და ხელი ჩაიქნია:

— ოჰ, შენ რა გითხრა, რა გზა-კვალაბნეული ხარ!

— რატომ, კაცო, არ ვარგა? — უთხრა დაბნეულად გრიშამ.

— ვარგებით როგორ არ ვარგა, მარა, ეგ, ბიჭო, გათხოვილია!

— კაი, თუ ძმა ხარ, რა უგავს მაგას გათხოვილ ქალს!

— ბიჭო, შენ მასწავლი?! ეგ ჩემი გვარის ქალია. ჩვენი სოფლიდან არის აქ გამოთხოვილი.

— რას ამბობ, კაცო, ჩვენებური როგორ არის, პირველად ვხედავ!

— ჩვენი სოფლის მისასვლელში რომ ცხოვრობს ერმილე გუგუშაშვილი, არ იცი?

— როგორ არ ვიცი!

— ჰოდა, მისი ქალიშვილია, ნადო ჰქვია. შენ რას დაინახავდი მაგას, თექვსმეტი წლისაც არ იყო, რომ გათხოვდა. თურმე ონის ბაჩარზე მოწო-

ნებია აქაურ ბიჭს, თორმეტი-ცამეტი წლის რომ იყო მაშინ, და ამ გოგოს დედისათვის ეთქვა, თუ გინდა ათ წელს მოვუციდი, მხოლოდ გამატანეთ. მერე ათ წელს კი არა, ორი წლის შემდეგ მიდგომია მაჭანკლებით კარზე და არ მოშვებია არაფრისგზით. გოგოს სრულებით არ უნდოდა გათხოვება, მაგრამ მაჭანკლები აღარ მოეშვნენ, მისიანებმაც ურჩიეს, კარგად შეგინახავსო და ასე ძალისძალად გაათხოვეს.

— ოჰ, იმ შეჩვენებულს რა უქნია! ცოტა ხანს რომ დაეცა და ერთი თვალი მომეკრა, ის როგორ მომასწრებდა. — თქვა გაბრაზებულმა გრიშამ და საცეკვაო წრეს მოსცილდა...

მას შემდეგ ერთი წელი გავიდა, მაგრამ გრიშას არ სცილდებოდა მისი სოფლიდან ნადრევად გაფრენილი გუგეშაშვილის ქალიშვილის სახე.

— საოცარია, გაუთხოვარ ქალიშვილებს ვუძებნი რაღაც მიზეზებს და ამ გათხოვილმა ქალმა როგორ მომხიბლა ასე? — თქვა ოცნებით დაქანცულმა და საწოლზე წამოჯდა, რომ აბეზარი ფიქრები მოეცილებინა.

* * *

ზაფხული თვალსა და ხელს შუა მიიღია. მსუყე შემოდგომამ შემობიჯა სოფელ ხიდშელეებში. დაღუპებულ ქვევრებში სარცხები დატრიალდა და ხალხი დაყურსულ ვენახებს შეესია.

ნართვეს ხიდშელემა ქორწილებში სიარულს მოუხშირა. გვიან ღამით უზომოდ მთვრალი ლილინით შემობარბაცდებოდა სახლში. ირინე უხმოდ, უხალისოდ გაუშლიდა ლოგინს და „დაწეჟიო“, ეტყოდა მწყრალად. მის ამ ერთ სიტყვაში გაბრაზებაც ჩანდა, წყენაც და საყვედურიც.

ერთხელ, ნაშუაღამევს, გრიშა მთვრალი რომ შემობარბაცდა სახლში, ტანსაცმელი ისე დასველებოდა წვიმით, რომ წყალი წურწურით ჩამოსდიოდა ტანზე.

ირინეს უცებ გაეღვიძა და უხმოდ წამოდგა ლოგინიდან. ამასობაში გრიშა ჩაფერფლილ ბუხართან მიმჯდარიყო, ნიდაყვები მუხლებზე დაეხრინა და თავი ხელებში ჩაერგო.

ირინემ საჩქაროდ ასანთი და კვარი მონახა და ბუხარში შეშის ნამტვრევები შეაწყო. გრიშამ ნელა ასწია თავი, გაცინება უნდოდა, მაგრამ ვერ მოახერხა და აჭარხალებული სახით გაიჯღანა, მერე ბუხართან ჩამუხლულ დედას მკლავი გადახვია:

— დედა, შენ რატომ შეწუხდი, თეო და თამარი სად არიან! ცეცხლი ვერ დამინთეს?

ირინემ შვილის სველი მკლავი მოიცილა კისრიდან:

— გაიხადე, ბიჭო, მთლად სველი ხარ! თეოს და თამარას სულ შენი დარდი აქვთ! აქამდის ვერ შეიგნე, რომ ყოველთვის სხვა აღარ დაგინთებს ცეცხლს?!

გრიშამ ახლა ორივე მკლავი მოხვია დედას კისერზე.

— ნუ გეშინია, ჩემო საყვარელო დედა, ისეთ რძალს მოგიყვან, რომ იობაანთ უბანს ანათებდეს!

— მეტი არ იქნა ჩემი მტერი, შენ ქალის მომყვანი არა ხარ! ამაზე ნულარაფერს ამბობ, გული შემიღონა ამ საქმეზე ლაპარაკმა. შენი მოსაწონი ქალი ქვეყანაზე ჯერ არ დაბადებულა!

— დედა, ჩემო დედა, ყური მიგდე. შარშან ჯინჯვისში, ციცოტუკას მაყარი რომ ვიყავი, ერთი გოგო მომეწონა. გოგო კი არა, ქალი. მარა რა ქალია, რომ იცოდე. ჰო, ჰო, ჰო, იმისთანა ქალს ჯერ არ გაუვლია დედამიწის ზურგზე!

— გათხოვილი ქალი ხომ არ მოგეწონა, შე გამოშტერებულო?!

გრიშამ ხელები გაფარჩხა და გულწრფელი ღიმილი ცეცხლივით შემოენთო სახეზე:

— ჰო, გათხოვილია, მარა რა ქალია, რომ იცოდე... ცხრა ნაქმარევი რომ იყოს, მაინც შევირთავდი!

— ვაი, ვაი, ჩემს მტერს დაებნა დავთარი, შენ რომ გაქვს დაბნეული ვინ ქალია, ქვე მაინც თქვი.

— ერმილე გუგეშაშვილის გოგო ყოფილა, თხუთმეტი წლის წაუყვანიათ ძალით, თორემ ქალიშვილობა რომ დაცლოდა და ერთხელ მომეკრა თვალი, ქვე ვინ მომასწრებდა მის შერთვას.

— მოიცა, შენ ნადოუკას ხომ არ ამბობ?

— ჰო, ჰო, ნადოუკა რქმევი!

— იჰ, დიკარგე აქედან! ის ქვე რაღა გათხოვილია, ქმარს გამოექცა. ეს ორი კვირაა სახლში უზის დედამისს!

გრიშა შლეგივით წამოხტა სკამიდან:

— დედა, რას ამბობ, არ გადამრიო!

— გადარეული არა ხარ, ქვე რაღა გადარევა გინდა!

— მოიცა, დედა, შენ ხომ არ მემასხრები?

— შე დასაღუბავო, ბოყეში ხომ არა ზიხარ! გუშინწინ ჯინჯვისელები გადმოვიდნენ და მათ და გუგეშაშვილებს დიდი ჩხუბი ჰქონდაყე.

— მერე, მერე!

— მერე, ნადოუკამ თავი მოიკლა თურმე და არაფრიგზით აღარ დაუბრუნდა ქმარს. დედამისი შვილის ჩიუტობის გამო გაბრაზებულა და რა უთქვია, იცი?

— რაიო, რა უთქვია?!

— რა უთქვია და, შენმა მზემ, დამიჯექი სახლში, თორემ აგერ იობაანთ გრიშა რომ დაეძებს ქალს, იმან არ წაგიყვანოსო.

— კარგი, ერთი!

— თუ არ გჯერა, კითხე თეოს. იქ ყოფილა იმ ჩხუბის დროს, იმ ნაღოუკას დედისათვის უთქვია: სრულებით არ ვფიქრობ გრიშაზე. შენზე გათხოვებასო; გაუთხოვარი რომ ვიყავი, მაშინ მომწონდა, ყურადღებას არ მაქცევდა და ახლა ნაქმრევს როგორ წამიყვანსო. ამ ამბავს აქამდეც გეტყობდი, მარა შენ ხელმოუკარებელ ქალს დაეძებდი. რა ვიცობდი, თუ ნაქმარევი ქალი მოგეწონებოდა.

— რას ამბობ, დედა, ეს თუ მართალია, ხვალვე შეგუდგები საქმეს,

* * *

დაისის მეწამული შუქი შეუმჩნევლად გაიპარა ღია ფანჯრებიდან.

გაუძნრევლად იწვა ლოგინში იობა ხიდველი. გრძნობდა, რომ გამუდმებით გულაღმა წოლით ზურგი ტკიოდა, მაგრამ გვერდზე გადაბრუნება არ შეეძლო და არც აპირებდა. დანაოჭებულ, შავ-ყვითელ სახეზე წვერი წამოზრდოდა, იწვა გაუძნრევლად. ოდნავ გახელილ, ამღვრეულ თვალებს ხან ჭერს მიაშტერებდა, ხან ბათქაშგაცრეცილ კედლებს.

ანაზღად ავადმყოფს შორიდან მოესმა შეძახილის მაგვარი ხმები. ჯერ ჭირისუფალთა მოთქმა ეგონა, მაგრამ მალე ის ხმები ყიყინად გადაიქცა, შემდეგ კი ყიყინა სიმღერამ შეცვალა.

ავადმყოფმა სმენა დაძაბა და გარკვევით გაიგონა რაჭული მაყრული. უცებ ზედიზედ გავარდა თოფი. მამხალეების შუქმა გააჩირადუნა მისი ეზო. შუქის ჩქერმა ოქროს თევზივით მოიქნია ბოლო მის ფანჯარასთან და ოთახში ჩამოწოლილი წყვილიადა გააცრიატა.

უცებ ირინე შემოვიდა ოთახში, სინათლე ჩართო და ავადმყოფთან სახეგაბრწყინებული მიიჭრა:

— იობა, გრიშამ ქალი მოიყვანა, გაიგე? ქალი მოიყვანა გრიშამ!

მოხუცმა გამხმარი ხელი ცახცახით გამოაძვრინა საბნიდან, კარისაკენ გაიშვირა და მერე თავისკენ დაიქნია უმწეოდ.

— უი, ჩემი სიკვდილი! დედოფლის შემოყვანას მთხოვს, დედოფლის შემოყვანას! — გასძახა რძლებს აცრემლებულმა ირინემ.

მალე წყნარად შემოიყვანეს და ავადმყოფის საწოლთან დააყენეს სახელანძული დედოფალი. მოხუცმა, რომელსაც მძიმედ სუნთქვის გამო მკერდზე საბანი ერხეოდა, ძლივძლივობით მოაბრუნა უსიცოცხლო სახე და მიზნედილი თვალებით ფეხიდან თავამდე აათვალიერა დედოფალი.

პატარძალს თხელი დაწვები ვარდისფრად ატყეცოდა, მხრებზე გადაყრილი მსხვილი ნაწნავები ჩამოქნილ წელსა და თეძოებს ეტმანებოდნენ, როგორც ჭიგოს ვაზის ლერწები. დიდრონი ქლიავისფერი შემკრთალი თვალებით დააქქერდა ავადმყოფს.

ირინემ აღერსიანად გადაუსვა დედოფალს თავზე ხელი და მეუღლეს უთხრა:

— ეს არის ჩვენი ოჯახის ახალი მშვენიერება, გრიშას მეუღლე! ავადმყოფი კარგა ხანს აკვირდებოდა დედოფალს. მერე თავი ოდნავ დააქნია და გაფითრებული ტუჩები შეარხია:

— მალ-მალ... მალ... მა... ლა... ლი...

ქალები ერთმანეთს მიაშტერდნენ. აცრემლებული ირინე ხელების ქნევით მიუბრუნდა რძლებს:

— გაიგეთ, რა თქვა? მაღალი ქალიაო, მაღალი! მაღალი ქალი მოსწონდა ყოველთვის, უბედურს!

საწოლთან ქანდაკებასავით დამდგარ დედოფალს ფართოდ გახელილი, შემკრთალი თვალებიდან დაბალუბით გადმოედვარა ცრემლები და ავადმყოფის საბანზე აღმასის ნამცეცხეებით გაიბნა.

— აბა, არ იტირო, შენ გენაცვალე! — მხრებზე მოეხვია ირინე დედოფალს. — იოზა შენს გამოჩენას რვა წელიწადია ნატრობდა, სიხარულად წაყვება იმ ქვეყანაში შენი ამ ოჯახში შემოსვლა!..

* * *

ორ დღე-ღამეს ღრეობდა იოზა ხიდეშელის სახლ-კარი.

მაყრები სოფლის ცენტრში სიმღერით რომ მიბანდალებდნენ და შუკებში იფანტებოდნენ, იოზა ხიდეშელმა უკანასკნელად შეხედა თავისი ოთახის ჭერს და სამუდამოდ დახუჭა თვალები.



ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/VIII 1965 წ. საბეჭდი 6, საგამომცემლო
5 თაბახი, შეკვეთის № 6261, ემ 00604, ქალაქის ზომა 60X90, ტირაჟი 1.600.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის
მთავარბოლგრაფმრეწვის ბათუმის სტამბა № 9 (ლუქსემბურგის, 22).

632/205



№ 40 333.

**ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

„ლიტერატურული აჭარა“

**ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ**

ИНДЕКС 76118